გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

№27 (783) 11 - 12 მარტი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

# 20 გვერდი 40 თეთრი

## ექსკლუზიური ინტერვიუ ზურაბ ხარატიშვილთან



მაჟორიტარული არჩევნები უქმდება და 2013 წელს საარჩევნო ხმებს ოპტიკური სკანერით დაითვლიან?

გვ. 3

## ცესკო-ს თავმჯდომარე საარჩევნო რეფორმის დეტალებს ამხელს

## 15 მარტს ვეტერანები გმირთა მოედანზე, აფხაზეთში დაღუპული მეომრების ხსოვნას პატივს მიაგებენ




ომის მონაწილეები თეა წულუკიანს მთავარსარდალ სააკაშვილის დაპატიმრებას ურჩევენ

გვ. 11

## ირაკლი ფირცხალავა: „ძალოვანი ორგანოებიდან გათავისუფლებული 1300 თანამშრომლის უფლებებს დავიცავთ"

ვინ აფინანსებს, „სამართალდამცავთა დაცვის ლიგას", რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილეა?

გვ. 5

## რა ნიშნით შეარჩიეს ფრაქცია „ეროვნული ფორუმის" თავმჯდომარედ ორ ომში ნაბრძოლი გორის მაჟორიტარი



გვ. 9

ვინ არის სოსო ვახტანგაშვილი და აგვისტოს ომის რა გაუხმაურებელი დეტალების გამო დაუპირისპირდა „ნაციონალებს"

## გიგი უგულავას ბლეფ-პროექტები და უკანონოდ გახარჯული ბიუჯეტი

სკანდალური პროგრამებისა და ფაქტების ნაწილი, რომლითაც თბილისის მერმა დიდი ფული იშოვა და რომელსაც პროკურატურა მალავს!

გვ. 6

## საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები გაიფიცებიან?

რატომ დუმდა აქამდე, რა შეცდომას აღიარებს და როგორ შეეწინააღმდეგება „პირველი არხის" მართვის უსამართლო პოლიტიკას ნინო ზაუტაშვილი

გვ. 7

დიტო გელოვანი

## საზოგადოებრივი ნაუწყებარი

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

გვ. 2

## სასწრაფო დახმარების ცენტრის ექიმები გენერალურ დირექტორს ბრალდებებს უყენებენ და ფართომასშტაბიან აქციებს იწყებენ

რას ითხოვენ მოშიმშილეები დავით სერგეენკოსა და ბიძინა ივანიშვილისგან

გვ. 7

## აგრარულ უნივერსიტეტს ავტორიზაციას შეუჩერებენ?

გათავისუფლებული პროფესორ-მასწავლებლები სახელმწიფოსთვის უნივერსიტეტის დაბრუნებას ითხოვენ

გვ. 8

## „რეფერალური ჰოსპიტალი 2012" დახურვის საფრთხის წინაშე უცხოელმა ინვესტორმა დააყენა

რატომ არ გადაჰყავს „სასწრაფოს" პაციენტები აღნიშნულ ჰოსპიტალში და აუნაზღაურებენ თუ არა სააავადმყოფოს 543 თანამშრომელს სახელფასო დავალიანებას

გვ. 12

## „წითელა" 2-3 თვეს კიდევ შემოგვიტევს!

დიტო გელოვანი

**ომარმა ზღვა პირველად ნახა და როცა იგრძნო, რა ინტერესით შევყურებდით, შეეცადა, მდგომარეობის სიმაღლეზე ყოფილიყო. „არაფერი ისეთი არ ყოფილა“, — ტუჩებმოღრეცილმა, აგდებულად გადმოისროლა მან — მე უფრო დიდი მეგონა“. არანაკლები სისულელე იქნებოდა, რომ ზღვას გამოვქომაგებოდი და არ ვუპასუხე.**

***(ოთარ ჩიჯავაძე, „თვითმკვლელები“)***

# საზოგადოებრივი ნაუწყებარი




„ავატარი“ ხომ გინახავთ, სამმეტრიანი ყურცქვიტა კუდიანები ჯოჯოებით რომ დაფრინავენ? უზარმაზარ ბულდოზერსაც შეამჩნევდით, შესაბამისი პარამეტრების მუხლუხოებით, ჩამჩებითა და ათასი სხვა მოწყობილობით, ყველასა და ყველაფერზე გადავლა რომ შეუძლია. კი, იქ ცუდია — აბორიგენებს ემუქრება, დაცალეთ ტერიტორია, თორემ ცუნცულა ცულების დრო წარსულს ჩაბარდა და წადით, სხვა ვარსკვლავს სდიეთო, მაგრამ იქ რომ ცუდია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სადმე ვერ გამოიყენებ, შალვა ნათელაშვილი იყოს და ბუზი ბალდადიდან მოვაო — ბრძანა ერთხელ შალვა ნათელაშვილმა და, ეგ ბულდოზერი რომ მომცა, მერე მე ვიცი და ჩემმა მარიფათმა.

„ავატარი“ ტელევიზორში მაქვს ნანახი, თუ არ ვცდები — საზოგადოებრივ მაუწყებელზე და ზუსტად არ მახსოვს, „მოამბის“ წინ თუ „სამოთხის ვაშლების“ შემდეგ, თუმცა იმის თქმა ზუსტად შემიძლია, რომ აღნიშნული ბულდოზერი „აქცენტების“ დროს ყოველთვის მახსენდება ხოლმე.

გასული კვირის მთავარი თემა ხომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ იყო — დირექტორებით, პროდიუსერებით, წამყვან-დიქტორებით, მემონტაჟე-გამნათებლებითა და, რა თქმა უნდა, მეურვეებით. ეგ იყო მთავარი თემა და არა, დავუშვათ, სამართლიანობის ან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ვინ უნდა აღდგეს დაკავებულ თანამდებობაზე, ხათუნა ბერძენიშვილი თუ გიორგი ბარათაშვილი? აი, რა აწუხებს ტელემაყურებელს. მთავარია, იყოს სერიალი — თვალწარმტაცი პატრიცია და ბანჯგვლიანი ხორხე, ბოროტი ვიოლეტა და სიმპათიური დიეგო, აღშფოთებული ხათუნა და შეშფოთებული გიორგი, მართალი ლევანი და ალალმართალი დოდო...

თანამშრომლები სამეურვეო საბჭოსთან შეხვედრას ითხოვენ — ამ ფილმის პრემიერა გასულ კვირაში შედგა. მთელი ამ წლების განმავლობაში ერთხელაც არ მოუთხოვიათ მსგავსი შეხვედრის მოწყობა, მიზეზი არ ჰქონიათ, ყველაფერი მოსწონდათ, ყველაფერს ეთანხმებოდნენ, ყველაფერს ტაშს უკრავდნენ.

ჩვენ საზოგადოება კი არა, ტელემაყურებელთა კლუბი ვართ. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ არც საზოგადოებრივია და არც მაუწყებელი, სადავო მხოლოდ ისაა, თავისი არსით იგი საზოგადოებისგან უფრო შორს დგას თუ, თავისი საქმიანობით — მაუწყებლობისგან. ეს უნდა იყოს განსჯის საგანი, მაგრამ რაზე ვაკეთებთ აქცენტებს, როცა „აქცენტებს“ აკეთებს ერთი ტუტრუცანა გოგო?

ისევ ბულდოზერი გამახსენდა...

„საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლების ნაწილი სამეურვეო საბჭოს უნდობლობას უცხადებს. არხის თანამშრომლებმა საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ მაუწყებელში შექმნილი ვითარების შესახებ განცხადების გაკეთება „პირველი არხის“ ეთერით, დავით პაიჭაძის გადაცემაში სურდათ, თუმცა ამის საშუალება არ მიეცათ. მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოადგილის, გოგა ჩართოლანის განმარტებით, სრულიად გაუგებარია ის პუნქტები, რის გამოც სამეურვეო საბჭომ გიორგი ბარათაშვილის გენერალური დირექტორობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო და თანამშრომლებისთვის გაუგებარია, რაში მდგომარეობს კრიზისი...“

სტოპ!!! მართლაც ბევრი რამაა გაუგებარი და ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მთავარია გაგება, მაგრამ როგორ მიიღწევა გაგება? გაგება მიიღწევა ფიქრით, განსჯით, ცოდნით, ანალიზით და რადგან უსიყვარულოდ მზეც არ სუფევს ცის კამარაზე, ბუნებრივია, უსიყვარულოდ არც გაგება მიიღწევა.

კრიზისი კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ წლების განმავლობაში საზმაუ-ს თანამშრომლები ერთხელაც არ აღშფოთებულან, ქუჩაში ერთი რომ ხდებოდა, „მოამბეში“ კი მეორეს აჩვენებდნენ. საზოგადოება ისედაც უნდა გიყვარდეს, მაგრამ როდესაც „საზოგადოებრივი“ გქვია და ეს სიტყვა თუნდაც მხოლოდ შენი დაფინანსების ფორმის განმსაზღვრელი იყოს, საზოგადოებაზე უნდა გაფანატებდეს.

ყველამ ვიცით, რაც მოხდა 7 ნოემბერს, 6 მაისს, 15 ივნისსა და 26 მაისს; ყველამ ვიცით, რაც დაემართათ რობაქიძეს, გირგვლიანს, ვაზაგაშვილსა და სხვებს; ყველამ ვიცით, რასაც წარმოადგენენ გურამ დონაძე და ნუგზარ წიკლაური, მიხეილ სააკაშვილის დედა და გოკა გაბაშვილის მამა; ყველამ ვიცით, რისი მაქნისები არიან გია თორთლაძე და სვიმონ მასხარაშვილი, გიგა ნასარიძე და ალისტრახო როხვაძე... ბევრი რამ ვისწავლეთ, თუმცა ისე გამოვიდა, რომ ვისწავლეთ სხვაგან და არა იქ, სადაც სწავლაში ფულს ვიხდიდით და ახლაც ვიხდით.

„აშშ-ს მთავრობის სხდომიდან: „დაიხოცა ორასი ინდიელი“; „რამდენი დაიხარჯა ამაზე?“ „ორი მილიონი დოლარი“; „ამ ფულით შეიძლებოდა, მათთვის უმაღლესი განათლება მიგვეცა“ — ეს არის მარკ ტვენი, ხოლო ეს — „ვთვლი, რომ სამეურვეო საბჭომ ძალიან სამართლიანი და სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ბორდ-ის ხელმძღვანელმა ლევან გახელაძემ სწორად ახსნა, რომ ამ პოლიტიკურ კრიზისში არ შეიძლებოდა გარკვეული მხრიდან სიტუაციის პროვოცირება, მაგრამ აქ მთავარი ფაქტორია დაბალანსებული საინფორმაციო გამოშვებები. რეზოლუციების მიუხედავად, არ მთავრდება ზეწოლის მცდელობა საინფორმაციო სამსახურზე“, — ეს ხათუნა ბერძენიშვილია.

ისე, რეზოლუციების მიუხედავად, ჯერ არც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგენილა, მაგრამ ეს მეორე და იქნებ, მესამეხარისხოვანი საკითხიც იყოს, გასულ კვირაში ხომ მთავარი აქცენტები „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ კეთდებოდა!..

ისევ გამახსენდა ბულდოზერი... და ბარემ ახლავე გეტყვით, რატომაც მახსენდება „ავატარში“ ნანახი ბულდოზერი.

აი, ყველა იმაზე რომ მსჯელობს, რა ეშველება საზოგადოებრივ მაუწყებელს, უნდა შეიცვალოს თუ არა ბორდ-ის დაკომპლექტების წესი, უშველის თუ არა საქმეს ბარათაშვილის ან ბერძენიშვილის აღდგენა, გახელაძის გადაყენება, კვესიტაძის დაჭკვიანება და სამოთხის ვაშლების გაახალგაზრდავება, ასე მგონია, ეს ყველაფერი სისულელეა და გამოსავალი მხოლოდ ბულდოზერშია. სპეციალურად ვეწვიე ტექნიკური უნივერსიტეტის საგზაო-სამშენებლო მანქანების კათედრას, სადაც პროფესორმა, ქალბატონმა ლია სუთიძემ ამიხსნა, მხოლოდ ბულდოზერით საქმე არ კეთდება და ბულდოზერთან ერთად, საჭიროა ტრაქტორი, გრეიდერი და ექსკავატორი. მეზევრა, მეძვირა. მეძვირა, მაგრამ სად ერთი ბულდოზერი და რამდენიმე ექსკავატორი ერთჯერადად, და სად 50 მილიონი ყოველწლიურად!

მიაყენე, გადაასწორე, დალიე „ფანტა“ და გაიზიარე საზოგადოებრივი მხიარულება. დაზოგე 50 მილიონი ყოველწლიურად და ყოველდღე დაზოგე ჯანმრთელობა. ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს და რადგან ფულს ვიხდით, ვაშლებსაც ვარჩევთ. გვინდა, ჩვენ ჭიანი და მოკბეჩილი თურქული ვაშლი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ვილაცამ მას „სამოთხისა“ უწოდა?

ასეთი აზრიც მოვისმინე: „აჭარის მოსახლეობა იმსახურებს, რომ მას ჰქონდეს საზოგადოებრივი მაუწყებელი“. ანუ, აჭარის ტელევიზიას სახელმწიფო ტელევიზია რომ ჰქვია, ყოფილა ცუდი, გამოსავალი კი არის ის, რომ უნდა დაერქვას „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. როგორც ვიცი, მედია-ექსპერტები ამ საკითხზე აქტიურად იჭყლეტენ ტვინს, მაგრამ ისიც ხომ ასპროცენტიანია, რომ ქაქს უწოდებ, განავალს თუ ფეკალურ მასას, უკაცრაული რიტორიკული კითხვაა და, „მძ...რი“ მაინც „მძ...ად“ არ დარჩება?! რაღა შორს წავიდეთ — პრეზიდენტი სააკაშვილი და პრემიერ-მინისტრი სააკაშვილი განა ერთი ის არ არის... რა ჰქვია, კაცო, იმას?!

იმას, რაშიც ეს ქვეყანა იმყოფება...

„პატიმართა წამებაში ბრალდებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი გაგა მკურნალიძე ბრალს აღიარებს, — ამის შესახებ მისმა ადვოკატმა კობა ამბარდნიშვილმა განაცხადა. „გაგა მკურნალიძე იზიარებს სრულ პასუხისმგებლობას და ყველა დაზარალებულს ბოდიშს უხდის. ამბობს, რომ არის რეჟიმის მსხვერპლი“. ამას რაღა ჰქვია? გაგა მკურნალიძე მსხვერპლია?

მგონი, ყველანი ვართ კოჰაბიტაციის მსხვერპლნი, იმ კოჰაბიტაციისა, აბორტის მსხვერპლსა და ჩვენს მიერ გაკეთებულ არჩევანს შორის რომ ხდება, თუმცა აბორტის მსხვერპლიც ჩვენი არჩევანი იყო. „ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ქვეყანაში ქართველი ხალხის არჩევანი შენარჩუნდეს, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ განაცხადა. მისივე თქმით, არავითარი საფრთხე ქვეყანას „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან არ ემუქრება“, — ეს ნიუსი გულზე მალამოდ მეცხო და მალამოს მალამო მოყვა:

„მიხეილ სააკაშვილთან ჩემი მოლაპარაკება უკავშირდება იმას, რომ უმცირესობის არც ერთი წევრი არ დარჩეს საზოგადოების მიღმა. მე ყველა ქართველი მიყვარს. არ მინდა სააკაშვილიც დარჩეს პროცესებს მიღმა“, — ბიძინა ივანიშვილის სიტყვებია.

რამე რო იყოს, სააკაშვილი და მისი ვაშა-ურა ძმები სოზარ სუბარისადმი დაქვემდებარებულ რომელიმე დაწესებულებაში საზოგადოების წევრებად ვერ დარჩებიან? ანაც, ბოლო დროს მოდურად ქცეული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, სახეს ვერ შეინარჩუნებენ? კარგად დააკვირდით სააკაშვილს, გაბაშვილს, ხაბაზს, წიკლაურსა და სხვებს. როგორიც უნდა იყოს კარცერი-ლუქსი და რამდენი წელიც უნდა გაატარონ იქ, განა მათ როდესმე გამომეტყველება შეეცვლებათ? განა პირველ ოქტომბერს რაც მოხდა, იმიტომ არ მოხდა, რომ ადამიანებმა სააკაშვილისა და მისი გუნდის პროცესებსმიღმა დატოვება გადაწყვიტეს?

გასულ კვირაში პრემირებული დეპუტატების სია გამოქვეყნდა, ცოდო ვიყავი მეც, თქვენც და სრულიად საქართველოც. ამ სიას აღარ ჩავიკითხავ, თუმცა „იძულებული“ უსუფაშვილის განცხადებას კიდევ ერთხელ გადავიკითხავ და თქვენც იგივეს გირჩევთ:

„2012 წლის ბოლომდე ჩვენ იძულებული ვიყავით გვემოქმედა უკვე დამტკიცებული საბიუჯეტო პარამეტრებით და პარლამენტის წევრთა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების დამკვიდრებული პრაქტიკით. კერძოდ, პარლამენტის წევრები და აპარატის თანამშრომლები წლების განმავლობაში, ყოველ ივნისში და დეკემბერში, დამატებით იღებდნენ 2-2 თვის გასამრჯელოს, რომელსაც ერქვა „პრემია“. სინამდვილეში ეს არ იყო „პრემია“. ჩვენ შევცვალეთ ეს მახინჯი სისტემა. 2013 წლის იანვრიდან პარლამენტის წევრებისთვის არ არის გათვალისწინებული არანაირი პრემია არანაირი „შეფუთვით“.

რა გითხრათ, რით გაგახაროთ... გიხაროდენ: „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა პრემიები იძულებით მიიღეს, იცოდნენ, რომ არ იმსახურებდნენ, მაგრამ თავს ზევით ძალა აღარ იყო... ძალიანაც უნდოდათ, რომ დაუმსახურებელი პრემიებით ქვრივ-ობლებს შეწეოდნენ, მაგრამ...

...ადრე თუ გვიან, მეფეს და პაიკს ერთ ყუთში ყრიან, და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომელი მეფის აგენტი იყო პაიკი, ცხენთან მეგობრობდა თუ ტურასთან, წინ და უკან დააბიჯებდა თუ დიაგონალებს ტკეპნიდა, უბრალოდ, აგენტი იყო თუ ორმაგი აგენტი, გამრეკელი იყო თუ ჩრდილელი...

„დავით უსუფაშვილმა მე რატომ მომცა პრემია ან ჩემს რომელიმე კოლეგას, ალბათ უფრო მას უნდა ჰკითხოთ“, — აღნიშნა გიორგი ბარამიძემ. მერვე მოწვევის პარლამენტში გიორგი ბარამიძემ პრემიის სახით 8 562 ლარი მიიღო...“

სანამ ვკითხავდი, დამასწრო და პასუხი იყო არა, უბრალოდ, დამაკმაყოფილებელი ან კარგი, არამედ ფრიადი — იძულებული ვიყავიო. ცხოვრება ეგეთია, იძულებითი და ახლა მეც იძულებული ვარ, აღვნიშნო, 1989 წლის შემდეგ გია ბარამიძისადმი პირველად განვიმსჭვალე პატივისცემით.

„უმცირესობის რიგებში ისეთი პირები მოიძებნებიან, რომლებიც სააკაშვილთან ჭიპლარით მიბმულნი და მის ნება-სურვილზე დამოკიდებული არ არიან“.

კარგად თუ დავაკვირდებით და გავიხსენებთ, უმრავლესობაც სავსეა ისეთებით, სააკაშვილის ჭიპლარის გარეშე სიცოცხლე რომ ვერ წარმოედგინათ. ის ამბავი — მეოცნებეებმა უბეჯიბეები პრემიებით რომ გამოიტენეს — მართლაც წარმოუდგენელი იყო, მაგრამ აწი ყველაფრის წარმოდგენა შეიძლება. ახლა კი წარმოგიდგენთ ქართველი რემბოების იმ სიას, რომელმაც დღის სინათლე (ამოვიდა მზე და გამოანათა) გასულ კვირაში იხილა: „იარაღით დაჯილდოებულნი არიან: აკაკი მინაშვილი, ნუგზარ წიკლაური, ზაზა გოროზია, ლაშა მაქაცარია, გურამ მისაბიშვილი, ხათუნა კალმახელიძე, თემურ იაკობაშვილი, ალექსანდრე ქობალია, ლევან ქარდავა, მეგის ქარდავა, მომღერალი მერაბ სეფაშვილი, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გასართობი პროგრამა „შაბათის შოუს“ სცენარისტი-მსახიობი ვახტანგ ბიჭიკაშვილი, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გასართობი პროგრამა „შაბათის შოუს“ სცენარისტი-მსახიობი ნიკოლოზ არაბიძე“.

რა თქმა უნდა, მერაბ სეფაშვილი, ვახტანგ ბიჭიკაშვილი და ნიკოლოზ არაბიძე რეჟიმის მსხვერპლად უნდა ჩაითვალონ, თუმცა მაინც არ მესმის, რა უკანა ტანში შესანახად სჭირდებოდათ.

„ქუთაისის მერიის წინ თანამშრომლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, აქციაზე ქალაქის მერი ბესიკ ბრეგაძეც იმყოფებოდა. ბრეგაძის განცხადებით, ეს არის გამაფრთხილებელი აქცია, ცენტრალურ ხელისუფლებას მოუწოდებენ, შეწყდეს მერიაზე ზეწოლა, თვითმმართველობას არ ეძლევა საქმის კეთების საშუალება“, — ეს ამბავი იმიტომ გამახსენდა, რომ ქუთაისს ზუსტად ისევე ესაჭიროება ასეთი მერი და მერია, როგორც ვახტანგ ბიჭიკაშვილს „ვალტერი“ და ქართულ საზოგადოებას „საზოგადოებრივი მაუწყებელი“.

პროკურატურას სჭირდება ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც არ აკონკრეტებს, რა საქმესთან დაკავშირებით იმყოფებოდა მთავარ პროკურატურაში. ოქრუაშვილმა განაცხადა, „ბევრ სხვადასხვა საქმესთან დაკავშირებით ვიმყოფებოდი“.

მიდი და დათვალე, მაინც რამდენია ის „ბევრი სხვადასხვა საქმე“... ჯობს, ის გავიხსენოთ, რომელ ბნელ საქმესთან არ ექნება კავშირი. ერთი ხელის თითებიც გვეყოფა და დავთვალოთ. ჩვენ ეგ დავთვალოთ, ზურაბ ჯაფარიძე კი ნისიების რაოდენობას ითვლის: „მაღაზიებში გაიზარდა ნისიად წაღებული საქონლის რაოდენობა, — ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ საკანონმდებლო ორგანოს დღევანდელ სხდომაზე განაცხადა. „რეგიონებში მოქალაქეები საუბრობენ, რომ აღარ აქვთ ფული, რამე იყიდონ. მაღაზიებში გაიზარდა ნისიად წაღებული საქონლის რაოდენობა. ისინი საუბრობენ ეკონომიკურ პრობლემებზე“, — განაცხადა ჯაფარიძემ“.

მოდით, „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ თავისი სახელი დავარქვათ. „საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი AEI-ს (American Enterprise Institute) მსოფლიო ფორუმის მუშაობაში მონაწილეობს. ამის შესახებ პრეზიდენტის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზეა აღნიშნული. ორდღიანი დახურული არაფორმალური შეხვედრა ჯორჯიას შტატში (Sea Island) იმართება. AEI-ს მსოფლიო ფორუმზე უცხოელ ლიდერთაგან მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტია მიწვეული“ — როგორ შეგვიფუთავდა ამას „საზოგადოებრივი მაუწყებელი“? იტყოდა, რომ ფორუმის ორგანიზატორებმა ფორუმში მონაწილეობაზე უარი უთხრეს ამერიკისა და საფრანგეთის პრეზიდენტებს, ასევე — დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და იაპონიის პრემიერ-მინისტრებს.

ჰოდა, ელისო ჩაფიძის განცხადება — „დღევანდელ ხელისუფლებას არ აქვს და არც სამომავლოდ უნდა ჰქონდეს იმის ბერკეტი, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელზე რაიმე სახის კონტროლი განახორციელოს“ — მხოლოდ პოლიტკორექტულობის ნიმუშია და მეტი არაფერი. ელისაბედ, ძვირფასო, შეხედე — „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მთელი შემადგენლობა თავად არის ბერკეტი, რომც არ მოინდომო, აქეთ მოვლენ — მმართე და მაკონტროლეო. ამიტომაც, საჭიროა დიიიდი ბულდოზერი და სრულიად ზედმეტია ეს: „მაუწყებლობის შესახებ კანონში შესატანი ცვლილების ავტორები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან კონსულტაციას მართავენ. დავით უსუფაშვილთან შეხვედრაში ასევე მონაწილეობენ საზოგადოებრივი მაუწყებლის ის წარმომადგენლები, რომლებიც დღეს პარლამენტში საკომიტეტო სხდომებში მონაწილეობდნენ“.

ბულდოზერი! დროზე ბულდოზერი, თორემ საცაა, ვინანებ, რომ არ გავჩნდი სხვა პლანეტაზე, სადაც საზიზღარ ჯოჯოებზე შემომსხდარ ყურცქვიტა კუდიანებს სულაც არ ადარდებთ დარჩებიან თუ არა საზოგადოების წევრებად სახეები, რომელთა დანახვაზეც საზოგადოებას, ყოველგვარი ნაუწყებარის გარეშეც რწყევა უნდება.

**ყ.მ.დ. (ყველაფერს მე დავიწყებ) „ყველაფერი შენი დაწყებულია“ — განზე მდგომი ადამიანის მთელი ობიექტურობით მითხრა ტოგომ. ეს ის მომენტი იყო, როდესაც აუცილებლად უნდა დამემტკიცებინა ჩემი ინტელექტუალური უპირატესობა. მძიმე მდგომარეობიდან გამოვედი იმით, რომ თითოეულ მათგანს ცხვირ-პირის ამონაყვას შევპირდი.**

***(ოთარ ჩიჯავაძე, „თვითმკვლელები“)***



ნინო კომახიძე
599-95-33-16

# ინტერვიუ ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილთან



## მაჟორიტარული არჩევნები უქმდება და 2013 წელს არჩევნები ოპტიკური სკანერებით ჩატარდება?

**შუალედური არჩევნები ახლოვდება. მიუხედავად ამისა, საარჩევნო თემატიკა უფრო აქტუალური მას მერე გახდება, რაც „ოცნებისა“ და „ნაციონალების“ კანდიდატები ნაძალადევში, სამტრედიასა და ბაღდათში დარეგისტრირდებიან ან პარლამენტში სულ ორი დღის წინ, ლამის ჩუმადშექმნილი ინტერფრაქციული ჯგუფი ალაპარაკდება საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე. მანამდე, ცესკო-ს თავმჯდომარე „ვერსიას“ ექსკლუზიურ ინტერვიუს აძლევს და იმ ნოვატორული რეფორმების შინაარსს უმხელს, რაც 2012 წლის გამოცდილებით, საარჩევნო სისტემას 2014 წელს მაინც გააუმჯობესებს. რატომ უნდა შეეზღუდოს პარტიებს წინასაარჩევნოდ ბლოკების შექმნის უფლება, რატომ უნდა ჩამოვიდეს 5%-იანი საარჩევნო ბარიერი მაინცდამაინც 0,67 %-მდე, არჩევნების რა ტიპი შეცვლის მაჟორიტარულ სისტემას და როგორ დაითვლის სწრაფად ამომრჩევლის ხმებს ოპტიკური სკანერი? — „ვერსიის“ კითხვებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი პასუხობს.**

**— 2012 წლის არჩევნების ზედაპირულ საერთაშორისო შეფასებას ბევრი იცნობს და ის დადებითად მიაჩნია — რა არის ვენეციის კომისიისა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების საბოლოო შეფასება ოქტომბრის არჩევნებზე?**

— პროცესი შესაბამისობაში იყო ეუთო-სა და ევროკავშირის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებთან, თუმცა გვქონდა შეფერხებები. მე მაქვს საბოლოო დასკვნა, სადაც ნათქვამია, რომ არჩევნები იყო რეალურად კონკურენტული, თუმცა პოლარიზებული: დაძაბული, მკვეთრი რიტორიკის გამოყენებითა და ძალადობის გამოვლინებით — ანუ ხშირად პროცესი ცივილურ ჩარჩოებს სცდებოდა. ამ შეფასებებში ყველაზე მთავარი ფრაზა ისაა, რომ საკუთარი პოლიტიკური პლატფორმის წარმოჩენის ნაცვლად, ხშირად, ერთი მხრივ, თანამდებობის, მეორე მხრივ, კერძო ფინანსური რესურსების გამოყენებასთან გვქონდა საქმე. ჩვეულებრივ ენაზე რომ ვთარგმნოთ, ეს იყო ჭიდაობა ადმინისტრაციულ რესურსსა და ფულს შორის. ამ შემთხვევაში, ფულმა გაიმარჯვა ადმინისტრაციულ რესურსებზე.

**— ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჩვენთან პოლიტიკური გაერთიანებები არ მუშაობს: ფული რომ არ ყოფილიყო, ვერც „ოცნება“ გაიმარჯვებდა, როგორც ვერ გაიმარჯვა ალასანიას ალიანსმა 2010 წელს, გაჩეჩილაძის „ეროვნულმა საბჭომ“ 2008 წელს. რა აჩვენა 2012 წლის არჩევნებმა ამ კუთხით?**

— ჩვენთან პოლიტიკური გაერთიანებების განვითარება ჩამორჩება საზოგადოებისას. აქ, თანამედროვე გაგებით, პარტია რასაც ჰქვია, ასეთი გაერთიანება არ გვაქვს.

> **ჩვენთან ყველა პარტია საბჭოთა ტიპისაა და თავისი ბელადი ჰყავს, რომელიც არასოდეს იცვლება. ერთადერთი გამონაკლისი ახალმა მემარჯვენეებმა დაუშვეს, როცა გამყრელიძემ თქვა, წავალო და მართლა წავიდა. ეს პრეცედენტია, არადა, ჩვეულებრივი მოვლენა უნდა იყოს დანარჩენებისთვისაც. საბჭოთა პარტიებს ჩვენი პარტიები იმიტომაც ჰგავს, რომ წევრები თუ აქტივისტები მასში მხოლოდ სარგებლის გამო შედიან — ეს ან ფულია, ან თანამდებობა.**

თავის მხრივ, პარტიამ რომ გაიმარჯვოს, ფული იქეთ სჭირდება — თუ ფული არ გაქვს, პარტია არ გყავს. ჰოდა, ვისაც ფული აქვს, იმას ჰყავს წევრებიც, ფულის გამოჩენა კი პოლიტიკურ სიტუაციას აცოცხლებს და ეს პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევი რეგიონებშია. ფაქტია, საარჩევნო რეფორმის გატარებისას, ეს პრობლემებიც განხილული უნდა იყოს.

**— ალბათ, საარჩევნო რეფორმაში თქვენს ინიციატივასაც მოიაზრებთ, საარჩევნო ბარიერის 1%-მდე დაწევასთან დაკავშირებით, რაც სააკაშვილმა დაიწუნა, საზოგადოების ნაწილმა კი თქვა, რომ ეს განცხადება მომავალ არჩევნებში „ნაციონალების“ გადასარჩენად გაკეთდა. კონკრეტულად, რა დათვლით მიიღეთ ეს 1%?**

— რაც შეეხება რომელიმე პოლიტიკური ძალის გადარჩენას, ენას ძვალი არ აქვს და, სხვათა შორის, ეს თემა ყველაზე ნაკლებად იმ პოლიტიკურ ძალებს აწყობს, ვინც 5%-იანი ბარიერი გადალახა. ასე რომ, ინიციატივა სწორედ იმას ეხება, ვინც პარლამენტსგარეთ დარჩა, თუმცა ბარიერის დაწევაზე კი არა, სულ სხვა პრინციპზე მქონდა საუბარი, რაც არ გაშუქდა — აქ ძირითადი თემა წინასაარჩევნოდ დაბლოკების შეზღუდვაა.

> **ბლოკებისა და კოალიციების შეკვრა და სამთავრობო კაბინეტის ჩამოყალიბება არჩევნების შედეგების მიხედვით უნდა მოხდეს — ბევრ პარტიას იმის საშუალება აღარ ექნება, საარჩევნოდ „ლოკომოტივს ჩაებას“ და ისე შევიდეს პარლამენტში. შესაბამისად, როცა პარტიები ცალ-ცალკე გავლენ, ბუნებრივია, ბარიერიც უნდა დაწიო. ესეც საარჩევნო რეფორმის ერთ-ერთი შეთავაზება უნდა იყოს პარტიების გაძლიერებისთვის! მეტსაც გეტყვით, უფრო სწორი და ბუნებრივი ბარიერის 0,67%-მდე დაწევა იქნებოდა. თუ პარლამენტში 150 წევრი გვყავს, 1/150 სწორედ 0,67% გამოდის. შესაბამისად, პარტიამ პარლამენტში ერთი ადგილი რომ მიიღოს, ამისთვის ზუსტად ეცოდინება, არჩევნებში ხმების რა რაოდენობა სჭირდება.**

**— რომელ ქვეყნებშია მსგავსი ტრადიცია ან თქვენს შეთავაზებას ქვეყნის გარეთ რა შეფასება მოჰყვა?**

— მაგალითად, ჰოლანდიაში, სადაც ბარიერის დაწევას ასე უყურებენ — რაც უფრო დაბალია ბარიერი, მით დიდია ალბათობა, პარლამენტში ვიწრო ჯგუფების ინტერესთა დამცველებიც მოხვდნენ. აქაც ასეთი მიდგომაა საჭირო, რადგან 5%-იან ბარიერს მხოლოდ ისეთი პოპულისტური პარტიები გადალახავენ, რომლებიც ფართო მასებზე მუშაობენ. მაგალითად, 1%-იანი ბარიერის გადალახვის პირობებში, პარლამენტში „ქრისტიან-დემოკრატები“ და „ლეიბორისტები“ შევიდოდნენ და არა 2, არამედ მინიმუმ 4 ძალა გვეყოლებოდა. რაკი აქცენტი გამუდმებით ევროპულ დემოკრატიაზე კეთდება, იქაური სტანდარტებით, 4-6 საპარლამენტო ძალა სწორედ ოპტიმალურია. მეორე მხრივ, პატარა ფილტრიცაა საჭირო, რათა ძალიან პატარა პარტიები ჩამონათვალში არ მოხვდეს. ეს უნდა იყოს, ვთქვათ, 50 000-ლარიანი დეპოზიტის დაწესება არჩევნებში მონაწილეობისთვის.

**— „ოცნებაში“ ხან კულუარულად, ხან საჯაროდ, იმაზე საუბრობენ, რომ თავად ცესკო-ს დაკომპლექტების წესია შესაცვლელი, რადგან კომისია ზედმეტად პოლიტიზებულია და მასში პარტიული წარმომადგენლობა მაღალია. ამ აზრს იზიარებთ?**

— ყველას შევახსენებ, რომ სწორედ ის პარტიები, ვინც 2008 წლის არჩევნებში მონაწილეობდა და ახლა „ოცნებაშია“ წარმოდგენილი, დაჟინებით მოითხოვდნენ ამ წესის მიღებას. 2008 წლის ბოლოს შემოვიდა ცესკო-ს დაკომპლექტებაში პარტიული ელემენტი. მაშინდელი ოპოზიცია დღეს ფართოდაა წარმოდგენილი პარლამენტში და ახლა გახდა მიუღებელი მათი დაჟინებული მოთხოვნით შემოღებული წესი?! დანარჩენი საზოგადოებამ განსაჯოს! საარჩევნო კანონმდებლობა გადამწყვეტი ფაქტორი რომ არ არის, ეს 2012 წლის არჩევნებმაც აჩვენა. რაც ხდებოდა, ამას კანონმდებლობა ვერანაირად ვერ შეაჩერებდა — დიდი ფული და დიდი ადმინისტრაციული რესურსი მაინც დაეჯახებოდა ერთმანეთს, თუმცა ყველაფრის მიუხედავად, ეუთო-მ ჩვენს საარჩევნო ადმინისტრაციაზე დაწერა: მთლიანობაში, ცესკო-ს მაღალი ნდობა ჰქონდა და ის არჩევნების პროცესს ყველა ვადის დაცვით, ეფექტურად წარუძღვაო. მეტი რა უნდა ეთქვათ, პრაქტიკულად, ეს უმაღლესი შეფასება იყო.

**— რას ვიღებთ დაკომპლექტების წესის შეცვლით?**

— ზუსტად ესაა საქმე — მივიღებთ კი ამაზე უკეთეს შედეგს, ვიდრე ახლა გვაქვს? თქვენ გგონიათ, სხვანაირი დაკომპლექტების შემთხვევაში, ცესკო-ს წევრებზე ზეწოლა აღარ იქნება, ვინც საარჩევნო უბნებზე დროშით დარბოდა, ის აღარ ირბენს, თუ რა?! აქ უკვე ისაა მნიშვნელოვანი, რა ღირებულებებით გამოდიან არჩევნებზე ძირითადი მოთამაშეები და რამდენად იცავენ თამაშის წესებს.

> **„ოცნებაცა“ და „ნაციონალებიც“ დადგენილი ჩარჩოებიდან იმ უპირატესობით გადიოდნენ, რაც თითოეულ მათგანს ჰქონდა, ამიტომ თეთრი ხელთათმანებით ნურც ერთი ნუ ილაპარაკებს!**

> **საარჩევნო ადმინისტრაციამ ძალიან კარგად იმუშავა და იმედია, იმის ფანტაზია არავის ექნება, რომ გავლენა მოვახდინე ეუთოზე და კარგი შეფასება ძალით დავაწერინე! საარჩევნო ადმინისტრაციაზე ასე საუბარი, შინაარსით, არაფრით განსხვავდება სასამართლოსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო მიმდინარე პროცესებისგან, ეს გავლენის მოპოვების მცდელობაა და სხვა არაფერი, თუ რატომ, ეს საპარლამენტო უმრავლესობას ჰკითხეთ.**

**— ამასობაში, შუალედური არჩევნებიც ახლოვდება. ამ რეჟიმში, ცესკო მის ჩასატარებლად მზადაა?**

— წარმოიდგინეთ, ეს საკმაოდ მწვავე არჩევნები იქნება, ოღონდ არა შედეგის, არამედ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით — ეს იქნება პირველი ტესტი არჩევნებიდან 6 თვის შემდეგ, როგორია ამომრჩევლის განწყობა. ეს სამი ოლქი ზოგად განწყობას ვერ გამოაჩენს, მაგრამ რაღაც ტენდენციას ნამდვილად აჩვენებს. ვფიქრობ, მწვავე დაპირისპირება სამივე ოლქში თუ არა, ნაძალადევში მაინცაა მოსალოდნელი.

*დასასრული მე-4 გვერდზე*

## ჟოზეფ კეი გია ხუხაშვილისა და დეპუტატ გიორგი ვაშაძისაგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს!

## ღია წერილი

არ შემიძლია არ დავეთანხმო გადაცემა „პოზიციის“ 5 მარტის ერთ-ერთ რესპოდენტს — რეჟიმის დამარცხება უფრო იოლია, ვიდრე სისტემის, მაგრამ ამ თემას კიდევ უფრო თუ განვაზოგადებთ, სისტემურად, გეგმაზომიერად სტერეოტიპების დამსხვრევა თავად ვერ მოგვიხერხებია. **როგორც გია ხუხაშვილმა ბრძანა „მორალური“ და „პროფესიული“ კრიტერიუმებიდან გვესაუბრება თურმე მთელი ცხოვრება; თუმცა არავინ უნდა გაბედოს მასთან შეკამათება!**

ტოტალურ, დიქტატორულ რეჟიმში უკვე ვიცხოვრეთ — ვიღაცამ ამას სიცოცხლე, თავისი სახელი, იმიჯი და ფინანსები შესწირა.

მესმის, რომ მედალს ორი მხარე აქვს, მაგრამ არსებობს ერთი მაგრამ...

თითოეული ჩვენგანის ცოდვა-მადლი სხვაგან აიწონება, თუმცა არც აქ ვაპირებ დუმილს. ამის დიდი გამოცდილება მაქვს და მივხვდი, დუმილი ყოველთვის არ აღიქმება ძლიერებად და სიმართლედ, ჩემი დუმილი ვიღაცებს საშუალებას აძლევს, თაღლითი მიწოდოს! თავად კი ცივილური თანაცხოვრების ფორმულას გვთავაზობენ — ბოდიში მოიხადოს ყველამ და მხოლოდ ამის შემდეგ შედგება კოჰაბიტაციაო!

კი, ბატონო! — მე, ჯოზეფ კეი, ბოდიშს ვიხდი, რომ მიხეილ სააკაშვილსა და მის ბანდას არსებობა გავუხანგრძლივე! ბოდიში იმისთვის, რომ ძმის გარდაცვალების შემდეგ, მისი ნების აღსრულება ჩემთვის ღირსების საქმედ იქცა, საფრთხე, რომელიც მის და ჩემს ოჯახს ელოდა უფრო რეალურად შევაფასე! ბოდიში, ოჯახური კონფლიქტის ქუჩაში გამოფენა რომ არ მინდოდა!

**ბოდიში იმისთვის, რომ სააკაშვილის მთავრობასთან ერთად, ხუხაშვილი და მისთანანი ჩემგან მონსტრს ქმნიდნენ და ხმა არ ამოვიღე! ბოდიში, თვითმკვლელობაზე რომ არ წავედი და ჩემი ახლობლების თავისუფლება და სიცოცხლე საფრთხის ქვეშ არ დავაყენე!** ბოდიში, იმ 200 მილიონისთვის 2003 წლიდან საქართველოში რომ დავაბანდე! გადასახადებისთვის, რომელსაც ვიხდიდი! რამდენიმე ათასი ადამიანისთვის, რომელიც დავასაქმე! ბოდიში, დასმულ კითხვას პირდაპირ გულწრფელად რომ ვუპასუხე...

აღარ გავაგრძელებ. **ერთი ვიცი, ჭორაობა არც ექსპერტობაა და არც კაცობა! მეც მაქვს რამდენიმე კითხვა და არა ჭორის დონეზე — არა მგონია, გია ხუხაშვილი დავით კეზერაშვილის ყოფილ კაბინეტში ბიზნესმენებს მეწარმეთა შესახებ კანონის გაჯანსაღებასა და ქვეყნისთვის სასარგებლო საინვესტიციო გარემოს შექმნაზე სასაუბროდ იბარებდეს, ან იქნებ „თაღლითის“ ახალ დეფინიციას აყალიბებს?!**

იმ ახალგაზრდა „ნაციონალს“(მგონი, ვაშაძეა გვარად) და გია ხუხაშვილს იმის დამტკიცება მოუწევთ, რასაც აცხადებენ ან ცილისწამებისთვის თქვენს ეთერში ბოდიში მოიხადონ! თუ არადა, სასამართლოში მოუწევთ პასუხის გაცემა, იქ გავარკვიოთ მტყუან-მართალი.

*ჩემ ცხოვრებაში დუმილის დრო დამთავრდა!*
*პატივისცემით,*
*ჯოზეფ კეი*

# ინტერვიუ ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილთან

*მე-3 გვერდიდან*



**— რატომ, თბილისი კარგა ხანია, „ოპოზიციური“ ქალაქია?**

— ჰოდა, „ძველით“ ოპოზიციური თუ „ახლით“, ამას ახლა გავარკვევთ. კანდიდატად დარეგისტრირების ვადები ჯერ არ გასულა და, ალბათ, სიტუაცია სწორედ მაშინ დაიძაბება, როცა კანდიდატები დასახელდებიან — ვადა 28 მარტამდეა. მომავალი რეფორმისთვის, სხვათა შორის, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყველა თუ არა, დარღვევების მინიმუმ 90%, გადაბირების, მოსყიდვისა თუ ზეწოლის თვალსაზრისით, სწორედ მაჟორიტარი კანდიდატების მიერ ხდება. პიროვნულ დონეზე დავიდა კონფლიქტი ხაშურშიც და იქ მომხდარი მაჟორიტარი კანდიდატების სინდისზეა! შესაბამისად, მაჟორიტარული არჩევნების სისტემიდან ამოღებით, დარღვევები ცოტა იქნება.

**— მერე, ხალხი როგორ შეხვდება იმას, რომ მის რაიონს პარლამენტში წარმომადგენელი აღარ ეყოლება? ეს საკითხი პარტიებთან განხილულია?**

— ერთადერთი პოზიტივი, რაც ამ საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებითაა ჩემთვის ცნობილი, ისაა, რომ როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიებიდან, წინააღმდეგობა არ არის.

**უნდა იყოს არა მაჟორიტარული, არამედ დარჩეს მხოლოდ პროპორციული სისტემა. სამაგიეროდ, სრულიად შესაძლებელია, პროპორციულ არჩევნებში პიროვნების არჩევაც — ეს ე.წ. ღია სისტემაა, რაც მაჟორიტარულ და პროპორციულ არჩევნებს აერთიანებს. ასე ვირჩევთ არა მარტო პარტიას, არამედ პარტიის წევრთა ჩამონათვალიდან სასურველს. ასე დგება პირადი რეიტინგებიც და ვაჭრობასაც აზრი ეკარგება.**

**— ისე, ყველა რომ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე ლაპარაკობს, რაც შესაძლოა, შუალედურთან ერთად ჩატარდეს, ან სამივე არჩევნები ოქტომბერში დაინიშნოს, ცესკო პრეზიდენტისა და პრემიერის ამ გამოხტომას გაუმკლავდება?**

— ღმერთმა დაიფაროს, ჩვენი საარჩევნო ადმინისტრაციაცა და ქართველი ამომრჩეველიც ამ სცენარისგან, თუმცა ჩვენი თავი ჯანდაბას, ხალხი მართლა ძალიან დაიბნევა. ცესკო ყოველთვის მზადაა და დღესვე რომ გამოცხადდეს სამივე არჩევნები, დადგენილ ვადებში ყველაფერს მოვასწრებთ, უბრალოდ, ამომრჩევლისთვის იქნება რთული არჩევანის გაკეთება და წინასაარჩევნო კამპანია საერთოდ გასაოცარი გვექნება. თორემ ჩვენ ყუთიც გვაქვს, ბიულეტენსაც დავბეჭდავთ და უბანსაც გავხსნით!

**— ეს ტექნიკური მხარეა — რაც შეეხება საარჩევნო რეფორმას, რა უნდა შეიცვალოს, რა გვაჩვენა 2012 წლის გამოცდილებამ?**

— ჯერ უნდა შევთანხმდეთ მთავარ პრიორიტეტებზე, საერთოდ, რა გვინდა, რომ საარჩევნო სისტემამ უზრუნველყოს. ჩვენი მხრივ, ჩამოვაყალიბეთ 4 პრინციპი: 1. საარჩევნო სისტემა უნდა იყოს მარტივი; 2. შედეგების შეჯამების დროულობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია; 3. პოლიტიკური გარემოს განვითარების ხელშეწყობა; 4. საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა.

**— მაგალითად, დროულობის პრობლემას შევეხოთ — სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია, რაც „ოცნებამ“ გასულ არჩევნებზე წამოგიყენათ. ხმის დათვლას როგორ დააჩქარებთ?**

— ბუნებრივია, რაც უფრო გვიან იდება შედეგი, მით არასანდოა იგი. ისეთი სისტემა უნდა გვქონდეს, რომ შედეგები მაქსიმალურად სწრაფი იყოს და შედარებით ადვილადაც დავთვალოთ — თავად პროცედურები უნდა გამარტივდეს. აქ ორი მომენტია: ერთი ის, რომ დათვლის პროცედურა იმდენად მძიმე და ხანგრძლივია,

**საშუალოზე ოდნავ მოზრდილ უბანს, ხმის მიცემის დასრულების შემდეგ, 7-8 საათი სჭირდება დასათვლელად. თან ეს პროცესი ღამე მიდის და შეცდომების ალბათობაც, ცხადია, არის. მეორე გზაა, გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნოლოგიები, მაგალითად, როგორიცაა არჩევნების დათვლა ლაზერული სკანერით, რომელიც შედეგს ხმის მიცემის დროს ასკანერებს და 8 საათზე, ღილაკზე თითის დაჭერით, პირდაპირ შედეგს აგდებს.**

**— მერე ეს სისტემა ქართულ რეალობაში გაამართლებს ან რა დაჯდება ეს სკანერები — ბიომეტრულ პასპორტებზე ამბობდნენ, ძვირიაო და ამ ოპტიკურ სკანერზე რაღას იტყვიან?**

— ასე თვლიან შედეგებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე, ბევრ განვითარებად ქვეყანაშიც, თუნდაც ფილიპინებში, სადაც არჩევნებმა წარმატებით ჩაიარა. მანამდე კი ხმებს 3 კვირას თვლიდნენ და 1 200 კაციც დაეღუპათ. შედეგები, ამ პრინციპით, სწრაფად მიიღეს ვენესუელაშიც. აქაც, სწრაფად რომ მოხდეს დათვლა, სადავო ცოტა იქნება. თან, ეს არც ისე ძვირი სისტემაა, რომ პოლიტიკური სტაბილურობა გადაწონოს. ამის მეორე ალტერნატივა ე.წ. თაჩსკრინიანი აპარატებია, რაც ამობეჭდავს შენს ხმას, როგორც ქვითარს და მერე ამ ამობეჭდილს პირდაპირ ურნაში აგდებს. გარწმუნებთ, ყველაზე მძიმე გამოცდილების მქონე ქვეყნებშიც კი ეს პრაქტიკა მხოლოდ დადებითი შედეგების მაჩვენებელი იყო.

**— ამ იდეას პერსპექტივა აქვს?**

— ვისთანაც რაიმე ტიპის საუბარი მქონია, ამ ინიციატივას უარყოფითად არავინ აფასებს, თუმცა ყველაფერი, ალბათ, ინტერფრაქციული ჯგუფის შეხვედრების მერე გამოჩნდება.

**— ეს ჯგუფი პარლამენტში დიდი ხნის ანონსის მერე შეიქმნა და ცოტა გაუგებარია, რაზე უნდა იმუშაოს, რა ცვლილებები უნდა მოამზადოს?**

— პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ ძალიან მინდოდა პირველ შეხვედრაზე დასწრება, მაგრამ ეს ანონსი წინა ღამეს გავრცელდა და ქუთაისში ჩასვლა ფიზიკურად ვერ მოვასწარით, ამიტომ იმედია, მომავალში უფრო გამართულად იმუშავებენ. თავად ჯგუფი როგორ იმუშავებს, არც ვიცი, მაგრამ როგორც ვხვდები, ეს იქნება საარჩევნო კოდექსისა და პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონი. მე მაინც ვფიქრობ, ყველა ის თემა, რაზეც ჯგუფი იმუშავებს, ძალაში 2014 წლის არჩევნებისთვის შევა და არა საპრეზიდენტოსთვის, 2013 წელს. ასე რომ არ მოხდეს, იგივე ტენდენციები გაგრძელდეს, მაშინ ისეთ მდგომარეობაში ვიქნებით, როგორც ძველი ქართული ანდაზა ამბობს — ჩვენთვის რა მნიშვნელობა ექნება, მგელი შეგვჭამს, თუ მგლისფერი ძაღლი?! ერთ-ერთი დეპუტატის არ იყოს, არაფერი იცვლება და თუ მარტო სახეები არ მოგწონდათ, პლასტიკურ ოპერაციებს გავიკეთებდითო!

**— ყველა იმ პრობლემის გათვალისწინებით, რაზეც ვისაუბრეთ, რა სჭირდება ცესკო-ს 2013 წლის არჩევნების გამართულად ჩასატარებლად?**

— პირველ რიგში, პოლიტიკური ნება ძირითადი მოთამაშეების მხრიდან — ჯერ ხელისუფლების, მერე მთავარი ოპოზიციური პარტიის, მერე დანარჩენების. სხვა გამოსავალი აქ არ არის. თუ პოლიტიკური ნება არ იქნა, არც ტექნიკურ მხარეს აქვს მნიშვნელობა!



## ირაკლი ღარიბაშვილმა შსს-ს თანამშრომელ ქალბატონებს 8 მარტი პირადად მიულოცა



შინაგან საქმეთა სამინისტროში წელს პირველად აღინიშნა ქალთა საერთაშორისო დღე — 8 მარტი. მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამინისტროს თანამშრომელ ქალბატონებს პირადად მიულოცა დღესასწაული და განსაკუთრებული დამსახურებისთვის დააჯილდოვა. მინისტრის გადაწყვეტილებით, სამინისტროში 8 მარტის აღნიშვნა ტრადიციად დამკვიდრდება.

ირაკლი ღარიბაშვილმა მილოცვისას ხაზგასმით აღნიშნა ქალების განსაკუთრებული როლი სამინისტროს ყოველდღიურ, წარმატებულ საქმიანობაში და განაცხადა, რომ მომავალი ორი წლის განმავლობაში სამინისტროში მომუშავე ქალბატონების რიცხვი 12-დან 20 პროცენტამდე გაიზრდება. მინისტრმა ასევე ისაუბრა ქალი-სამართალდამცველების მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილის შესახებ ისეთი დანაშაულების გახსნისას, როგორიცაა ტრეფიკინგთან ბრძოლა, არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულები, ოჯახური კონფლიქტების მოგვარება და სხვა.

ირაკლი ღარიბაშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა ოპერატიული დანაყოფის 47 თანამშრომელ ქალბატონს პირადად გადასცა მედალი — „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის".

ქალბატონებს ასევე გადაეცათ თაიგულები და სხვა საჩუქრები.

***„ვერსიანიუსი“***



## სამხედრო პოლიციელებს გირაო შეუფარდეს



ხუთ სამხედრო პოლიციელს, რომლებიც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და არაადამიანურ მოპყრობაში არიან ბრალდებულები, თბილისის საქალაქო სასამართლომ აღმკვეთ ღონისძიებად გირაო შეუფარდა. ისინი პატიმრობიდან მას შემდეგ გათავისუფლდებიან, რაც გირაოს თანხას გადაიხდიან 15 დღის ვადაში.

ბრალდებულ თორნიკე გუნავას, ალექსანდრე კუჭუაშვილსა და მერაბ მეტრეველს 10-10 ათასი ლარის გადახდა დაეკისრათ, ხოლო მამუკა წურწუმიასა და გიორგი სამუშიას — 20-20 ათასი ლარის.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით პროკურატურა უკმაყოფილოა. როგორც პროცესის შემდეგ ბრალდების მხარემ — პროკურორმა რეზო ნოდიამ განაცხადა, მოწმეთა დიდი ნაწილი ბრალდებულების თანამშრომლები არიან და არასაპატიმრო აღკვეთის პირობებში ბრალდებულებმა, შესაძლოა, გამოიყენონ ეს მდგომარეობა მოწმეებზე ზემოქმედების მიზნით.

ადვოკატ ირმა ჭკადუას განცხადებით, სასამართლომ კანონიერი გადაწყვეტილება მიიღო.

პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადებით, სამხედრო პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელის, მეგის ქარდავას უკანონო დავალებით, თორნიკე გუნავა, ალექსანდრე კუჭუაშვილი, მამუკა წურწუმია, მერაბ მეტრეველი, გიორგი სამუშია და კოხტა კოდუა მონაწილეობდნენ აფხაზეთიდან გადმოსული გ.ჩ-ს მიმართ არაადამიანურ მოპყრობასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთაში.

კერძოდ, აღნიშნული პირები გ. ჩ-ს აიძულებდნენ, ელიარებინა, თითქოს რუსების დავალებით ფულის სანაცვლოდ, ზუგდიდში უნდა გადმოეტანა ბომბი, რაზეც მისგან მიიღეს კატეგორიული უარი.

მეგის ქარდავას უახლოეს პერიოდში წარედგინება დაზუსტებული ბრალდება.

***„ინტერპრესნიუსი“***



რუსუდან შელია
557-100-768

**სამართალდამცავი სტრუქტურების ყოფილმა წარმომადგენლებმა, ძალოვანი ორგანოებიდან უკანონოდ დათხოვნილ თანამშრომელთა უფლებების დაცვის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართალდამცავთა დაცვის ლიგა“ ჩამოაყალიბეს. ლიგას 7 დამფუძნებელი ჰყავს, მათ შორის, ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე ლევან გვაზავა. როგორ წარმოუდგენიათ სამსახურებიდან გათავისუფლებული სამართალდამცავების უფლებების დაცვა და ვინ აფინანსებს ახლადშექმნილ ორგანიზაციას, „ვერსიას“ ლიგის ერთ-ერთი ლიდერი, ირაკლი ფირცხალავა ესაუბრა, რომელიც საზოგადოებამ ბუტა რობაქიძის სიცოცხლის უკანასკნელი კადრების ამსახველი ვიდეოს გავრცელებით გაიცნო.**

# „არჩევნების მერე ძალოვანი ორგანოებიდან გათავისუფლებული 1300 თანამშრომლის უფლებებს დავიცავთ“

**ვინ აფინანსებს, „სამართალდამცავთა დაცვის ლიგას“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილეა?**



— „სამართალდამცავთა დაცვის ლიგას“ შვიდი დამფუძნებელი ჰყავს, რომლებიც ძალოვან სტრუქტურაში, დაახლოებით, 17-18 წლის განმავლობაში მუშაობდნენ. მათ შორის არიან პოლკოვნიკები: კახაბერ ნაკანი, დავით იაშვილი, ბახვა ჩიქობავა, ირაკლი ფირცხალავა, ამასთან, ყოფილი პროკურორი ვახტანგ ბალავაძე და გენერალ-მაიორი ლევან გვაზავა, რომელიც ვანო მერაბიშვილის მოადგილე იყო. თითოეულ ჩვენგანს ამერიკასა და საფრანგეთში სპეციალური მომზადების კურსი აქვს გავლილი. არაერთი სხვადასხვა ხარისხის ჯილდოც მიგვიღია.

— **თქვენი ორგანიზაცია მხოლოდ 2003 წლამდე გათავისუფლებულ სამართალდამცავებს გაუწევს დახმარებას, თუ ათვლას „ვარდების რევოლუციიდან“ იწყებთ?**

— ამ ეტაპზე, იმ ადამიანების საქმეებს ვსწავლობთ, რომლებიც პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გაათავისუფლეს.

**სამწუხაროდ, ანალოგიური ორგანიზაცია წინა ხელისუფლების პირობებში არ არსებობდა, ამიტომ სავარაუდოდ, გართულდება რამდენიმე წლის წინ გათავისუფლებული თანამშრომლების უფლებების დაცვაზე ზრუნვა. ჩვენ რევოლუციით შობილი კადრები არ ვართ, არც თანამდებობებზე აღდგენის მოთხოვნით გამოვდივართ. ჩვენი ინფორმაციით, პირველი ოქტომბრის შემდეგ, ძალოვანი ორგანოებიდან, დაახლოებით, ათას სამასი თანამშრომელი გაათავისუფლეს. შესაბამისად, ამ ადამიანების უფლებების დაცვა ჩვენთვის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. დაახლოებით, იგივე ვითარებაა სამხედრო სამსახურშიც, ამასთან, გვაწვდიან ინფორმაციას, რომ სახელმწიფო დაცვის სამსახურში მიმდინარე რეორგანიზაციას რამდენიმე პროფესიონალი თანამშრომლის კარიერა „ემსხვერპლა“. მართალია, ოფიციალურად ყველა პირადი განცხადების საფუძველზე წამოვიდა სტრუქტურიდან, თუმცა მერწმუნეთ, დღეს არავინაა გიჟი. თითოეულზე საკმაოდ დიდი ფინანსებია დახარჯული, უმეტესობამ ტრენინგები და სპეციალური მომზადების კურსები გაიარა და, შესაბამისად, ვერავინ დამაჯერებს, რომ ამ ადამიანებმა ერთ მშვენიერ დღეს, ყველაფერს ხაზი გადაუსვეს.**

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უმრავლესობას ბანკებიდან კრედიტები აქვთ აღებული და სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ, ამ მიმართულებით არაერთი პრობლემა შეექმნა. ხელფასის საფუძველზე ზოგს სარეცხი მანქანა ჰქონდა გამოტანილი, ზოგს მაცივარი...

— **ამტკიცებთ, რომ 1300 თანამშრომელი ძალოვანი სტრუქტურიდან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გათავისუფლდა?**

— დიახ, რეალური მიზეზი მათთვის არავის აუხსნია. ლოგიკურად ვიმსჯელოთ, თუ ეს ადამიანები თანამდებობიდან პირადი ინტერესების გამო არ გაათავისუფლეს და დამნაშავეები არიან, რატომ არ აღიძრა მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე? პასუხი თავადვე მაქვს: ნათელია, ყველა მათგანი 90-იან წლების სამართალდამცავებით ჩაანაცვლეს, რომლებიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სამსახურებიდან გათავისუფლდნენ.

— **თქვენ ორგანიზაციას გათავისუფლებული თანამშრომლების უფლებების დასაცავად რა ბერკეტი აქვს და ამ ეტაპზე, რამდენმა ადამიანმა მოგმართათ დახმარებისთვის?**

— მხოლოდ სამართლებრივი! ჩვენ ორგანიზაციაში უკვე გაწევრიანდნენ ის პირები, რომლებიც ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, თანამდებობებიდან გაათავისუფლეს. პარალელურად, ჩვენთან წევრიანდებიან ყოფილი ძალოვნები, რომლებსაც ადვოკატის კურსები აქვთ გავლილი. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს საშუალება, უფასო ადვოკატირება გავუწიოთ ყველა მსურველს, ვინც სასამართლოში საჩივარს შეიტანს. რაც შეეხება ლიგაში გაწევრიანებულთა რაოდენობას, ამ ეტაპზე, ოთხი გათავისუფლებული სამართალდამცავის საქმეს ვსწავლობთ, თუმცა მერწმუნეთ, მალე ეს რიცხვი გაიზრდება.

— **აღმოჩნდა, რომ თქვენი საკონტაქტო კოორდინატები, ფაქტობრივად, გასაიდუმლოებულია. ადამიანებმა, რომლებსაც დღეს თქვენი დახმარება სჭირდებათ, როგორ უნდა მოგაგნონ?**

— ამ მიმართულებითაც, უახლოეს მომავალში, მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას ვგეგმავთ. ცოტა ხნის წინ „ფეისბუქზე“ საკუთარი გვერდი გავხსენით. ვებ-გვერდის შექმნასაც ვგეგმავთ. ორგანიზაციას კოორდინატორები რეგიონებშიც ეყოლება, რადგან ჩვენი სამუშაო არეალი მხოლოდ თბილისსა და ქვეყნის ცენტრს არ მოიცავს. ძალოვანი სისტემიდან პროფესიონალების გათავისუფლების პროცესი მთელ საქართველოს ეპიდემიასავით მოედო. ასე რომ, ნებისმიერ მსურველს დედაქალაქის გარეთაც დავეხმარებით.

— **ამ ყველაფერს საკმაოდ დიდი თანხა სჭირდება. ვინ გაფინანსებთ?**

— ჯერჯერობით, მხოლოდ პირადი ფინანსებით მოვდივართ. მადლობა ღმერთს, რამდენიმე დამფუძნებელს ძლიერი ოჯახები ჰყავს. ყოველ შემთხვევაში, დაახლოებით ორი თვის განმავლობაში შევძლებთ, ჩვენი საქმიანობა თავადვე დავაფინანსოთ. შემდეგ დახმარებისთვის დონორ ორგანიზაციებს მივმართავთ, იმედია, ისინი გვერდით დაგვიდგებიან. მეტიც, საწევროს გადასახადის დაწესებაზე პრინციპულად ვთქვით უარი. ჩვენ სამხრეებიანი ხალხი ვართ, არანაირ მიტინგსა თუ აქციაში მონაწილეობას არ მივიღებთ, აპოლიტიკური ადამიანები ვართ.

— **ეს ძნელად დასაჯერებელია იმ ფონზე, რომ ლიგის ერთ-ერთი მთავარი დამფუძნებელი ვანო მერაბიშვილის მოადგილეა.**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ მხარდაჭერას ვუცხადებთ მხოლოდ უკანონოდ დაჩაგრულ სამართალდამცავებს, რომლებიც პოლიტიკური ძალების წნეხის ქვეშ მოექცნენ. პოლიტიკისგან შორს ვართ. არც ერთ პოლიტიკურ ძალას მხარს არ ვუჭერთ და საკუთარ პოზიციას მხოლოდ არჩევნებში დავაფიქსირებთ.



# „ბატონო პრემიერ-მინისტრო, ნუ დაანგრევთ საქართველოს ევროპულ ოცნებას!“

**რა მიმართვა გაუგზავნეს ივანიშვილს ევროპარლამენტარებმა საქართველოს საგარეო კურსის შესახებ რეზოლუციის დამტკიცებიდან 1 დღეში და რა დასკვნას დადებს ვენეციის კომისია**



საკითხი, რომელიც ახალი ხელისუფლების ქრონიკული კრიტიკის საბაბი იყო, გადაწყვეტილია. პარლამენტმა, 7 მარტს, საქართველოს საგარეო კურსის უცვლელობის შესახებ რეზოლუცია ერთხმად მიიღო. უმრავლესობა-უმცირესობა შეთანხმდა, რომ „ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაციაში გაწევრიანების სტრატეგიული პრიორიტეტების მისაღწევად, საქართველო გადადგამს შემდგომ ნაბიჯებს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისა და გაძლიერების, სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული მართვის სისტემისა და ადამიანის უფლებათა უზენაესობის დამკვიდრების, მდგრადი ეკონომიკური განვითარების შეუქცევადობის უზრუნველყოფის მიზნით. საქართველო არ გაწევრიანდება ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომელთა პოლიტიკაც ეწინააღმდეგება აღნიშნულ პრიორიტეტს“.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლების თქმით, ამ რეზოლუციის მიღებით, ერთხელ და სამუდამოდ, გაეცემა პასუხი კითხვას — საით მიჰყავს საქართველო ივანიშვილის ხელისუფლებას? ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, არის თუ არა ალბათობა, ქვეყანამ გეზი ჩრდილოეთით აიღოს და „რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის“ სახელით, საქართველო რუსეთის „ვასალი“ გახადოს? მიღებული რეზოლუციის შემდეგ, მმართველი გუნდის წარმომადგენლების აზრით, მსგავსი კითხვები აღარავის, მათ შორის, „ნაციონალების“ „ცხელ თავებშიც“ კი არ უნდა დაბადებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა: საქართველოს ევროინტეგრაციას ივანიშვილის ხელისუფლება საფრთხეს უქმნისო, საქართველოში, ივანიშვილის მოწინააღმდეგეებმა თუ პოლიტიკურმა ოპონენტებმა კი არა, თვით ევროპარლამენტარებმა იფიქრეს და გააშანშალეს კიდეც ოფიციალური მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე. ევროპის სახალხო პარტიის ერთ-ერთმა წევრმა, პოლონელმა ევროდეპუტატმა კშიშტოფ ლისეკმა კი მიმართვა ივანიშვილს, მსოფლიო პოლიტიკაში უკვე კარგად აპრობირებული მეთოდით „გაუგზავნა“ — „ტვიტერსა“ და თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნა. ამ მიმართვის ლაიტმოტივი, დაახლოებით, ამგვარია — „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“. სხვას ვერაფერს უწოდებ 23 ევროპარლამენტარის მიერ ხელმოწერილ ღია წერილს, სადაც ვკითხულობთ: „ნუ დაანგრევთ საქართველოს ევროპულ ოცნებას. ბატონო პრემიერ-მინისტრო, თქვენი ღია წერილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისადმი საქართველოში შექმნილ მაქსიმალურად რთულ ვითარებაზე მიუთითებს. თუ თქვენი ძალისხმევა გამოიწვევს აშკარა დემოკრატიისგან უკუსვლის გაღრმავებას, საქართველო უკან დაიხევს, როგორც დემოკრატიული ქვეყანა და მას წაერთმევა ევროპული პერსპექტივა. ასეთ შემთხვევაში, თქვენ გახდებით ადამიანი, რომელიც საქართველოს ევროპის კარს დაუხურავს. თუ საქართველო ევროკავშირის პარტნიორი უნდა იყოს, ჩვენ უნდა გავიზიაროთ და შევასრულოთ საერთო ძირითადი პრინციპები“.

რა საერთო ძირითად პრინციპებს გულისხმობენ ევროპარლამენტარები, კარგად ჩანს იმ მოთხოვნებში, რომლებიც ივანიშვილის მისამართით აქვთ. კერძოდ, სასამართლოზე, საზოგადოებრივ მაუწყებელზე, თვითმმართველობის წევრებსა და საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებზე მიმდინარე ზეწოლის შეწყვეტა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, „ოცნების“ წარმომადგენლებს, ერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ — ისინი მიიჩნევენ, რომ „ნაციონალებმა“ ევროპარლამენტარები შეცდომაში შეიყვანეს, სინამდვილეში კი, ქვეყანაში მსგავს ზეწოლას ადგილი არ აქვს, მით უმეტეს, სასამართლოზე, რომლის კანონის შესახებაც წინასწარი დასკვნა უკვე დადო ვენეციის კომისიამ.

ტრადიცია არც ამჯერად ირღვევა — კომისიის დასკვნასაც ყველა მხარე ისე კითხულობს, როგორც თავად აწყობს. უმრავლესობის ლიდერი თინა ხიდაშელი აცხადებს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ათით ნული „ოცნებამ“ მოუგო და ვენეციის კომისიის დასკვნა ერთი ერთზე ემთხვევა იმას, რაც კომისიას საქართველოს მთავრობამ შესთავაზა. ეს კანონი საქართველოს მოუტანს შანსს, მივიღოთ სასამართლოს დამოუკიდებლობა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონზე დასკვნით „უკიდურესად კმაყოფილია“ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც და აცხადებს, რომ იმ ამოცანების მიღწევა, რაც „ქართულ ოცნებას“ ამ კანონპროექტით სურდა, შესაძლებელია. „ვენეციის კომისიამ ძალიან მკაფიოდ განაცხადა, რომ მოქმედი სისტემა, მათ შორის მოსამართლეთა თვითმმართველობის ნაწილში, შესაცვლელია, ყველა საკითხს, რასაც კონფერენცია უნდა გაძღოლოდა, წყვეტდა ადმინისტრაციული ორგანო და ამ ხალხის მიერაა დანიშნული იუსტიციის სამინისტროში ბევრი წევრი. ვენეციის კომისიამ განაცხადა, რომ კონფერენციამ უნდა აირჩიოს ეს ხალხი. ვენეციის კომისიამ ისიც მკაფიოდ აღნიშნა, რომ ახალ მოდელზე გადასვლის გამო, თუ მოქმედი იუსტიციის საბჭოს რომელიმე წევრი ვერ დააკმაყოფილებს ახალი სისტემით დადგენილ სტანდარტს, შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება და მან ხელახლა სცადოს ბედი, ოღონდ კონფერენციაზე, სადაც ყველა მოსამართლემ უნდა მისცეს ხმა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ექსკლუზიური გადასაწყვეტი ეს საკითხი ველარ გახდება“.

უზენაეს სასამართლოში აცხადებენ, რომ ვენეციის კომისიამ გაითვალისწინა სასამართლოს მიერ წარდგენილი შენიშვნები. კერძოდ, ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების ახალი წესის ამოქმედება ავტომატურად არ უნდა იწვევდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძველი შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას. კომისიის დასკვნის მიხედვით, ამ ცვლილების ამოქმედება გაუმართლებელია და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ხელმყოფ პრეცედენტს შექმნის. სასამართლოების თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის პირველ მოადგილეებს, მოადგილეებს, პალატებისა და კოლეგიების თავმჯდომარეებს, რომლებსაც აღნიშნული პოზიციები ეკავათ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, არ უნდა შეეზღუდოთ უფლება, კოლეგების მიერ არჩეულ იქნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებად. ვენეციის კომისიის აღნიშნული რეკომენდაცია ეწინააღმდეგება იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ინიციატივას, რომლის შესაბამისად, ზემოჩამოთვლილ მოსამართლეთა წრეს ეზღუდებოდა იუსტიციის საბჭოში არჩევის შესაძლებლობა.

დავით უსუფაშვილი, „უკიდურესი კმაყოფილების“ ფონზე, დარწმუნებულია, რომ კანონპროექტს პარლამენტი უახლოეს მომავალში მიიღებს. უმცირესობის ლიდერი დავით დარჩიაშვილი კი მიიჩნევს, რომ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ პროექტში ვენეციის კომისიის რეკომენდაციების ადეკვატური ცვლილებები შევა. მხოლოდ ამ შემთხვევაშია მოსალოდნელი, პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღნიშნულ კანონს „დაანონსებული“ ვეტო არ დაადოს. ვეტოს ძირითადი მიზეზი სააკაშვილმა, თავის დროზე, ასე ახსნა: „კანონის თანახმად, იუსტიციის საბჭო და სასამართლო ხელისუფლება მთლიანად მოექცევა აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლქვეშ, უკვე ფორმალურადაც. რომც მოინდომონ მოსამართლეებმა, პროკურატურისთვის, პრემიერ-მინისტრისა და იუსტიციის სამინისტროსთვის წინააღმდეგობის გაწევის ფორმალური საშუალება აღარ ექნებათ“. პრეზიდენტის მოთხოვნა იყო პარლამენტი ვენეციის კომისიას დალოდებოდა. საქართველოს საკანონმდებლო ორგანო ასეც მოიქცა, მიუხედავად იმისა, რომ მმართველი გუნდი მიიჩნევს, პრეზიდენტის ვეტოს დავძლევთო. ამაში დარწმუნებულია იუსტიციის მინისტრიც და სწორედ ამიტომ, თეა წულუკიანის თქმით, სამინისტროს დაგეგმილი აქვს, კანონპროექტის არსებულ ვარიანტში ვენეციის კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე, მხოლოდ „თითზე ჩამოსათვლელი 4-5 დაზუსტება შეიტანოს“. მით უმეტეს, რომ „დასკვნა პოზიტიურია და კომისიამ იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ სასამართლო რეფორმას მწვანე შუქი აუნთო“. ამ აზრთა სხვადასხვაობისა და სხვადასხვაგვარად აღქმულ-გააზრებული წინასწარი დასკვნის ფონზე, ერთადერთი გზა ისაა, ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნას დაველოდოთ და მასში თავად ჩავიხედოთ. დასკვნა დაიდება და ნათელი გახდება, რეალურად ვის „აუნთო მწვანე შუქი“ ევროპულმა კომისიამ.

# გიგი უგულავას ბლეფ-პროექტები და უკანონოდ გახარჯული ბიუჯეტი



მაია მიშელაძე
593-51-90-12

**„ვერსიაში“ უკვე ვწერდით, შეეძლო თუ არა მილიონიანი გირაოს გადახდა და საკმარისია თუ არა ის ბრალდებები, რაც პროკურატურამ წაუყენა თბილისის მერ გიგი უგულავას. ჩვენ მხოლოდ მშრალი ფაქტებით შემოვიფარგლეთ, თბილისის მერის ქონებრივი დეკლარაცია და მისი ბიზნეს-ინტერესები განვიხილეთ, თუმცა დაგპირდით, რომ უახლოეს ნომერში იმ ფაქტებს შემოგთავაზებდით, რაც უგულავას მიერ, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასა და იმ კანონდარღვევებს ასახავდა, რომელთა ნაწილი არასამთავრობოებმა, ნაწილი კი კონტროლის პალატამ (აუდიტის სახელმწიფო სამსახური) შეისწავლა, დასკვნებიც დაიწერა, მაგრამ საქართველოს იუსტიციის მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის ძალისხმევით, გიგი უგულავას საქმეში ჩაიდო, მთავარ პროკურატურას არ გადაეგზავნა და დღის სინათლე ვერ იხილა. „ნაცმოძრაობის“ კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, უგულავას კომპრომატები „შავი დღისთვის“ ანუ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ინახებოდა სწორედ იმ მიზნით, თბილისის მერის მოჭარბებული საპრეზიდენტო ამბიციები გაენეიტრალებინათ...**

„რაც შენია, შენია“, „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“, ინგლისურისა და კომპიუტერის შემსწავლელი სამთვიანი კურსები, მოსახლეობის დასაქმების სამთვიანი პროგრამა — ეს იმ პროექტების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც წინასაარჩევნოდ, ძირითადად, თბილისელების გულისმოგებას ისახავდა მიზნად. ეს დედაქალაქის არჩეული მერის, გიგი უგულავას საამაყო პროგრამებია, რომლებსაც პერიოდულად, არჩევნებიდან არჩევნებამდე გვთავაზობდა ხოლმე და რომელთა შედეგებიც ისევე უცნობია, როგორც დენზე მიბმული და აწ უკვე ჩახსნილი ნაგვის გადასახადის ეკონომიკური ეფექტი. არავინ იცის, რა რაოდენობის თბილისელი დასაქმდა მას შემდეგ, რაც მერიის პროექტით, ინგლისური და კომპიუტერი სამ თვეში „აითვისა“. ასევე დღემდე უცნობია, რა ეკონომიკური ეფექტი მოჰყვა ქართული ეკონომიკის ყოფილ აღმოჩენას — დენზე მიბმულ დასუფთავების მოსაკრებელს ანუ, კონკრეტულად, რა რაოდენობის თანხა შედიოდა დასუფთავების გადასახადიდან თბილისის ბიუჯეტში.

**„ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ — ეს იყო პროექტი, რომლის საშუალებითაც, თბილისის ძველი უბნები უნდა განახლებულიყო. მართალია, იდეა მეტისმეტად კეთილშობილურია, მაგრამ ექსპერტების შეფასებით, გიგი უგულავამ ამ პროექტით დიდი ფული იშოვა. „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ ტენდერებში, ძირითადად, ის სამშენებლო კომპანიები იგებდნენ, რომლებსაც თბილისის მერის ნათესავები და მეგობრები ფლობდნენ. სამშენებლო მასალებიც ამ კომპანიებს შემოჰქონდათ და მშენებლობაშიც ისინი მონაწილეობდნენ. მეტიც, გიგი უგულავას ყველა ტენდერიდან წილი ეკუთვნოდა ისევე, როგორც გუდაურის პროექტებში — აქაც თბილისის მერი, ტენდერში მოგების სანაცვლოდ, 20%-ს იღებდა.**

2007 წლის დეკემბერში, 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ, როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი გადადგა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა, ახალი საპრეზიდენტო პროგრამა — „რაც შენია, შენია“ გამოცხადდა. ამ პროექტის ფარგლებში, თბილისის მოსახლეობას სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთების საკუთარ სახელზე დარეგისტრირება შეეძლოთ. მაგალითად,




სკანდალური პროგრამებისა და ფაქტების ნაწილი, რომლითაც თბილისის მერმა დიდი ფული იშოვა და რომელსაც პროკურატურა მალავს!

**თბილისის სხვადასხვა უბნის, მათ შორის, ნუცუბიძის პლატოს მკვიდრებს, შეეძლოთ, დაერეგისტრირებინათ მათ სახლებთან ან კორპუსებთან ახლომდებარე მიწები, რომლებსაც ამუშავებდნენ და ხილი ან ბოსტნეული მოჰყავდათ. ეს დაპირება დაპირებად დარჩა. რეალურად, ვერც ერთმა თბილისელმა ვერ შეძლო იმ მიწის ნაკვეთის საკუთარ სახელზე გადაფორმება, რომელსაც 10-12 და ზოგჯერ 13 წლის განმავლობაშიც კი ამუშავებდა. საქმე საქმეზე რომ მიდგა, გაირკვა — ეს მიწები ისევ სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო და საჯარო რეესტრში რეგისტრირების დროს, თითოეული თბილისელი სერიოზულ პრობლემას გადააწყდა. „რაც შენია, შენიას“ ფარგლებში, თბილისელებმა მხოლოდ უკანონოდ მიშენებული ლოჯიები და სახლების ან კორპუსების წინ აშენებული ავტოფარეხები დაიმტკიცეს! რაც შეეხება სახელმწიფოს კუთვნილ მიწებს, ისინი თბილისის მერმა დაიმტკიცა და საკმაოდ დიდი ფული იშოვა.**

თბილისელების დასაქმების სამთვიანი პროგრამა — ესეც გიგი უგულავას მორიგი ბლეფი აღმოჩნდა. ამ პროგრამის ფარგლებში, თითოეულ მოქალაქეს (18 წლიდან 65 წლის ჩათვლით), რომელიც ადგილობრივ გამგეობაში დარეგისტრირდებოდა და დასაქმების ვაუჩერს მიიღებდა, ნებისმიერ კერძო კომპანიაში შეეძლო მისულიყო, სამი თვის მანძილზე, 200 ლარს თბილისის მერია უხდიდა ხელფასის სახით. პროგრამის არსი ის იყო, რომ თბილისელები, საბოლოო ჯამში, უნდა დასაქმებულიყვნენ, თუმცა უშედეგოდ. თბილისი პატარა ქალაქია, ნაცნობი დირექტორი ან დირექტორის მოადგილე ყველას ჰყავდა საახლობლოში, ამიტომ არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა, ნაცნობ დირექტორთან მისვლა, ვითომ დასაქმება და თვის ბოლოს 200 ლარის მერიიდან მიღება. ამ ფონზე, ხშირი იყო შემთხვევა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში, სტუდენტი გოგონა ტრანსპორტის კომპანიაში „ვახტიორად“ (მძღოლად) იყო გაფორმებული, საშუალო ასაკის მანდილოსანი ერთ-ერთ ქარხანაში ელექტროშემდუღებლად და ასე შემდეგ.

**დღემდე უცნობია სტატისტიკური მონაცემი, რამდენი თბილისელი დასაქმდა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ან დასაქმდა თუ არა, საერთოდ.
გიგი უგულავას მორიგი ბლეფი აღმოჩნდა ინგლისურისა და კომპიუტერის შემსწავლელი სამთვიანი კურსებიც.**

ამ პროგრამის არსიც ისაა, რომ მას შემდეგ, რაც რიგითი თბილისელი, ადგილობრივ გამგეობაში, ინგლისურსა და კომპიუტერს აითვისებს, აუცილებლად უნდა დასაქმდეს. ყოველ შემთხვევაში, დასაქმების კუთხით, მას პრობლემა არ უნდა შეექმნას. თქვენი არ ვიცი, მაგრამ პირადად მე, სამ თვეში შესწავლილი ინგლისურის დიდად არ მჯერა, კომპიუტერი კიდევ შეიძლება, ოღონდ, სავარაუდოდ, მხოლოდ საოფისე პროგრამა. მოკლედ, შესაძლოა, სამ თვეში გარკვეული ჩვევები გამოგიმუშავდეს, მაგრამ ამ მცირე დროში ენა და კომპიუტერი ისე შეისწავლო, რომ მუშაობა დაიწყო, ნაკლებად დასაჯერებელია. სამაგიეროდ, თბილისის მერი სრულიად თავისუფლად მოახერხებდა თანხების გათეთრებას ამ პროგრამის ფარგლებში. სამწუხაროდ, არ არსებობს სტატისტიკა, რა რაოდენობის თბილისელმა გაიარა კომპიუტერისა და ინგლისურის კურსები ადგილობრივ გამგეობაში და რამდენი თბილისელი დასაქმდა ამ კურსების შემდეგ.

ცალკეული პროგრამებისა და პროექტების გარდა, გიგი უგულავა თბილისის ბიუჯეტიდან თანხების ხარჯვასა და წინასაარჩევნოდ, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასაც არ ერიდებოდა. ამ ფაქტების შესახებ ყველაზე უკეთ ინფორმირებულები კი არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მკვლევარები არიან. „ვერსია“ ამ არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთ წარმომადგენელს, **ლევან ნატროშვილს** დაუკავშირდა:

**„2009 წლიდან, 2012 წლის ჩათვლით, თბილისის ბიუჯეტი შევისწავლეთ. გვაინტერესებდა, წინასაარჩევნო პერიოდში, რა პროგრამაზე რამდენი იხარჯებოდა ბიუჯეტიდან. სხვათა შორის, საარჩევნო წლებში, პოტენციური ამომრჩევლების გულისმოგების მიზნით, სხვადასხვა სახის პროგრამებზე უფრო მეტი თანხა იხარჯებოდა, ვიდრე არასაარჩევნო წლებში. მაგალითად, სოციალურ დახმარებებზე, სხვადასხვა ტიპის სოციალურ ინიციატივებზე, თბილისელების დაზღვევაზე, ამ პერიოდში გაიზარდა ბენეფიციართა რაოდენობაც. როგორც წესი, საარჩევნო წლებში დაფინანსება იმიტომ იზრდებოდა, რაც შეიძლება, ბევრი ადამიანი მოეცვა და წინასაარჩევნოდ, მათი გულები მოეგოთ. საარჩევნო წლების ბიუჯეტის ტენდენციად ითვლება ისიც, რომ ამ წლებში სპეციალური პროგრამების დაფინანსებაც იზრდება, იგივე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, თუ სხვა ტიპის ჯგუფებისთვის, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების, გზების შეკეთების პროგრამები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაფერი წინასაარჩევნო მოტივებს უკავშირდება. რეალურად, ეს კანონის დარღვევა არ არის, თუმცა საინტერესო ტენდენციაა, რომ ასეთი მანიპულაციები სწორედ ადგილობრივი ბიუჯეტის საშუალებით ხდება და ამას, საარჩევნო მოტივებით გამოწვეულ ხარჯვად მივიჩნევთ“.**

ლევან ნატროშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციამ, სხვადასხვა წლების თბილისის ბიუჯეტის კვლევის დროს, ვერ აღმოაჩინა ის ფაქტი, რასაც საგამოძიებო სტრუქტურებმა „თბილსერვისში“ მიაკვლიეს. მისი თქმით, ყოველთვის არსებობდა ეჭვი, რომ პარტიულ ადამიანებს ანუ ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორებს, ბაგა-ბაღებისა და სკოლების სამეთვალყურეო საბჭოებში აფორმებდნენ, რეალურად, ისინი არაფერს აკეთებდნენ, სამაგიეროდ, მაღალ ხელფასს იღებდნენ:

**„ჩვენ ვერც კი აღმოვაჩენდით, რომ „თბილსერვისში“ 700-მდე „ნაციონალი“, მათ შორის, ცნობილი პირები იყვნენ დასაქმებულები, რადგან მთელ საქართველოში, თბილისის ბიუჯეტი ყველაზე დახურულია. ზოგადად, თბილისის მერიიდან, კონკრეტულ ხარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოთხოვა, ყველაზე რთული პროცესი იყო. როდესაც კონკრეტულ კითხვას ვუსვამდით, ან საკმაოდ ზოგადი პასუხებით შემოიფარგლებოდნენ, ან ისეთ ლინკს მიგვითითებდნენ, სადაც ჩვენთვის საჭირო ინფორმაცია რეალურად არც კი იყო.**

**როდესაც სახელმწიფო სტრუქტურა არღვევს კანონს, ინფორმაციას არ გაწვდის და წლების განმავლობაში, არაგამჭვირვალედ მუშაობს, ეჭვი ჩნდება, რომ იქ არაფერი კარგად არ არის. თუ ყველაფერს კარგად აკეთებ, რატომ უნდა გქონდეს პრობლემა, საჭირო ინფორმაცია გასცე? შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მერიაში ბევრი უკანონობა ხდებოდა და აქ მართლაც დიდ თანხებზეა საუბარი, რადგან თბილისის მერის განკარგულებაში, ყოველწლიურად, ასეულობით მილიონი ლარია. ამიტომაც არ გაგვკვირვებია „თბილსერვისთან“ დაკავშირებული სკანდალი, რადგან ეჭვი გვქონდა, თბილისის მერიაში უკანონობას ჰქონდა ადგილი“.**

რაც შეეხება ადმინისტრაციული რესურსის წინასაარჩევნოდ გამოყენებას, ლევან ნატროშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ ყველა ეს ფაქტი, სწორედ ამის ნათელი დადასტურებაა. თუმცა ადმინისტრაციული რესურსის უკანონოდ გამოყენების მაგალითია ისიც, რომ პარტიული ნიშნით, წინასაარჩევნო პერიოდში, სკოლებიდან პედაგოგები გაათავისუფლეს. ადმინისტრაციული რესურსის უკანონოდ გამოყენების ფაქტად ითვლება ისიც, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, სხვადასხვა რაიონებში, მმართველი პარტიის ძირითადი საყრდენი ძალა და აგიტატორებიც კი, რაიონული პოლიკლინიკების ექიმები, სკოლების პედაგოგები და ბაგა-ბაღების აღმზრდელები იყვნენ!

## ვერსიანიუსი

### არჩილ კბილაშვილი: „თავდაცვის სამინისტროში ასეულობით მილიონი ლარის დანაკლისი აღმოჩნდა“



მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის განცხადებით, თავდაცვის სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისას, წინასწარი ინფორმაციით, ასეულობით მილიონი ლარის დანაკლისი აღმოჩნდა.

კბილაშვილის განმარტებით, ამ ეტაპზე, ციფრების დაზუსტება მიმდინარეობს, რის შემდეგაც, გამოიკვეთებიან პასუხისმგებელი პირები: **„ჩვენი და შს სამინისტროს შესაბამისი უწყება ახორციელებს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლას 2005-2012 წლებში. წინასწარი მონაცემებით შეიძლება ითქვას, რომ უკვე გამოჩნდა რამდენიმე ასეული მილიონი ლარის დანაკლისი. ამ ეტაპზე, სარევიზიო აქტებით ციფრები ზუსტდება. შემდეგ შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებებით მოხდება პასუხისმგებელი პირების გამოკვეთა, როცა ეს საკითხი დასრულდება, საზოგადოებას ამის შესახებ ეცნობება“.**

რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის შესახებ გაკეთებულ განცხადებას, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში „ნაცმოძრაობის“ საწვავით მომარაგებას ეხებოდა, კბილაშვილის განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით, პროკურატურას მონაცემები მალე გადაეგზავნება და გამოძიება გაგრძელდება.

*„ინტერპრესნიუსი“*



რუსუდან შელია
557-100-768

# საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები გაიფიცებიან?

**„ამ საქმეს შევეწირები", — ეს კომენტარი ჟურნალისტმა ნინო ზაუტაშვილმა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. იგი ტელევიზიის ირგვლივ მიმდინარე პროცესებში აქტიურად მონაწილეობს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტი არასამთავრობოების მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების განხილვას, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის მმართველი ორგანოების არჩევისა და მათი ფუნქციონირების ახალ წესებს გულისხმობს, მომავალი კვირიდან დაიწყებს. არის თუ არა ბორდ-ის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია პოლიტიკური ძალებისგან მართული, რატომ არ იღებდა ხმას ტელევიზიაში არსებული უსამართლო მართვის პოლიტიკის წინააღმდეგ და როდის გაიფიცებიან „პირველი არხის" თანამშრომლები, „ვერსიის" კითხვებს გადაცემა „სამოთხის ვაშლების" წამყვანი ნინო ზაუტაშვილი პასუხობს.**

— სამწუხაროდ, ჩვენ ქვეყანაში ყველაფერს პოლიტიკა მართავს. ისიც ფაქტია, რომ პოლიტიკოსები თითქმის ყველა სფეროში გადამწყვეტ როლს ასრულებენ, თუმცა პირადად ჩემზე, ვერც ერთი პოლიტიკური ძალა გავლენას ვერ მოახდენს. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წინააღმდეგ კი მხოლოდ იმ მიზეზით ვიბრძვი, რომ ბორდ-ი საქმიანობაში მიშლის ხელს, ამიტომ რადგან ამ პროცესებში ჩავერთე, მაქსიმალურად ვეცდები, დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანო — საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო, რომელიც არაკვალიფიციური და არაკომპეტენტურია, სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს. ამ ადამიანებმა არ იციან, ზოგადად, რა ორგანიზმთან აქვთ საქმე. აქვე განვმარტავ, რომ ამ ეტაპზე, ჩემი ინტერესის სფეროს გიორგი ბარათაშვილი და ხათუნა ბერძენიშვილი არ წარმოადგენენ, ისინი თავად გაარკვევენ ურთიერთობებსა და შელახული თავმოყვარეობის აღდგენის მეთოდებსაც.

**— დღევანდელი შემადგენლობით ბორდ-ი დიდი ხანია, საზოგადოებრივ მაუწყებელს მართავს. რატომ აქამდე არ გამოთქვამდით მის წინააღმდეგ პროტესტს?**

— თუ ვინმე ამბობს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ მიმდინარე პროცესები პოლიტიკოსებისგან მართულია, ეს იმას ნიშნავს, რომ თავად აქვს გამოცდილება, როგორ ხდება მსგავსი პროცესების პოლიტიზირება. 7 ნოემბრის შემდეგ პროტესტი საკმაოდ ხმამაღლა გამოვთქვი, იგივე შემიძლია ვთქვა 26 მაისს განვითარებულ მოვლენებზეც... ამ გადაცემების ჩანაწერი მარტივად შეიძლება მოიძიოთ. რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს, ამ ადამიანებს არ ვიცნობდი. როცა მოვლენებს პირადად შევეხე და დავინახე, რეალურად, რასთან გვაქვს საქმე, ჩემისთანა მწყაზარმა ადამიანმაც კი, ჩუმად ყოფნა ვერ შეძლო. კარგად ვიცი, შესაძლოა, ცხოვრებაში ბევრი რამ ჩემი გადასაწყვეტი არ იყოს, მაგრამ როცა ჩემ ირგვლივ მიმდინარე პროცესები კრიტიკულ ზღვარს აჭარბებს, ველარ ვჩერდები.

**— ანუ ტელევიზიაში არსებული პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტი რომ გამოგეთქვათ, პროცესი აუცილებლად პირადად უნდა შეგხებოდათ? დაახლოებით, ორი წლის წინ, ხათუნა ბერძენიშვილმა ჟურნალისტებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, მაშინ მათ მიმართ სოლიდარული არავინ აღმოჩნდა.**

— მოდი, კითხვას ასე შემოვაბრუნებ: ორი წლის წინ, შინაგან საქმეთა მინისტრს ვინმე დაუსვამდა იმ კითხვებს, რასაც დღეს ირაკლი ღარიბაშვილი პასუხობს? დიახ, ახლა ხმის ამოღების საშუალება მოგვეცა. რამდენიმეთვის წინ, პირადად ჩემში ისევე, როგორც საზოგადოების უმეტეს ნაწილში, ადამიანური შიშის ფაქტორი საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა.

**— აღიარებთ, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში ჟურნალისტად ნაციონალური მოძრაობის შიშის ქვეშ მუშაობდით?**

— რა თქმა უნდა, მეშინოდა და მე არ ვიყავი ერთადერთი! ეს განცდა საზოგადოებაშიც მუსირებდა. მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და შეიძლება, იმაზე მეტის თქმის მეშინოდეს, ვიდრე ამას ჩემი პიროვნება მოითხოვს. აპოლიტიკური ვარ. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკა შვილების გაზრდაა! თან ცხოვრებაში ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი მაქვს — მტერს სახლში ვერ შემოვუშვებ, აუცილებლად გადაველობები, რადგან ჩემი ტერიტორიაა. მაუწყებლის სამეურვეო საბჭო ანუ დიდი უბედურება, დღეს

## რატომ დუმდა აქამდე, რა შეცდომას აღიარებს და როგორ შეეწინააღმდეგება „პირველი არხის" მართვის უსამართლო პოლიტიკას ნინო ზაუტაშვილი

მეც შემეხო. ტელევიზიას თითქმის 30 წელია ვემსახურები, ამიტომ ვერავინ გამკიცხავს, თუ მისი დაცვის სურვილი მაქვს. ბორდ-მა უპატიებელი შეცდომა დაუშვა: ტელევიზიის გენერალური დირექტორის გადასაყენებლად მათ სრული სიის მესამედი სჭირდებოდათ, ანუ ათი ადამიანი. გიორგი ბარათაშვილის გათავისუფლების გადაწყვეტილება კი ცხრა წევრმა მიიღო. ეს კანონდარღვევაა, რომლის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში უახლოეს დღეებში შევა. სწორედ ეს ფაქტია ჩვენთვის ოქროს კოზირი, რომლის წინააღმდეგაც, ვიმედოვნებ, სასამართლო წასვლას ვერ გაბედავს. ამასთან, ჩვენ დასახმარებლად ერთიანდებიან ის ადამიანებიც, რომლებიც თავის დროზე, უსამართლოდ გაათავისუფლეს. როცა ეს ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვევა, პროცესი ბორდ-ის გადაყენებით დასრულდება.

**— ვთქვათ, სამეურვეო საბჭო მართლაც გადადგა. ამის შემდეგ რა მოლოდინი გაქვთ, რა შეიცვლება ტელევიზიაში?**

— პირველ რიგში, მჯერა, ტელევიზიის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება შეიცვლება. ვინც სამეურვეო საბჭოში აბსოლუტურად არაპროფესიონალი ადამიანები მოიყვანა, მას ტელევიზიაში სასიკეთო ძვრების დაწყება არ სურდა. არსებული ბორდ-ის პირობებში საზოგადოებრივი მაუწყებლის მომავალზე ფიქრი დაუშვებლად მიმაჩნია. ტელევიზიის წარუმატებლობა, თუნდაც



„ეს უბედურება დღეს მეც შემეხო და ვერავინ გამკიცხავს, თუ ტელევიზიის დაცვა მსურს"

რეიტინგის თვალსაზრისით, სწორედ ამ სამეურვეო საბჭომ განსაზღვრა.

**— ალბათ, ვთანხმდებით, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს რეიტინგის პრობლემა ყოველთვის ჰქონდა. არც მიმდინარე სკანდალია ტელევიზიისთვის პირველი.**

— დიახ, მაგრამ საზოგადოებრივ მაუწყებელს რეიტინგზე გათვლა არასოდეს ქონია, რადგან ზოგადად, საზოგადოებრივი ტელევიზია, ინტერესის ყველა სფეროს უნდა მოიცავდეს. რა თქმა უნდა, ყველა გადაცემა ხარისხიანად უნდა გაკეთდეს, თუმცა პროპორციულად გასანაწილებელია შემეცნებითი, საბავშვო, სამედიცინო... გადაცემები. ასე რომ, საზოგადოებრივი მაუწყებელი საზოგადოების სახეა. შესაბამისად, მაქსიმუმს გავაკეთებ ტელევიზიის ინსტიტუციონალიზმის აღსადგენად. საერთოდ, ტელევიზია საზოგადოების აზრის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანი ბერკეტია, ამიტომ კარგი იქნებოდა, ბორდ-ის გაცნობა ცოტა ადრე დამეწყო. სამწუხაროდ, ის, რაც ქვეყანაში ხდებოდა, ერთი ერთში მეორდებოდა საზოგადოებრივ მაუწყებელშიც. საბედნიეროდ, ეს ყველაფერი წარსულია და ამ ეტაპზე, მთავარია ბორდ-ის შეცვლის პროცესის ბოლომდე მიყვანა, დანარჩენს კი ტელევიზია თვითონვე მოაწესრიგებს. ეს წმინდა წყლის საზოგადოებრივი მოთხოვნაა და პოლიტიკასთან, ყოველ შემთხვევაში, ჩემი გადმოსახედიდან კავშირში არ არის.

**— თუმცა ისიც ფაქტია, რომ „მეორე არხის" პროდიუსერის, დოდო შონავას შვილი ვანო ჩიქოვანი, რუსთავი 2"-დან „მეცხრე არხზე" გადავიდა და ბევრმა ამას პოლიტიკური სარჩული დაადო.**

— საქართველოში ყველა ერთმანეთის ნათესავია, თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ სულ რაღაც 20 წლის წინ, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო, ოჯახის წევრები სხვადასხვა აზრზე იყვნენ. მერე, რა დოდო შონავას შვილი „მეცხრე არხზე" რომ მუშაობს? შეიძლება, ირაკლი ტრიპოლსკი ჩემი გარე ნათესავი აღმოჩნდეს. ნაციონალურ მოძრაობაშიც და „ქართულ ოცნებაში" უამრავი მეგობარი მყავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური ძალის ინსტრუმენტი გავხდები. ჩვენ სიმართლემდე მისვლას სამართლებრივი გზით ვგეგმავთ. გვინდა, პროტესტის ყველა ეტაპი გავიაროთ, მაგრამ თუ ამ ადამიანებთან არაფერმა გაჭრა, ალბათ, შევიკრიბებით და შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ.

**— ამბობენ, რომ შესაძლოა, საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები გაიფიცონ. ადასტურებთ, რომ ბრძოლის ამ ვარიანტსაც განიხილავთ?**

— ვფიქრობ, 21-ე საუკუნეში რადიკალური ნაბიჯების გადადგმისგან თავი მაქსიმალურად უნდა შევიკავოთ. ადამიანებს უნდა დავუტოვოთ შანსი, საკუთარი შეცდომები გააანალიზონ. ამ ეტაპზე, ნამდვილად არ ვიცი, რა მოსაზრება აქვთ გაფიცვასთან დაკავშირებით ჩემ კოლეგებს, თუმცა პირადად მიმაჩნია, რომ ეს ნაბიჯი, ჯერჯერობით, არ უნდა გადავდგათ. პირიქით, მაყურებელს ინფორმაციის მიღებას საშუალება უნდა მივცეთ. იცით, ვფიქრობ, საზოგადოებრივ მაუწყებელში ყველაფერი სასიკეთოდ იმაზე ადრე გადაწყდება, ვიდრე წარმოგვიდგენია.

პროტესტი

# სასწრაფო დახმარების ცენტრის ექიმები გენერალურ დირექტორს ბრალდებებს უყენებენ და ფართომასშტაბიან აქციებს იწყებენ



ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

## რას ითხოვენ მოშიმშილეები დავით სერგეენკოსა და ბიძინა ივანიშვილისგან

**უკვე 5 დღეა, თბილისის სასწრაფო სამედიცინო ცენტრის ექიმები — ზურაბ ლატარია, ლევან ლომსიანიძე, ციალა კაშია, ლევან ლატარია შიმშილობენ. სამსახურიდან დათხოვნილ 4 ექიმს, 9 მარტს მოქმედი კოლეგა ზვიად ჭაბუკიანიც შეუერთდა. ისინი გენერალური დირექტორის, კახა ჩიხრაძისა და მისი გუნდის უსამართლო გათავისუფლებასა და ექიმების სამსახურში აღდგენას მოითხოვენ. სამსახურიდან დათხოვნილი ექიმები სასწრაფო სამედიცინო ცენტრის გენერალურ დირექტორს, კახა ჩიხრაძეს ბრალდებებსაც უყენებენ.**

**ზურაბ ლატარია:** „ბრიფინგის მერე ჩვენი ადმინისტრაცია შეიცვალა, მაგრამ მოვიდა ბევრად უფრო აგრესიული და იმისკენ მიზანმიმართული ადმინისტრაცია, რომ თბილისის მოსახლეობას არ ჰქონდეს წესიერი სამედიცინო მომსახურეობა. კერძოდ, კახა ჩიხრაძე ახდენს ზეწოლას, დღეს მისი მოადგილეები ურეკავენ თანამშრომლებს და აშინებენ, ეუბნებიან, რომ 11 მარტს, 11 საათზე დაგეგმილ საპროტესტო აქციაზე არ მოვიდნენ. 7 მარტს სამსახურიდან, ყოველგვარი მიზეზის გარეშე გაგვათავისუფლეს. გვითხრეს, ხელშეკრულება ცალმხრივად შევწყვიტეთო. მიზეზი არ დაუსახელებიათ. არადა, ხელშეკრულებას ვადა 2014 წლის თებერვალში გასდის. ზოგს ისიც კი დააბრალეს, სადისპეტჩეროში შევარდა და დებოში ატეხაო. ასეთი რამ არ მომხდარა. რეალური მიზეზი ისაა, რომ ჩიხრაძე ვამხილეთ — მივუთითეთ, არასწორად მუშაობდა. ეს ვერ აიტანა, რადგან შავი ზრახვები აქვს. ჩიხრაძე პაციენტთა არასწორ ჰოსპიტალიზაციას ახდენდა.



ინფარქტიანი და ინსულტიანი პაციენტები, კარდიოლოგიური კლინიკისა და ნევროლოგიურის ნაცვლად, „ემერჯენსში" მიჰყავდათ, სადაც ერთი ღამე 600 ლარი ღირს. ეს ძალიან დიდი პრობლემაა, რადგან იქ პაციენტს სათანადო დახმარებას ვერ გაუწევენ. ჩვენი აზრით, ჩიხრაძე „ემერჯენსის" ხელმძღვანელობასთან შეკრული იყო. საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, მას ფინანსური დაინტერესება ჰქონდა. მოვითხოვთ, მოვიდეს ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი და სიტუაციაში გაერკვეს. მინისტრის მოადგილის, კახა საკანდელიძის განცხადებამ გაგვაოცა. თურმე 4 ადამიანის შიმშილობა დიდს არაფერს ნიშნავს. მოვითხოვთ ჩიხრაძისა და მისი ადმინისტრაციის გათავისუფლებას. თუ ყურადღებას არ მოგვაქცევს მერია და ჯანდაცვის მინისტრი პრემიერ-მინისტრ ივანიშვილთან შეხვედრას მოვითხოვთ".

**კახა ჩიხრაძეს მიკერძოებასა და არასწორ მენეჯმენტში გათავისუფლებული ექიმი ციცი კაშიაც ადანაშაულებს:** „დაახლოებით 10 დღის წინ, კახა ჩიხრაძემ სიტყვიერი ბრძანებით გაგვათავისუფლა, მერე უარყო და თქვა, აფექტის მდგომარეობაში ვიყავიო. ჩიხრაძე ანტისახელმწიფოებრივ პროგრამას აწარმოებს. ამასთანავე, მას უნდა ჩაეტარებინა მედიკამენტების ტენდერი, რაც არ გააკეთა, წამლები ხელით შემოაქვთ. დექსამეტაზონი რომ თავდებოდა, შემოიტანა და თქვა, 2008 წლის ომისდროინდელი მქონდა შემორჩენილი და ის მოვიტანეო.

არც მანქანების ტენდერი ჩატარებულა. 4 დღის წინ კი, აღმასრულებელ დირექტორად დანიშნა ყოფილი მოსამართლე ნონა ზარქუა. ადმინისტრაციის თანამშრომლები ზოგი გაათავისუფლა, ზოგიც ფილიალებში გადაანაწილა. მათ ადგილას ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები მოიყვანა".

**ყოფილი კოლეგების პროტესტს სასწრაფოს ექიმი ზვიად ჭაბუკიანი შეუერთდა და შიმშილობა დაიწყო.** „ჩემი კოლეგები უკანონოდ, თავისუფალი სიტყვის გამო გაათავისუფლეს. სოლიდარობის მიზნით, ვუერთდები მათ. ჩემი მოთხოვნაა, მათი სამსახურში დაბრუნება, არც იმას გამოვრიცხავ, კახა ჩიხრაძემ ამის გამო გამიშვას სამსახურიდან. თუ არ შესრულდება მოთხოვნები, შიმშილობას განვაგრძობთ და პროტესტის სხვა ფორმასაც მივმართოთ".

**„ვერსია" თბილისის სასწრაფო დახმარების ცენტრის ხელმძღვანელს, კახა ჩიხრაძესაც დაუკავშირდა. გვაინტერესებდა, როგორ უპასუხებდა იგი მოშიმშილეთა ბრალდებებს. ჩიხრაძემ კომენტარის გაკეთება არ ისურვა.**

**თავად ექიმები, პროტესტის სხვა ფორმებსაც რომ მიმართავენ, ეს უკვე ცნობილია — დღეს ისინი ფართომასშტაბიან აქციას გამართავენ. კულუარებში ამბობენ, რომ მათ სხვა ექიმებიც შეუერთდებიან. რა ტიპის პრობლემებს შექმნის ეს სასწრაფო დახმარების ცენტრში, უახლოეს დღეებში გამოჩნდება. მანამდე კი, პრობლემები, ამ თუ სხვა, ჩვენთვის ჯერ უცნობი მიზეზით, რიგით მოქალაქეებს ექმნებათ, რომლებსაც ბოლო დღეებში, სასწრაფოს გამოძახებისას, „რიგში ჩადგომა" უწევთ. დიახ, „ვერსიის" წყაროს ინფორმაციით, უკვე რამდენჯერმე დაფიქსირდა შემთხვევა — სასწრაფოში დარეკვისას, მოქალაქეს უთხრეს, დააგვიანდება ბრიგადას, რადგან დიდი რიგია (რიგი ერთ შემთხვევაში 60 კაცს გასცდა) და როდის მოვა, ვერ გეტყვითო.**

# ყოფილი პოლიტპატიმრები რეჟიმის გასამართლებასა და „ნაცმოძრაობის“ აკრძალვას მოითხოვენ




## რატომ არ მიესალმება მთავარი ოპოზიციური ძალის კანონგარეშედ გამოცხადებას პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე

მერაბ ბერიძე

**14 აპრილს, სპორტის სასახლეში, „რეჟიმის გასამართლების მოთხოვნით“ აქცია გაიმართება. როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე აცხადებს, ღონისძიების ორგანიზატორები იქნებიან ყოფილი პოლიტპატიმრები, რომლებმაც ალკვეთის ადგილები 3 იანვარს დატოვეს. მისივე თქმით, გამოდიან ინიციატივით, შეიკრიბოს ყველა ის ადამიანი, ვინც მიიჩნევს, რომ 9 წლის განმავლობაში რეჟიმის მსხვერპლი იყო. ისინი ხელისუფლებას დამნაშავეების დასჯას მოსთხოვენ.**

კაკაბაძე აღნიშნავს, რომ ყოფილი პოლიტპატიმრები მოითხოვენ, რეჟიმი გასამართლდეს, „ნაციონალური მოძრაობა“ კანონგარეშედ გამოცხადდეს და პოლიტიკური საქმიანობა აეკრძალოს ყველა იმ დანაშაულის გამო, რასაც 9 წლის განმავლობაში სჩადიოდა. მისივე ინფორმაციით, შეგროვდება ხელმოწერები, მიმართვის ტექსტები, რომლებიც მეორე დღეს პარლამენტს გადაეგზავნება. როგორც კაკაბაძე ამბობს, აქციას ყველა ის ადამიანი დაესწრება, ვისაც სურვილი აქვს, რომ რეჟიმი გასამართლდეს: **„იქ იქნებიან ჩვეულებრივი მოქალაქეები, ვინც მიიჩნევს, რომ ამ რეჟიმმა დააზარალა, იქნებიან ქონება და ბიზნესწართმეული, უკანონოდ დაპატიმრებული თუ გამოსახლებული ადამიანები“.**

პოლიტპატიმრები მოსაწვევებს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს გაუგზავნიან, ამ ღონისძიებისთვის სპეციალურად იქმნება ჰიმნი, რეჟისორი, სავარაუდოდ, ბასა ჯანიკაშვილი იქნება. კაკაბაძის განცხადებით, აქცია რამდენიმე ტელევიზიის საშუალებით პირდაპირ ეთერში გადაიცემა. მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ „ეს არ უნდა გადაიზარდოს მასობრივ დევნაში და ის არ უნდა იყოს უსასრულო. როდესაც ვამბობ, რომ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი საზოგადოების ყველა წევრი, არ უნდა მოხდეს წალეკვა და აგრესიისა და ძალადობის გამოვლენა, არ მაქვს მხედველობაში, რომ სამართლიანობა არ უნდა აღდგეს. იგივე უგულავა, რომელსაც პროკურატურამ უკვე წაუყენა ბრალდება და ასევე სხვები, მაღალჩინოსნები, რომლებსაც კანონის წინაშე ჩადენილი აქვთ დანაშაული, აუცილებლად უნდა დაისაჯონ, მაგრამ ეს პროცესები არ უნდა გადაიზარდოს მასობრივ დევნაში და არ უნდა იყოს უსასრულო. ეს ნიშნები ჩანს, პროკურატურას არ ვუკარნახებ, რომ შეაჩეროს, ამიტომაც მივმართავ უმცირესობას, შეცვალონ რიტორიკა, რომელიც სიცრუესა და აგრესიაზეა აგებული. უნდა შეცვალონ რიტორიკა, რომ ჩაწყნარდეს საზოგადოება და ამდენი განცხადება არ შეიტანონ პროკურატურაში. მე არ დავრეკავ პროკურატურაში და არ ვეტყვი, ესა თუ ის განცხადება დაიტოვონ და დანარჩენი გადაყარონ“.

მისივე თქმით, **„7 ათასი განცხადებაა პროკურატურაში შესული და ყველა რომ დაისაჯოს, მაშინ არავინ დარჩება დაუსჯელი. ეს მაქვს სწორედ მხედველობაში. უნდა დაისაჯონ მაღალჩინოსნები, რომელთაც კანონის წინაშე აქვთ დანაშაული ჩადენილი. მომავალმა თაობამაც უნდა გაიგოს, რომ არავინ დარჩება დაუსჯელი, თუ დანაშაულს ჩაიდენს, თუმცა ეს არ უნდა იყოს მასობრივი და არ უნდა გადაიზარდოს უსასრულობაში“.**

პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ სააკაშვილი არ უნდა დარჩეს პროცესებსმიღმა: **„მიხეილ სააკაშვილთან ჩემი მოლაპარაკება უკავშირდება იმას, რომ უმცირესობის არც ერთი წევრი არ დარჩეს საზოგადოების მიღმა. ყველა ქართველი მიყვარს და არ მინდა, სააკაშვილიც დარჩეს პროცესებსმიღმა, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რათა გაემიჯნოს საზოგადოებას. მინდა, საზოგადოების წევრად დარჩეს იგივე გიორგი ვაშაძე, რომელსაც დიდ პატივს ვცემ და ჩვენს შორის ჯანსაღი პოლემიკა შედგა. არ გეგონოთ, ვაშაძის მიმართ განსაკუთრებული სიმპათია მქონდეს. არც ერთი მათგანის მიმართ არ მაქვს განსაკუთრებული სიმპათია და არც ანტიპათია“.**

**ივანიშვილმა ისიც განაცხადა, რომ საზოგადოებამ უნდა მოახერხოს, რაც შეიძლება ლმობიერი იყოს წინა ხელისუფლების მიმართ: „მათ ყოველთვის ვეუბნები, უნდა აჩვენონ საზოგადოებას, რომ რაღაცები შეეშალათ, რაღაცები ისე არ გამოუვიდათ, როგორც თავად უნდოდათ. ყოფილმა ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს ის რიტორიკა, რომელსაც ახლა იყენებს და ჩაქრება ის მუხტი, რაც ახლაა“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე აცხადებს, რომ სისხლის სამართლის დამნაშავეებმა კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ, თუმცა მისივე თქმით, მთავარი ოპოზიციური ძალის, ნაციონალური მოძრაობის აკრძალვა, საზიანო იქნება დემოკრატიისთვის და ქვეყნისთვის ცუდ შედეგს გამოიწვევს: **„დღეს, სისხლის სამართლის დევნა მიმდინარეობს პარტიის რამდენიმე ლიდერზე, მათ შორის იუსტიციის, შსს-სა და თავდაცვის ყოფილ მინისტრზე, ზედა ეშელონებზე; არის თეორიული შანსი და მოლოდინი, ეს ბრალდებები შეიძლება დაუმტკიცონ, ამ დროს კი, მთელი პარტიის კანონგარეშედ გამოცხადება და აკრძალვა, კარგს არაფერს მოგვიტანს. ჯერ ერთი, ავტომატურად, ერთპარტიულ რეჟიმზე გადავალთ. ყოველ შემთხვევაში ასე იქნება პარლამენტში. ჩემი რწმენით, ეს არ მოხდება. თუნდაც იმის გამო, რომ მოსალოდნელი შედეგი მშვენივრად ესმის თვითონ პრემიერ-მინისტრსა და მის პარტიასაც. ამ ნაბიჯს მხარს არ დაუჭერს არცერთი საერთაშორისო ორგანიზაცია და ჩვენი მეგობარი სახელმწიფო“.**

მისივე თქმით, სამართლიანობის აღდგენა, უხეშად რომ ვთქვათ, წერტილოვან დარტყმებს მოითხოვს: **„ეს ეხება მას, ვინც დამნაშავეა, სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. ყოფილ პოლიტპატიმრებს, რასაკვირველია, ამისთვის პირადი მოტივაცია აქვთ. ისინი მსხვერპლნი იყვნენ აპარატისა და სათავეში მდგომი ხალხის, მაგრამ წარმოუდგენელია, პარტიის ყველა წევრი სისხლის სამართლის დამნაშავე იყოს. რამდენი წევრი ჰყავდა ნაციონალურ მოძრაობას, 20-30-40 ათასი, მე ეს ციფრი არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რამდენიმე ათეული ათასი იქნებოდა. ყველას ჯგუფურად დამნაშავედ გამოცხადება და პარტიის აკრძალვა გამართლებული ვერ იქნება. თავის დროზე, კომპარტია სრულად აიკრძალა ისეთ ქვეყნებში, სადაც არა დევნა, არამედ ტოტალური გენოციდი იყო განხორციელებული. ამას გარდა, მსგავსი რამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არსად მომხდარა“.**

კითხვაზე, რატომ არ დაუშვებს ამას ახალი ხელისუფლება, ცინცაძე ამბობს, რომ თავად ივანიშვილის, უსუფაშვილისა და სხვა ლიდერების საჯარო განცხადებები აძლევს ამის საფუძველს: **„თუმცა საჯაროს გარდა, მათგან პრივატული ინფორმაცია არ გამაჩნია. მათ ესმით პასუხისმგებლობა, რაც აკისრია დღეს მმართველ პარტიას. იმედი მაქვს, ახალი მმართველი ძალა პასუხისმგებლობის გრძნობით განმსჭვალულია. ელემენტარულად, რატომ ვივიწყებთ, თეა წულუკიანს კომპლიმენტებთან ერთად, რა უთხრეს ევროატლანტიკურ საბჭოში; რომ უმრავლესობა და საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის მართალი არ არის. რაზე იყო მინიშნება? იმაზე, რომ დღევანდელი საყოველთაო უკმაყოფილება, თუ გნებავთ, უმრავლესობის წყენა, ავტომატურ რეჟიმში, გამოძიების გარეშე არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანად. ამიტომ გამორიცხულია ამ გზით სიარული. მმართველი პარტია ამაზე რომ დათანხმდეს, ძალზე უპასუხისმგებლო უნდა იყოს. მე კი იქ, ყოველ შემთხვევაში ხელმძღვანელობაში, უპასუხისმგებლო ხალხს ვერ ვხედავ“.**

ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაწყებულია და მას ვერაფერი შეაჩერებს, თუმცა ნაბან წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ქვეყნის დემოკრატიული განვითარება არ შენელდეს სახელმწიფოს, მათ შორის საერთაშორისო იმიჯს ზიანი არ მიადგეს. აშკარაა, ხელისუფლებას და წამყვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს ამ თვალსაზრისით ბეწვის ხიდზე სიარული მოუწევთ, თუმცა ბოლო განცხადებები ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

# აგრარულ უნივერსიტეტს ავტორიზაციას შეუჩერებენ?

## გათავისუფლებული პროფესორ-მასწავლებლები სახელმწიფოსთვის უნივერსიტეტის დაბრუნებას ითხოვენ

ნელი თორდია
593-61-07-72

უკვე ცნობილია, რომ დღეს, 11 მარტს, განათლების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭო აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის ჩამორთმევის საკითხს განიხილავს. საბოლოო ვერდიქტის გამოტანამდე ერთი დღით ადრე, აგრარული უნივერსიტეტიდან გათავისუფლებულმა 50-მდე პროფესორ-მასწავლებელმა მოთხოვნებით „უნივერსუტეტი ბენდუქიძის გარეშე“, „დაუბრუნდეს აგრარული უნივერსიტეტი სახელმწიფოს“, ფინანსურ პოლიციასთან აქცია გამართა. აქციის მონაწილეთა უმეტესობას მიაჩნია, რომ აგრარულ უნივერსიტეტში აღმოჩენილია ბევრი დარღვევა, ლექციებს კითხულობენ სამეცნიერო ცენზის არმქონე პირები, კურუკულუმები და სილაბუსები თანხვედრაში არაა, რაც უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის შეჩერების საკმარისი მიზეზია.

ზოოვეტერინარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი დოდო ბერაია „ვერსიასთან“ საუბარში აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტში ბენდუქიძის გამოჩენის შემდეგ, უნივერსიტეტიდან მასობრივად გათავისუფლებული კვალიფიციური კადრების ადგილი 4-წლიანი განათლების მქონე ბაკალავრებმა დაიკავეს, მოხდა მაპროფილებელი ფაკულტეტების გაუქმება და გაქრა სამეცნიერო სექტორი. შედეგად, იმატა ცხოველიდან ადამიანზე გადამდები ისეთი დაავადებების ფაქტებმა, როგორიცაა ტუბერკულოზი, ბრუცელოზი, ჯილეხი... **„კახა ბენდუქიძე აგრარულ უნივერსიტეტში 2011 წლის დეკემბრის ბოლოს მოვიდა, რასაც წილების გადანაწილება მოჰყვა აგრარულ უნივერსიტეტს, ბენდუქიძესა და კიდევ ერთ პირს შორის. ამბობენ, რომ ეს პრეზიდენტის ბებია მზია წერეთელია, თუმცა ზუსტად არავინ იცის. ბენდუქიძის მოსვლის შემდეგ, მთლიანად დაიკარგა სამეცნიერო სექტორი. არადა, ვეტერინარიისა და მედიცინის ერთმანეთისგან გაყოფა ყოვლად დაუშვებელია, რადგან ცხოველებში არსებობს ისეთი დაავადებები, რომლებიც გადადის ადამიანებზე და პირიქით, ადამიანიდან ცხოველზე. ასეთი უთავბოლობის გამო იმატა ტუბერკულოზმა, ბრუცელოზმა... ჩვენ ვითხოვთ, აღდგეს ზოოვეტერინარული უნივერსიტეტი ძველი პროფილით, სამეცნიერო სექტორითა და სპეციალობებით (სავეტერინარო მედიცინა და ზოოტექნიკური ფაკულტეტი)“.**

პროფესორ-მასწავლებლების თქმით, დარგის განადგურება მიზანმიმართულად მიმდინარეობდა, შედეგად, თუკი წლების წინ ზოოვეტერინარული უნივერსიტეტი წელიწადში 150-მდე სტუდენტს ამზადებდა, ახლა ეს რაოდენობა 30-მდეა ჩამოსული. ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორის, მაია კერესელიძის განმარტებით, ბენდუქიძე მხოლოდ კატებისა და ძაღლების სპეციალისტების მომზადებითაა დაკავებული და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საკითხი ნაკლებად აღელვებს. **„აკადემიკოსმა პავლოვმა ბრძანა, რომ ვეტერინარია კურნავს კაცობრიობას და ექიმი ადამიანს, რაც ვეტერინარიის მნიშვნელობაზე მეტყველებს. საქართველოში დღეისთვის ჯილეხის 11 მოქმედი კერაა, სადაც არავაქცინირებული ცხოველი რომ მოხვდეს, უკვე დაავადებულია და დაავადების გავრცელების წყაროს წარმოადგენს. თუ დროული ჩარევა არ მოხდა, ეს დაავადება იწვევს ადამიანის სიკვდილს. ამის გარდა, არსებობს ცხოველიდან ადამიანზე გადამდები დაავადებები. ეს სერიოზული საფრთხეა, მაგრამ ცხოველთა დეკორატიული სახეობების სპეციალისტების გამოზრდით დაკავებულ ბენდუქიძეს ამაზე ფიქრისთვის აშკარად არ სცალია. თუკი საქართველოსთვის სოფლის მეურნეობა პრიორიტეტული დარგია, აგრარულ უნივერსიტეტს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო სტატუსი და ჩამოყალიბდეს საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტად. ასევე, გამოსაკვლევია, რამდენად კანონიერად გასხვისდა უნივერსიტეტი“.**

აქციის ორგანიზატორებს შორის იმყოფებოდა უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი. „ვერსიის“ კითხვაზე საპროტესტო აქცია მავანთა მიერ კერძო ბიზნესზე შეტევად ხომ არ შეფასდება, უფლებადამცველმა გვიპასუხა, რომ შეფასებების გაკეთებამდე გასარკვევია, რამდენად კანონიერად აღმოჩნდა აგრარული უნივერსიტეტი ბენდუქიძის ხელში: **„წინა ხელისუფლების გამორჩეული იდეოლოგი კახა ბენდუქიძე წლების განმავლობაში ამტკიცებდა, რომ სოფლის მეურნეობა ჩამორჩენილობის ნიშანია. ცინიზმია, ამ იდეოლოგიის მთავარ გამტარებელ კახა ბენდუქიძეს აგრარული უნივერსიტეტი ჩააბარო.**

**შედეგებიც შესაბამისი იყო. შემცირდა პროფილური საგნები, მასწავლებლები გაათავისუფლეს, კვლევითი დაწესებულებები დახურეს, შენობებიც კი დაანგრიეს. კახა ბენდუქიძე აპირებს ბინძური პროვოკაციის აგორებას. ის ცდილობს, დააპირისპიროს ერთმანეთთან სტუდენტები და უკანონოდ გათავისუფლებული ლექტორები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არ გამოუვა. არ გვინდა სასწავლო პროცესის შეჩერება, თუმცა მოვითხოვთ, განათლების სამინისტრომ უზრუნველყოს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დასკვნებთან შესაბამისობა, რისთვისაც საჭიროა, გაუშვან ბაკალავრის ხარისხის მქონე ლექტორები და დააბრუნონ სამეცნიერო ცენზის მქონე პოფესორ-მასწავლებლები. სახელმწიფო იმისთვის არსებობს, კანონის ფარგლებში უზრუნველყოს მაღალი დონის განათლება სტუდენტებისთვის. იმედია, განათლების სამინისტრო, ფინანსური პოლიცია და პროკურატურა ამ საკითხებით დაინტერესდება. ზოოვეტერინარული უნივერსიტეტის უზარმაზარი ქონება გადაცემულია კახა ბენდუქიძის საკუთრებაში არსებული ცოდნის ფონდისთვის, რომელმაც ეს ყოველივე მიიღო აშკარად კორუფციული და ოლიგარქიული კავშირებით და არა რაიმე დამსახურების გამო. არსებობს უამრავი ეჭვი, რომ ბენდუქიძისთვის უნივერსიტეტის გადაცემა იყო კორუფციული გარიგება. ფინანსურ პოლიციაში შეტანილია განცხადება მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებებით, მათი უფლებამოსილებაა, დააზუსტონ დანარჩენი და მტკიცებულება მოიპოვონ. გასარკვევია, როგორ აღმოჩნდა ბენდუქიძის ხელში ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი განათლების კერა. იმედია, ჩვენი მოთხოვნები დაკმაყოფილდება, მით უფრო, რომ ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო სოფლის მეურნეობის განვითარება, რაც შეუძლებელია სათანადო სამართლებრივი ბაზისისა და კვლევითი მიმართულების ჯერ გადარჩენის და შემდეგ გაძლიერების გარეშე“.**

# რა ნიშნით შეარჩიეს ფრაქცია „ეროვნული ფორუმის“ თავმჯდომარედ ორ ომში ნაბრძოლი გორის მაჟორიტარი



ნინო კომახიძე
599-95-33-16

**საპარლამენტო უმრავლესობაში კიდევ ერთი ფრაქცია „ქართული ოცნება — ეროვნული ფორუმი“ გაჩნდა. მართალია, არჩევნების შემდეგ „ფორუმმა“ „ოცნებასთან“ შერწყმა დააანონსა, მაგრამ გაერთიანება „ოცნებამ“ აღარ მოისურვა და რაკი „ფორუმმა“ პარლამენტში ზუსტად ფრაქციის შესაქმნელად საჭირო 6 კაცი შეიყვანა, რიგით მეცხრე, ქართული ოცნების კი რიგით მეხუთე ფრაქციის თავმჯდომარედ „ფორუმის“ გორის მაჟორიტარი სოსო ვახტანგაშვილი მოგვევლინა. ეს ფაქტი ბევრისთვის უცნაური იყო იმ ფონზე, რომ აღნიშნული პარტია ცნობადი სახეების ნაკლებობას არ განიცდის. კულუარებში მოლოდინი იყო, ფრაქციის თავკაცად გუბაზ სანიკიძეს ვიხილავდით, მაგრამ პროგნოზები ამჯერად არ გამართლდა. ვინ არის სოსო ვახტანგაშვილი და რამ განაპირობა ფრაქციის თავმჯდომარედ მისი ხილვა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაადვილდება, თუ გორის მაჟორიტარის პოლიტიკურ კარიერასა და ისტორიას გადავავლებთ თვალს. სწორედ ამ მიზნით, „ვერსია“ გთავაზობთ სოსო ვახტანგაშვილის ცხოვრების საკმაოდ საინტერესო დეტალებს და თავად განსაჯეთ, რამ განაპირობა მისი უეცარი გალიდერება.**

ცხინვალში დაბადებული სოსო ვახტანგაშვილი, რომლის მთელი ოჯახი დევნილობის შემდეგ, თბილისში გადმოვიდა, დღესაც გორში ცხოვრობს და ამის მიზეზად, გორის მშობლიურ ქალაქთან მსგავსებას ასახელებს. გორის მერიაში, შიდა ქართლის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში და მინისტრის მოადგილედ ქურთას ადმინისტრაციაში ნამუშევარი ვახტანგაშვილი აგვისტოს ომის შემდეგ ოპოზიციაში გადავიდა და „ეროვნული ფორუმის“ წევრი გახდა. **„კახა შარტავას პარტიაში შესვლამდე 12 წლით ადრე ვიცნობდი, მან ჟიული შარტავას მიერ დაარსებული ორგანიზაცია „ფესვები“ აღადგინა. როცა გორში ჩამოვიდა, ვისაუბრეთ და გადაწყვეტილებაც მივიღე. მას შემდეგ, ამ პარტიის წევრი და გორში „ეროვნული ფორუმის“ რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი ვარ. პარტიაში მისვლის შემდეგ, ტელეეთერში ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები ვამხილე, რომლებმაც მოსახლეობა ხეობაში ჩატოვეს. ამის მერე პრემიერის კანცელარიიდან დამიკავშირდნენ და მაღალი თანამდებობა შემომთავაზეს, რაზეც ცხადია, უარი ვუთხარი“,** — აცხადებს სოსო ვახტანგაშვილი და პირველ დევნილობასა და ოჯახის იძულებით ორად გაყოფის ისტორიასაც იხსენებს: **„ცხინვალიდან პირველად გორში რომ ჩამოვედით, 1991 წელს, ხალხი დევნილებს რითაც შეეძლო, ეხმარებოდა. ერთმა მოხუცებულმა ქალმა ერთი ქილა მურაბა მომიტანა და მითხრა, სულ ესაა, რაც მაქვს და აიღეთო. ასეთი თბილი დახვედრა მოუწყვეს გორელებმა დევნილებს და ეს არასოდეს დამავიწყდება“.** ამის შემდეგ დევნილი დეპუტატი 2004 წლამდე კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის წევრი გახდა და როგორც თავად ირწმუნება, ცხინვალიდან დაწყებული მოსკოვით დამთავრებული, ყველა მოლაპარაკებაში მონაწილეობდა. „სახალხო დიპლომატიის“ წყალობით, ქართველებსა და ოსებს შორის მიმოსვლის აღდგენა მოხერხდა, ერგნეთის ბაზრობაც ამუშავდა და თითქოს, საერთო ენის გამონახვის გზებიც გაჩნდა. თავად ვახტანგაშვილი თამარაშენის საფეხბურთო გუნდ „ლიახვის“ პრეზიდენტად მოგვევლინა და ეს თავის საუკეთესო პროექტად მიაჩნია — გუნდი ოსი ეროვნების 12 ახალგაზრდისგან იყო დაკომპლექტებული, მათ შორის 7 ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა. რაც მთავარია, „ლიახვი“ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ ლიგაში ასპარეზობდა: **„ჩემპიონატის გახსნის დროს, საქართველოს დროშის აღმართვასთან ერთად, როცა ეროვნული ჰიმნი ჟღერდა, შვიდივე ოს ფეხბურთელს გულზე ედო ხელი და ასე უსმენდნენ საქართველოს ჰიმნს.**



ვინ არის სოსო ვახტანგაშვილი და აგვისტოს ომის რა გაუხმაურებელი დეტალების გამო დაუპირისპირდა „ნაციონალებს“



**მაშინ ცხინვალში ეუთო-ს მისია მუშაობდა და ეს რომ ნახეს ევროპელებმა, გაოცებულები დარჩნენ. არ სჯეროდათ — თურმე, ცხინვალელ ოსებსა და ხეობელ ქართველებს ერთ გუნდში თამაში შეუძლიათო... 2004 წლის შემდეგ ეუთო-ს მისიის წარმომადგენლებმა მსხვილი პროექტის განხორციელება შემომთავაზეს, გუნდი გერმანიაში უნდა გამგზავრებულიყო, სადაც ბუნდესლიგის შესაბამის გუნდებთან ამხანაგურ თამაშებს გამართავდნენ და ორკვირიანი სპორტული შეკრებაც ჩატარდებოდა. ამის შემდეგ იგეგმებოდა სოფელ თამარაშენის ტერიტორიაზე, რომელიც ცხინვალთანაა მიბჯენილი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი სტადიონის მშენებლობა. ამ ყველაფრით გერმანიის ეკონომიკის სამინისტრო იყო დაინტერესებული და სტადიონის მშენებლობას საკუთარ თავზე იღებდა. ეუთო-ს მისია იყო შუამავალი და როცა ევროპაში ამ პროექტის შესახებ გაიგეს, გაოცდნენ — ერთ გუნდში დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლები იშვიათად თამაშობენო. ჩვენი ხელისუფლებისგან განსაკუთრებული დაინტერესება არც ყოფილა, მაგრამ მოიპარეს ჩვენი პროექტის ნაწილი და „სანაკოევის გუნდი“ გააკეთეს, სადაც ოსებს, ფაქტობრივად, არც ათამაშებდნენ“,** — იხსენებს გორში განხორციელებული პროექტების შესახებ სოსო ვახტანგაშვილი, თუმცა იმის მიუხედავად, რომ ყოფილ ხელისუფლებაზე მაშინდელ პრეტენზიებს დღეს უფრო რიხით გამოთქვამს, „ნაციონალებთან“ აგვისტოს ომამდე თანამშრომლობას მაინც აგრძელებდა. ვახტანგაშვილი



2008 წელს მინისტრის მოადგილე გახდა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში ქურთას ადმინისტრაციაში. მაშინ ადმინისტრაციაში სახელმწიფოს ერთადერთ ოფიციალურ პირს წარმოადგენდა, თუმცა მისი და „ნაციონალების“ გზები სწორედ აგვისტოს ომის დეტალების გამო გაიყო, რაც ვახტანგაშვილმა ბევრ კოლეგაზე უკეთ იცის: **„ომი საკუთარ თავზე გამოვცადე. ყველაფერი ჩემს თვალწინ მოხდა... ქურთას საავადმყოფოს სარდაფებში ვიყავით, როცა დაბომბვა დაიწყო, 8 აგვისტოს საღამოს. თავი კინოში მეგონა, 10 წუთში მთელი ხეობა კვამლში გაეხვია. ამასობაში,**

**ძალოვანი სტრუქტურების ჩვენმა წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, ბავშვები, მოხუცები, ქალები ხეობაში ჩაეტოვებინათ და მათი ევაკუაცია არ მოახდინეს. ოფიციალურმა ცხინვალმა ხომ გაიყვანა ქალები და ბავშვები ქალაქიდან, ამათ ერთი ბავშვიც არ გამოიყვანეს ხეობიდან. სამაგიეროდ, ცხინვალიდან გამოიყვანეს ალანა გაგლოევას ბებია! ჩვენი ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებმა, რომლებმაც მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია არ მოახდინეს, სახელმწიფო დანაშაულის ტოლფასი ქმედება ჩაიდინეს. ღამის 10 საათზე წვერიახოზე გადმოვედი და გზაში ასეთი სურათი დამხვდა: ხალხი ჭუბერზე რომ მოდიოდა აფხაზეთიდან, დაახლოებით, იგივე ხდებოდა წვერიახოს 10-კილომეტრიან უღელტეხილზე. ქალებს ხელჩაკიდებული ბავშვები მოჰყავდათ, მოხუცები ძლივს მოდიოდნენ. მაშინ სამინისტროს მანქანით ვიყავით და რამდენი ადამიანიც ჩაგვეტია, ჩავსვით, გორში ჩამოვიყვანეთ. ამ დროს, ქალაქში აბსოლუტურად არაფერი ხდებოდა. ყვითელი ავტობუსებით ჩამოყვანილი რეზერვისტები გამგეობის წინ გამწკრივებულიყვნენ და წარმოდგენა არ ჰქონდათ, როგორ იბომბებოდა ხალხი რამდენიმე კილომეტრის მოშორებით“.**

მოკლედ, პარლამენტის 2012 წლის შემადგენლობას ორ ომგამომვლილი დეპუტატი ცოტა ჰყავს, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ დევნილების ხმა და ინტერესები ვახტანგაშვილის პარლამენტში ყოფნით აუცილებლად დაცულია. აი, რას ჰპირდებოდა ვახტანგაშვილი გორელებს არჩევნებამდე:

**„არ დავუშვებთ კონფლიქტის შეიარაღებულ ესკალაციას, როგორც ეს 2008 წელს მოხდა. ხალხის ერთ-ერთი მთავარი დაკვეთა სწორედ ისაა, რომ აქტიურები ვიყოთ და აღარ დავუშვათ 2008 წლის მოვლენათა გამეორება. გორის რაიონის უამრავი სოფელი ჯერ კიდევ აღსადგენია, სახლები დანგრეული და დამწვარია, საირიგაციო სისტემა — მოშლილი. აღარ არსებობს ერგნეთის ბაზრობა! ამ ბაზრის გახსნის და ზოგადად, რუსეთთან და ოსებთან ურთიერთობის დალაგების პერსპექტივა „ნაციონალებს“ არ ჰქონდათ! ჩვენ აქტიური მოლაპარაკების პროცესში, ამ საქმეში გამოცდილი ქართველი და უცხოელი სპეციალისტები უნდა ჩავრთოთ. არადა, ამ ბაზრის გახსნა ქართლისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ეს ქართველ გლეხს ფეხზე დადგომის საშუალებას მისცემს! ომმა ბევრი ადამიანი დააზარალა — სახლები, ბაღები, ბიზნესი დააკარგვინა. მაშინდელმა მთავრობამ კი ისიც ვერ მოახერხა, სახლები აღედგინა და ხალხს 15 000 დოლარი გადაუყარა! ხალხმაც, დამწვარი სახლების აღდგენის ნაცვლად, საცხოვრებელი სხვაგან იყიდა, რადგან კონფლიქტისპირა რეგიონს განვითარების არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდა. ამას მცოცავი ანექსია ჰქვია და დღეს სოფლები, ფაქტობრივად, დაცარიელდა. ჩვენ კი ხალხს უკან დაბრუნების მოტივაციას გავუჩენთ...“**

დაპირებებში ყველა მარჯვე რომაა, ქართველ ამომრჩეველს ეს უკვე კარგად აქვს გათვითცნობიერებულიყო. „ოქროს 100“ დღეც გავიდა და, ჯერჯერობით, მთავრობასა და პარლამენტს, კონფლიქტების დარეგულირების კუთხით, ხელშესახები ნაბიჯებიც არ გადაუდგამთ, თუმცა გორის ამომრჩევლის გადასაწყვეტია, საკუთარ მაჟორიტარსა და „ფორუმის“ ფრაქციის თავმჯდომარეს დაპირებების შესრულების დაწყებას რამდენ ხანში მოსთხოვს.

# „ნაციონალების“ 15-ლარიანი დაზღვევა „ოცნების“ 5-ლარიანი დაზღვევის წინააღმდეგ!



ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრმა და ამჟამად, პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთში, ზურაბ ჭიაბერაშვილმა საგანგებო ბრიფინგი გამართა და „ოცნების“ ჯანდაცვის კურსი და სადაზღვევო პოლიტიკა გააკრიტიკა. მისი აზრით, ის დაზღვევა, რომელიც თებერვლის ბოლოდან ამოქმედდა, არც ხალხის მოლოდინს ემთხვევა, არც ხელისუფლების წინასაარჩევნო დაპირებებს პასუხობს და თავად სვამს, ჯერჯერობით, რამდენიმე მართლაც უპასუხო კითხვას. მაგალითად, ექიმთან კონსულტაციისთვის რომელ სამედიცინო დაწესებულებას უნდა მიაკითხოს დაზღვეულმა ან რა მექანიზმით მოხდება სამედიცინო დაწესებულებებისთვის ექიმის კონსულტაციის ხარჯების ანაზღაურება სახელმწიფოს მხრიდან?**

## „ამ სადაზღვევო პაკეტით, „ოცნებამ“ ვითომ ყველას რაღაც მისცა, სინამდვილეში კი — არავის არაფერი!“



**ექსმინისტრი მოქმედ მინისტრს, დავით სერგეენკოს უპირისპირდება და ამბობს, რომ მისთვის გაუგებარია, უმისამართოდ გაშვებულ პაციენტთა ბედი:** „ერთი პაციენტის მკურნალობის ანაზღაურება 86 თეთრი და ლაბორატორიული კვლევების ანაზღაურება 25 თეთრი რომ ჯდება, გასაგებია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ნებისმიერი კლინიკისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, პაციენტთა დიდი რაოდენობა, თუმცა ჩვენ ხომ არ ვიცით, რომელ კლინიკაში უნდა მივიდეთ?! ჯანდაცვის სამინისტრო კი ამბობს, მიდით ნებისმიერში, მაგრამ ეს შეიძლება, გასაგები იყოს მხოლოდ რაიონული ამბულატორიებისა და არა დედაქალაქის დონეზე. თბილისში უამრავი პოლიკლინიკაა, რომელსაც ერთმანეთთან კონკურენცია მოუწევს, რათა რაც შეიძლება მეტი პაციენტი თავად მიიბას და, შესაბამისად, მეტი 86 თეთრი წაიღოს. აქ ისიც მნიშვნელოვანია, როცა პაციენტი ემატება პოლიკლინიკას, ეს რამდენად აისახება ექთნებისა და ექიმების ხელფასებზე“, — **ისე განაცხადა ჭიაბერაშვილმა, თითქოს სწორედ „ვარდების ხელისუფლების“ ანგარიშზე არ იყოს „100 საავადმყოფოს“ ჩაგდებული პროექტი, ვალებში დამხრჩვალი კერძო სადაზღვევოები და მედპერსონალისთვის გასასტუმრებელი რამდენიმეთვიანი სახელფასო დავალიანება. როგორც ჩანს, ექსმინისტრი ხვდება, სად დაუშვა შეცდომა „ნაციონალურმა“ გუნდმა და ამის მიუხედავად, აცხადებს:** „სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ ამ პროგრამას სადაზღვევოების კუთხით რომ შევხედოთ, საშველი ისაა, რომ სახელმწიფომ გააძლიეროს რეგულირების მექანიზმები და სერიოზული ჯარიმებით აიძულოს სადაზღვევო კომპანიები, კეთილსინდისიერად მოემსახურონ დაზღვეულ პაციენტებს. ჩვენ სწორედ ამიტომ ავამოქმედეთ მედიაციის სამსახური, რაც უნდა იყოს მთავარი მაკონტროლებელი ბერკეტი, თუ დაზღვევა კერძო კომპანიების ხელში დარჩება. მედიაციის სამსახურის მონაცემებს თუ გადავხედავთ, აგვისტოდან მოყოლებული, მუდმივად იზრდება თანხა, რომელიც სწორედ მისი ჩარევით, სადაზღვევოებმა ექიმებს აუნაზღაურეს. თავიდან 2 მლნ ლარზე იყო საუბარი, ბოლო თვეებში კი ეს თანხა 5 მლნ-ზე ავიდა“. **ცნობისთვის, ამჟამადაც არაერთი სამედიცინო დაწესებულება მოითხოვს პაციენტთა მკურნალობისა და ექიმების ხელფასების გასასტუმრებელი ხარჯების დაფარვას, „ოცნების“ ბიუჯეტს კი პასუხისგება „ნაციონალების“ შეცდომებზე მოუწევს, თუმცა ჭიაბერაშვილი არათუ ძველი შეცდომების გამოსწორების რესურსს, არამედ ახლის დაშვების დიდ ალბათობასაც ხედავს. მისი აზრით, სახელმწიფო სადაზღვევო ფონდი, რომლის შექნაზეც ჯანდაცვის ახლანდელი მინისტრი აქტიურად საუბრობს, ძველ, შევარდნაძისდროინდელ საპენსიო ფონდზე უკეთესი არაფრით იქნება, რაც უკვე ძირგავარდნილი თემაა. კორუფციისა და გაბერილი ხარჯების გამო, ეს ფონდი აუცილებლად „დიდი შავი ხვრელი“ გახდება ჯანდაცვის ბიუჯეტში!**

**ექსმინისტრი კერძო სადაზღვევო კომპანიებსაც ესარჩლება და აცხადებს, რომ მიმდინარე სადაზღვევო სისტემა, თუ ეს კერძო კომპანიები საერთოდ გადარჩნენ, მათ მცირე ოფისებად გადააქცევს და მათ მომსახურებასაც გააძვირებს:** „როცა კერძო სადაზღვევოები ან საერთოდ გავლენ ბაზრიდან ან დარჩებიან „ბუტიკებად“ და სახელმწიფო ფონდი დაზღვევის ბაზარზე მონოპოლისტი აღმოჩნდება, სწორედ ეს ფონდი უკარნახებს ფასებს სამედიცინო დაწესებულებებს და შეეცდება, მომსახურების ფასები დაბლა დააწევინოს. ეს მოკლევადიანი ეფექტისთვის კარგი იქნება, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში გააუარესებს სამედიცინო მომსახურების ხარისხს, მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს სამედიცინო დაწესებულებებს და შეამცირებს სამუშაო ადგილებისა და სახელფასო განაკვეთების ოდენობას“. **ირონიულია, როცა ექსმინისტრი კერძო სადაზღვევო კომპანიების მონოპოლიების „გადასარჩენად“ სახელმწიფო მონოპოლიაზე საუბრობს, თუმცა მიაჩნია, რომ მას აქვს პასუხი კითხვაზე — თუკი „ოცნების“ სადაზღვევო პოლიტიკა არ ვარგა, მაშინ რა იქნება უკეთესი და ორ პრინციპულ საკითხს გამოყოფს:** „ის 15-ლარიანი პაკეტი, რომლითაც ბავშვები, პენსიონერები და სტუდენტები დავაზღვიეთ, საკმაოდ კარგია. ყველაზე სწორი იქნებოდა, ის 2,2 მლნ ადამიანიც სწორედ ამ პაკეტით დაეზღვია სახელმწიფოს. თუ მთავრობა იტყვის, რომ ამ მომენტში ამის რესურსი სრულად არ აქვს და ყველა ადამიანისთვის 15-ლარიანი პაკეტის ფული არ გააჩნია, მაშინ თავს კომუნისტურად ვერ მოვიწონებთ, თითქოს 2 მილიონზე მეტ ადამიანს ჯანდაცვის პრობლემა 5-ლარიანი პაკეტით მოვუხსენით, რადგან მათთვის, სინამდვილეში, არაფერი მიგვიცია. ამას სჯობდა, სახელმწიფოს დაეზღვია გარკვეული ჯგუფები, მაგრამ — სრულფასოვნად. მაგალითად, თუ ჩვენ დავაზღვიეთ 15-ლარიანი პაკეტით პენსიონერები, ისინი საპენსიო ასაკიდან ქვემოთ ჩამოსულიყვნენ და დაეზღვიათ 45-დან 60 წლამდე ადამიანები, ოღონდ სრულფასოვანი პაკეტით! ასე, ნელნელა გაეფართოებინათ ეს პროგრამა სხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვისაც, ვთქვათ, შემდეგ წელს 30-დან 45 წლამდე და ა.შ. ამით „ოცნებამ“ ვითომ ყველას რაღაც მისცა, სინამდვილეში კი — არავის არაფერი! მეორე პრინციპული საკითხი მედიკამენტების თემაა. ჩვენს პაკეტში ჩამოთვლილია 60-მდე დასახელების საშუალება, რომლის ფასსაც ვანაზღაურებთ. ახლა კი გვესმის ჯანდაცვის სამინისტროსგან, უპრეცედენტოდ დიდი ბიუჯეტი გვაქვსო, მაგრამ ამას რაში ვიყენებთ?! ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ვისაც მათი დაზღვევა უკვე აქვს, ანაზღაურებადი მედიკამენტების ჩამონათვალი გაუფართოვდეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ეს საკითხი პენსიონერებისა და ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებისთვისაა!“

***გამოცანად დარჩა, რატომ არ გააფართოვა ამ რისკჯგუფთა დაზღვევა თუ ანაზღაურებად მედიკამენტთა სია სწორედ ექსმინისტრმა. ის ამას დროისა და სახსრების უქონლობით ხსნის და აცხადებს, სჯობს, ცოტა, მაგრამ კარგად იყოს დაზღვეული, ვიდრე, ერთდროულად ყველა და არავინო! საგანგებო ბრიფინგზე ზურაბ ჭიაბერაშვილმა „ვერსიის“ რამდენიმე კითხვას უპასუხა:***

**— კობა დავითაშვილის განმარტებით, ახალი სახელმწიფო საპენსიო ფონდი ნახევრადგერმანული მოდელია, სადაც საშემოსავლოს მესამედს პირდაპირ ამ ფონდში თავად მომხმარებელი იხდის და ამგვარად, მასში სახელმწიფო, სამედიცინო დაწესებულება და მომხმარებელი ანუ სამი მხარეა ჩართული. ამ მოდელს რა აქვს დასაწუნი?**

— სახელმწიფოს ორგვარი მიდგომით შეუძლია ადამიანის დაზღვევა. ჩვენი მიდგომა ასეთი იყო: სახელმწიფო იხდის დაზღვევის ფულს, ოღონდ ფულს აძლევს არა პირდაპირ სამედიცინო დაწესებულებას, არამედ უხდის კერძო სადაზღვევო კომპანიას, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ყველა სადაზღვევო ხარჯი საავადმყოფოში. ეს კარგი იმითაა, რომ ჩვენ ამ კომპანიას 15 ლარს ვუხდით და მას რაღაც თანხა უგროვდება, თუმცა პაციენტთა მკურნალობის თანხა მეტიც რომ აღმოჩნდეს, კომპანია ვალდებულია, ეს ფული საიდანაც უნდა, მოიტანოს. ხოლო თქვენს მიერ ნახსენები მოდელით, სახელმწიფო ამ სადაზღვევო თანხას უხდის არა კერძო კომპანიებს, არამედ თვითონ ქმნის თავის მფლობელობაში არსებულ სადაზღვევოებს. იქ ახდენს თანხების აკუმულირებას და ამას უწოდებს სადაზღვევო ფონდს, რომელსაც ის პრობლემა აქვს, რომ თუ მკურნალობის თანხა გადახდილზე მეტი აღმოჩნდება, მოუტრიალდება ჯანდაცვის სამინისტროს და ეტყვის, ფული დამიმატეო!

**— მაგრამ რისკჯგუფების მონაცემებზე დაყრდნობით, არსებობს სტატისტიკა, რამდენი ადამიანი შეიძლება გახდეს ავად. ამ რისკების გათვლა, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო დაზღვევის მხარეს შეუძლია და რატომ ვერ გააკეთებს ამას საპენსიო ფონდი, რაც ბოლოს და ბოლოს, შესაძლოა, კერძო მონოპოლისტების მოსასპობადაც უკეთესი იყოს?**

— სწორია. სახელმწიფომ, ჩაატარა კიდეც ეს აქტუალური დათვლები და მიმართვიანობასა და სტატისტიკაზე დაყრდნობით, დაადგინა მიახლოებითი რიცხვები და ფასები. რისკების წინასწარ შეფასების შესაძლებლობა არის, მაგრამ აქ კიდევ ერთი პრობლემაა: სწორედ კობა დავითაშვილმა დამიდასტურა დებატებში, რომ ამ საპენსიო ფონდის არსებობის შემთხვევაში, სწორედ სახელმწიფო დაიწყებს ფასების რეგულირებას.

**— დაადასტურა და კახა ოქრიაშვილი „ოცნებამ“ ცალკე ფრაქციაში მიიღო — სიმბოლურია!**

— დღეს პოლიტიკაზე არ ვსაუბრობთ! იმის გამო, რომ დაზღვევის ხარჯი ძალიან მაღლა არ წავიდეს, სახელმწიფოს ინტერესი იქნება, დაბლა დაწიოს სამედიცინო მომსახურების ფასიც. ეს, შეიძლება, ფართო საზოგადოებას დროებით გაუხარდეს, მაგრამ გარწმუნებთ, აუცილებლად აისახება მომსახურების ხარისხსა და პერსონალის კვალიფიკაციაზე.



# „წითელა“ 2-3 თვეს კიდევ შემოგვიტევს!

## რატომ გახშირდა ინფექციის შემთხვევები და რამდენ ხანს გაგრძელდება უფასო ვაქცინაცია



ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

წითელას ინფექციამ განსაკუთრებით თებერვლის ბოლოდან შემოგვიტია, ბოლო რამდენიმე დღეში, წითელათი ავადობის 120-მდე შემთხვევა დაფიქსირდა. დაავადებულთაგან კი 59 ჰოსპიტალიზირებული იყო.

ზოგადად, ბოლო წლებში წითელას შემთხვევების რაოდენობა 40-60 ერთეულს არ აღემატებოდა, წელს კი მაჩვენებელმა, მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში, 28-ით მოიმატა. ახალი შემთხვევების უმეტესობა თბილისში აღირიცხა.

ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი პაატა იმნაძე ვარაუდობს, რომ ბოლო კვირებში წითელას შემთხვევები მოიმატებს, ინფექციით დაავადებულთა რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება და რამდენიმე ასეულსაც გაუტოლდება. ამის მიზეზად, იმნაძე 2008 წელს წითელას ჩაშლილ იმუნიზაციას ასახელებს.

გამოვლენილი შემთხვევების უმეტესობა 20-29 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის.

უკვე დაიწყო წითელათი დაავადებულებთან კონტაქტში მყოფი პირებისა და 1-7 წლამდე ასაკის ბავშვების უფასო სავალდებულო ვაქცინაცია, რომელიც სამი თვის განმავლობაში გაგრძელდება.

მიუხედავად იმისა, რომ წითელათი დაავადებულთა მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზარდა, სპეციალისტების თქმით, ეპიდემია არ ფიქსირდება. ისინი გვირჩევენ, განსაკუთრებით ბავშვები მოვარიდოთ ხალხმრავალ ადგილებსა და დაავადებულ ადამიანებს. წითელასთვის დამახასიათებელი სიმპტომების (ტემპერატურის მატება, რინიტი...) გამოვლენისთანავე, მიმართეთ ექიმს.

**პაატა იმნაძე:** „წითელათი ავადობის შემთხვევებმა მოიმატა. ეს 2008 წელს წითელას საწინააღმდეგო მასობრივი აცრების კამპანიას უკავშირდება. ბევრ ადამიანს იმუნიტეტი დაქვეითებული აქვს. აუცრელები დაავადების რისკის ქვეშაც არიან და მათშიცაა წითელას შემთხვევები მომატებული. დაავადებულთა უმეტესობა 20-დან-30 წლამდეა. ხუთ წლამდე ბავშვებიც არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი დედები არ აიცრნენ და იმუნიტეტი არ აქვთ ამ დაავადების მიმართ. ბავშვები წითელათი ავად გახდებიან, სანამ პირველი აცრა არ მოუწევთ.

**აცრა სავალდებულოა 1 და 5 წლის ასაკის ბავშვებისთვის. დიდებს კი იმიტომ ვცრიდით, რომ თავის დროზე არ აიცრნენ. 2008 წელს ყველა რომ აცრილიყო, წითელა ახლა საერთოდ აღარ იქნებოდა ისევე, როგორც წითურა.**

**— აცრები ფასიანია?**

— 30 წლამდე ადამიანებისთვის უფასოა.

**— რამდენად რთულია ეს დაავადება და რა სიმპტომები აქვს?**

**— წითელა დაინფიცირებიდან 7-14 დღეში ვლინდება. მაღალი ტემპერატურა, ხველა, რინიტი, კონიუქტივიტი... ახასიათებს. წითელი გამონაყარი თავს მე-4-5 დღეს იჩენს და სხეულზე, თავდაპირველად, სახეზე (შუბლზე) ჩნდება, საიდანაც ვრცელდება მთელ სხეულზე ზევიდან ქვევით (კისერი, ტორსი, ხელები, ფეხები, ტერფები). გამონაყარის გაჩენის შემდეგ, ავადმყოფის სხეულის ტემპერატურამ შეიძლება მიაღწიოს 40 გრადუსსაც კი. რამდენიმე დღეში სიცხე დაბლა იწევს და გამონაყარი თანდათან ქრება.**

**წითელათი დაავადებული, დაახლოებით, 10 ბავშვიდან ერთს მაინც უვითარდება ყურის ინფექცია, 20-დან ერთს — პნევმონია. 1 000-დან ერთს — ენცეფალიტი. 1000-დან ერთი ან ორი შემთხვევა კი, ლეტალურად მთავრდება. ორსულებში წითელამ შეიძლება გამოიწვიოს სპონტანური აბორტი,ნაადრევი მშობიარობა ან მცირეწონიანი ბავშვის დაბადება.**

**— როგორ ვრცელდება წითელა?**

— ჰაერით — სუნთქვის, ხველებისა და ცემინების დროს. წითელა ადვილად გადამდებია.

**— ადამიანმა ერთხელ თუ მოიხადა წითელა, მეორედ შეიძლება შეხვდეს?**

— მეორედ შეხვედრის შანსი ნაკლებია, თუმცა ყველაფერი ადამიანის იმუნიტეტზეა დამოკიდებული. გამონაკლისი, ცხადია, არსებობს.

**— პიკი როდის გადაივლის?**

— 2-3 თვის განმავლობაში წითელას შემთხვევები დაფიქსირდება და შემდეგ გადაივლის.

# 15 მარტს ვეტერანები გმირთა მოედანზე, აფხაზეთში დაღუპული მეომრების ხსოვნას პატივს მიაგებენ



ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**15 მარტს ვეტერანები, რომლებიც თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასთან „პერმანენტულ შეხვედრებს“ მოითხოვენ, გმირთა მოედანზე შეიკრიბებიან. ვეტერანი გიორგი ძებისაშვილი სამაჩაბლოსა და აფხაზეთში იბრძოდა, „ვერსიასთან“ საუბრისას, ის ომის დეტალებსაც იხსენებს და შევარდნაძე-სააკაშვილს შორის პარალელებსაც ავლებს.**



## რაში ადანაშაულებენ მთავარსარდალ სააკაშვილს და რატომ ურჩევენ პრეზიდენტის დაპატიმრებას თეა წულუკიანს ომის მონაწილეები

— 1993 წლის 2 იანვარს ძლიერი შემოტევა მოვიგერიეთ. დაზვერვაში ინფორმაცია მოვიდა, რომ სოხუმზე ისევ თავდასხმას აპირებდნენ, 1993 წლის 16 იანვარს ყველაზე ძლიერი დარტყმა იყო. მაშინ 45 ქართველი დაიღუპა, მათაც დიდი დანაკარგი ჰქონდათ — დაახლოებით, 1 200 ცხედარი გაიტანეს იმ დღეს. როცა მოგებისთვის ფიზიკურად და მორალურად მზად ხარ, არ გეშინია, ტანკს შეუვარდები, ამ დროს კი, მოვიდა ბრძანება, უკან უნდა დაიხიოთო. ეს იყო იდიოტიზმი.

**— თქვენი ინფორმაციით, რატომ გასცეს ასეთი ბრძანება?**

> **— შევარდნაძე საქართველოში, თავის დროზე, ტყუილად არ ჩამოსულა. სააკაშვილი მას გაჭრილი ვაშლივით ჰგავს. ომის ვეტერანებს მის მიმართ ცუდი დამოკიდებულება გვაქვს, ამ 9 წლის განმავლობაში ერთხელ მაინც ეკითხა, ვეტერანები სად არიან, რით არსებობენო. 2004 და 2008 წელს სააკაშვილმა სისულელეები ჩაიდინა. 2008 წლის ომში ვიყავით წასულები ვეტერანი ბიჭები, მაგრამ ვინ გვაომა — იარაღიც არ მოგვცეს. შეეშინდათ, ვეტერანებს იარაღი ხელში რომ დავაჭერინოთ, აქეთ არ შემოგვიბრუნდნენო. როგორი ამბავი იქნებოდა, 15 000 ვეტერანი იარაღს ხელში რომ აიღებდა. რეალურად ვთქვათ — სააკაშვილს ომის მოგება არ უნდოდა! მისი მოქმედება გაჭრილი ვაშლივით ჰგავს შევარდნაძისას. შევარდნაძემ ხომ აფხაზეთი და სამაჩაბლო დაგვაკარგვინა, სააკაშვილმა — ქსნისა და კოდორის ხეობა. ბრძანება კრემლიდან მოდიოდა, ჩვენ გაყიდულები ვიყავით. სააკაშვილის პირველი ინსტრუქტორი ბიძამისი, უშიშროების გენერალ-ლეიტენანტი თემურ ალასანიაა.**

ქვეყანაში მთავარსარდალი სააკაშვილი იყო და არდამორჩილებაც არ შეიძლებოდა. სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ისიც არ იცის, რა უნდა გაეკეთებინა ქვეყნის თავდაცვისთვის. თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია აპარტამენტების კეთებითა და მანქანების შეძენით იყოს დაკავებული მაშინ, როცა ქვეყნის უსაფრთხოებასა და თავდაცვაზე უნდა ეზრუნა. ომი უმაღლეს დონეზე აყვანილი ხელოვნებაა, რომელსაც ცოდნა უნდა. დავით კეზერაშვილი, დიმიტრი შაშკინი, გია ბარამიძე და სხვები აზრზე არ იყვნენ, რა არის თავდაცვის სამინისტრო და ომი.

**— რუსეთს აფხაზეთის ასეთი დიდი ინტერესი რომ აქვს, თქვენი აზრით, რატომ არ აყვავებს იქაურობას?**

— რუსეთს ეშერის ლაბორატორიის ინტერესი აქვს, იქიდან რუსები პორტუგალიამდე მთელ შავ ზღვას, დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებს, ხმელთაშუა ზღვასა და საჰაერო სივრცეს აკონტროლებენ და ამას დათმობენ?! ეშერის ლაბორატორიიდან რუსეთს მიწისძვრის გამოწვევაც შეუძლია, აფხაზეთიდან ახლა თხილი და ხე-ტყე გააქვთ, გააპარტახებენ იქაურობას და მერე, აქ ჩამოვლენ საცხოვრებლად. ბაღაფში რუსებმა მოკლეს, მას თურქეთში წასვლა აკრძალული ჰქონდა, მიუხედავად ამისა, მაინც ჩავიდა იქ, სადაც აფხაზების დიდი დიასპორაა. მათი წამოყვანა და აფხაზეთში დასახლება უნდოდა, რაც რუსებმა გაუგეს და არ აპატიეს.

2008 წლის ომის წაგებაში, პირველ რიგში, დაზვერვას ვადანაშაულებ. კოდორში იმდენი იარაღი იყო... კოდორს არ დავკარგავდით... კვიციანს შეუჩნდნენ ტყუილუბრალოდ და გააქციეს იმიტომ, რომ სააკაშვილს დედა აგინა. საგინებელი იყო, 14 წელი დაიცვა კოდორის ხეობა კვიციანმა, იქ ერთმა ასეულმა შეიძლება მოიგერიოს მტერი, ისეთი ადგილებია. ემზარ კვიციანი თავდაცვის სამინისტროს ემორჩილებოდა, რეგისტრირებული იყო, როგორც სამხედრო ფორმირება, რომელიც იქაურობას იცავდა. 2004 წელს ემზარის ბიჭებმა რუსებს სასაკლაო მოუწყვეს და კუდით ქვა ასროლინეს. ვიღაცამ მოინდომა კოდორის ხეობაში შესვლა მტრულად, იარაღით. ემზარის ბიჭებმა გააფრთხილეს, აქ არ შემოხვიდეთო, არ დაემორჩილნენ. სააკაშვილმა იფიქრა, ეს წარმატება კვიციანმა არ აიტაცოსო და გააქციეს. ემზარი რომ ყოფილიყო, შეიძლება, კოდორის ხეობა არ დაგვეკარგა.

> **კოდორი სტრატეგიული დანიშნულების ადგილია. არც ის შეიძლებოდა, ტრასის მიმდებარე ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები რომ ააშენა სააკაშვილმა და არც იმის გამომზეურება შეიძლება, რა შეიარაღება აქვს ქვეყანას. 20 იანვარს სააკაშვილს ვადა გაუვიდა, ახლა ხელისუფლებაში მისი ყოფნა, ჩვენი წაგებაა. მისი დაპატიმრება თეა წულუკიანს შეუძლია და რატომ არ აკეთებს ამას, ჩემთვის გაუგებარია. უკვე ხალხი ღიზიანდება, მეტადრე თბილისელები.**

**— 15 მარტს, 12 საათზე, გმირთა მოედანზე ვეტერანები რა მიზნით იკრიბებით?**

— 1993 წლის 15 მარტს აფხაზეთში მტერმა შემოგვიტია და ბიჭები დაგვიხოცა. მინდა, ის ბიჭები მოვიგონოთ. სახელი არ მოეძებნება ქვეყანას, რომელიც არ სცემს პატივს ომის ვეტერანებს. ომის მონაწილეებს გვსურს, ორ თვეში ერთხელ მაინც შევხვდეთ თავდაცვის მინისტრს.

**— ალასანიასთან ასე ხშირ შეხვედრას რატომ ითხოვთ?**

> **— ირაკლი ალასანიას მოსვლით იმედი გაგვიჩნდა, რომ ჩვენი პრობლემებით ვინმე დაინტერესდება. ვეტერანებს, ძირითადად, უმუშევრობა და ჯანმრთელობის პრობლემები გვაწუხებს. ჩემი გუნდი სოფლის მეურნეობითა და სწავლა-განათლების საკითხებითაა დაინტერესებული, ამ თემებზე ვმუშაობთ. თბილისიდან 40 კილომეტრში მიწის დიდი ფართობია. სერიოზული კრედიტი გვჭირდება — გვინდა, ეს მიწა დავამუშაოთ და საწარმოები გავაკეთოთ. ვეტერანები ყველაზე ცუდ დღეში ვართ, უმეტესობას უკიდურესად უჭირს და ამის გამოსწორების ერთადერთი გზაა, შეიქმნას მაგალითად, დეპარტამენტი, რომელსაც სახელმწიფო დააფინანსებს**

ამ თანხით, გარკვეულ პრობლემებს მოვაგვარებთ ან ისეთ პროექტებს განვახორციელებთ, როგორზეც უკვე მოგახსენეთ, ანდა რაიმე ბიზნესს წამოვიწყებთ. ამის პრეცედენტი ამერიკაში არსებობს — ვიეტნამის ომის ვეტერანებს ამერიკის ხელისუფლებამ დეპარტამენტი შეუქმნა, ფული გადაურიცხა და ამით გააძლიერა.

განათლება

# ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ბაზაზე ახალი უნივერსიტეტი დაფუძნდება

ნელი თორდია
593-61-07-72

## ვინ უხელმძღვანელებს უნივერსიტეტს და გამოეყოფა თუ არა ილიაუნს მიერთებული სხვა უმაღლესი სასწავლებლები

**ეროვნული გამოცდების დაწყებამდე სამი თვით ადრე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ორი უნივერსიტეტის ყოფნა-არყოფნის საკითხს განიხილავს. 11 მარტს, ავტორიზაციის საბჭოს წევრები აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის ჩამორთმევის საკითხს შეისწავლიან, მოგვიანებით კი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის აღდგენის დეტალებზე იმსჯელებენ. გავრცელებული ინფორმაციით, ცენტრის ექსპერტები ბენდუქიძის უნივერსიტეტში სამსახურიდან გაშვებული პროფესორების საჩივრის საფუძველზე შევიდნენ და დარღვევები აღმოაჩინეს, რომლებიც შესაძლოა, სასწავლებელს ავტორიზაციის დაკარგვად დაუჯდეს. თუკი აგრარული უნივერსიტეტის ბედი ჯერჯერობით ბურუსითაა მოცული, თითქმის გადაწყვეტილია სპორტის აკადემიის აღდგენის საკითხი.**

**2007 წელს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა. აკადემიის აღდგენის მოთხოვნით გამართულმა საპროტესტო აქციებმა და სასამართლო პროცესებმა შედეგი ვერ გამოიღო, თუმცა სასწავლებლის კუთვნილი ქონების გასხვისებას ხელი შეუშალა. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ორგანოში გამართული განხილვები სასწავლებლის სასარგებლოდ დასრულდა. როგორც სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ლერი ხაბელოვმა განაცხადა, საპარლამენტო კომიტეტი აკადემიის აღდგენას მხარს დაუჭერს. ერთ-ერთი ინფორმაციით, აღდგენილი სასწავლებლის რექტორად მოიაზრება პროფესორი ჯემალ ძაგანია, რომელიც „ვერსიის“ კითხვებს პასუხობს.**

— ეს აღდგენა არაა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეერთებული ყოფილი სპორტის აკადემია მუშაობას მილევად რეჟიმში გააგრძელებს. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო კი აფუძნებს ახალ უმაღლეს სპორტულ სასწავლებელს — ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტს. ფაქტობრივად, ეს საკითხი გადაწყვეტილია. პოლიტიკური ნება არსებობს და დღედღეზე საბოლოო გადაწყვეტილებას ველოდებით. ფინანსთა სამინისტროდან იყო მცირე შეფერხება, რომელიც მალე დასრულდება.

**— ახლადგახსნილი სასწავლებლის რექტორად თქვენ მოიაზრებით.**

— ჯერ ვერაფერს გეტყვით. ასე ამბობენ, ვნახოთ.

**— სად განთავსდება ახალი უნივერსიტეტი, ვინ წაიკითხავს ლექციებს და რა მიმართულებებზე იქნება სწავლება?**

— ტერიტორიულად, იქვე ვიქნებით, სადაც ვიყავით, ვაკეში. სპორტის აკადემიის შენობა და ინფრასტრუქტურა მთლიანად ახალ უნივერსიტეტს გადაეცემა და ლექციებსაც ყოფილი სპორტის აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები წაიკითხავენ. მოგეხსენებათ, ილიას უნივერსიტეტთან შეერთების შემდეგ აბსოლუტურად ყველა პროფესორი სამსახურიდან გაათავისუფლეს. მათ შორის მეც. „ძველი“ პროფესურა ახალ უნივერსიტეტში სპორტის აკადემიის ტრადიციებს გააგრძელებს. გვექნება მწვრთნელთა მოსამზადებელი, სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტები. ასევე — პედაგოგიური ფაკულტეტი, რომელიც საჯარო სკოლის მასწავლებლებს ფიზიკურ აღზრდაში მოამზადებს. იქნება უმაღლესი აკადემიური სპეციალობები და პროფესიული მომზადება (სპორტული ჟურნალისტი სპორტის სახეების მიხედვით, ფიზიკური აღზრდა-რეაბილიტაციის სპეციალისტი და სპორტული მასაჟის სპეციალისტი). არ არის გამორიცხული, ჩავრთოთ ექსკურსიამძღოლისა და გიდის სპეციალობაც.

**— რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებთ და როდიდან?**

— სტუდენტებს მომავალი სასწავლო წლიდან მივიღებთ. წელს ვერ ვასწრებთ.

რაც შეეხება მათ რაოდენობას, ეს დამოკიდებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრზე, რომელმაც ყველაფერი უნდა განსაზღვროს. ვფიქრობთ, პირველ ეტაპზე, 250-300 სტუდენტის მიღებას შევძლებთ.

**— რამდენად შესაძლებელია ილიას უნივერსიტეტთან შეერთებული სხვა უნივერსიტეტების, ინსტიტუტებისა და კოლეჯების დამოუკიდებელ ერთეულებად გამოყოფა?**

— სამწუხაროდ, ამ სასწავლებლებმა არაფერი გააკეთეს, რათა შეენარჩუნებინათ, რაც შესანარჩუნებელი იყო. მთელმა საქართველომ იცის, ჩვენ 5 წელი ვიბრძოდით, საპროტესტო აქციებს ვაწყობდით, 33 დღე კარვები გვქონდა გაშლილი და ვშიმშილობდით, ამიტომაც გადაურჩა სპორტის აკადემიის ინფრასტრუქტურა გაყიდვას. რეალურად, ილიას უნივერსიტეტთან აკადემიის შეერთების ნამდვილი მიზანი ჩვენი ქონების ხელში ჩაგდება და გაყიდვა იყო — ვაკეში 4 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და კიდევ სხვა ტერიტორიები მავანს მოსვენებას უკარგავდა. სასამართლოში რომ არ შეგვეტანა სარჩელი და არ გვებრძოლა, ყველაფერი დიდი ხნის გაყიდული იქნებოდა. სამწუხაროდ, ბევრ ინსტიტუტს ხელი არ გაუნძრევია საკუთარი ქონების გადასარჩენად და მათი აღდგენა როგორ მოხდება, არ ვიცი. ყველას წარმატებას ვუსურვებ.

**რა ბედი ეწევა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან შერწყმულ თუ ლიკვიდირებულ უმაღლეს სასწავლებლებს, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ერთ-ერთი ვერსიით, თითოეულის საკითხი ეტაპობრივად განიხილება. მათ შორის პირველი კი, მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურიდან ილიაუნის ქოლგის ქვეშ მოქცეული კვლევითი ინსტიტუტების აღდგენა იქნება.**

## „19 აპრილის აქცია ისევ აქტუალურია“



საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით რეზოლუციაზე კონსენსუსის მიუხედავად, 19 აპრილის აქცია ისევ აქტუალურია. საპარლამენტო უმცირესობის წევრმა, ნუგზარ წიკლაურმა განაცხადა, რომ ამ აქციას პარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციასთან ვერ დააკავშირებს, ამ დოკუმენტის პირველადი ვერსია „სამარცხვინო და კაპიტულანტური“ იყო და მისი შეცვლა ოპოზიციის ძალისხმევით მოხერხდა:

**„მნიშვნელოვანია დეკლარაციები და ასეთი პოზიციის გამოქვეყნება, თუმცა მთავარია არა ამ ტიპის დეკლარაციები, არამედ ის, რამდენად რეალურად სრულდება ეს მისწრაფებები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ საერთო სასამართლოების კანონთან, ადგილობრივ თვითმმართველობებზე თავდასხმასთან, დეპუტატების პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებით არავითარ კავშირშია ევროპულ ღირებულებებთან“.**

ასევე ნუგზარ წიკლაურმა აღნიშნა: **„19 აპრილის აქცია აქტუალობას არ დაკარგავს, რადგან ვხედავთ, რა პროცესები ვითარდება ქვეყანაში. იმ შემთხვევაში, თუ ბიძინა ივანიშვილი 19 აპრილამდე ანგელოზად გადაიქცევა და აღარ იქნება საჭიროება, ჩვენი პოზიცია საჯაროდ გამოვხატოთ, ეს სხვა ამბავია, თუმცა ამის იმედი არ გვაქვს. ამიტომ 19 აპრილის აქცია კვლავ აქტუალურია და ის შედგება“.**

საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით რეზოლუციის პროექტი პარლამენტმა ერთხმად – 96 ხმით მიიღო. დოკუმენტი უმრავლესობისა და უმცირესობის ერთობლივი მხარდაჭერით გავიდა.

***„ინტერპრესნიუსი“***

## „თბილავიამშენის“ აღმასრულებელ დირექტორად „ქართუ ჯგუფის“ ყოფილი პრეზიდენტი დაინიშნა




შპს „თბილავიამშენის“ აღმასრულებელ დირექტორად დანიშვნის შესახებ ინფორმაცია, „ინტერპრესნიუსს“ თავად გიგა ჩრდილელმა დაუდასტურა და განმარტა, რომ ახალ თანამდებობაზე მუშაობას ერთი კვირის წინ შეუდგა:

**„მე გავხდი „თბილავიამშენის“ აღმასრულებელი დირექტორი, თუმცა ეს არ ნიშნავს პირველ პირობას. მაქვს ჩემი კონკრეტული ფუნქციები და ამოცანები, თუმცა მისი დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ“.**

გიგა ჩრდილელი „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტობიდან მას შემდეგ გათავისუფლდა, რაც პოლიტიკაში შემოსვლისთანავე, ბიძინა ივანიშვილმა ღია წერილი გამოაქვეყნა და ჩრდილელი „ნაცმოძრაობის“ აგენტობაში დაადანაშაულა.

კითხვაზე, ამოწურულია თუ არა მასა და ივანიშვილს შორის აღნიშნულის გამო შექმნილი ერთგვარი უხერხულობა, ჩრდილელს ასეთი პასუხი აქვს: **„ეს არის ჩემი და პრემიერის პირადი საკითხი და მოდი, ამ თემას ნუ შევეხებით“.**

ჩრდილელმა არ დააკონკრეტა, ვისი რეკომენდაციით დაინიშნა თანამდებობაზე.

***„ინტერპრესნიუსი“***

# „რეფერალური ჰოსპიტალი 2012“ დახურვის საფრთხის წინაშე უცხოელმა ინვესტორმა დააყენა

ნელი თორდია
593-61-07-72

**საბაზრო ეკონომიკა რომ სასიცოცხლო და სტრატეგიული ობიექტების „უპრაგონოდ“ გაყიდვა-გასხვისებას არ გულისხმობს და ყველა უცხოელი ინვესტორი ფრთიანი ანგელოზი არაა, ამაში რამდენჯერმე გაყიდულ-გადაყიდული შპს „რეფერალური ჰოსპიტალი 2012“-ის მაგალითზეც შეიძლება დავრწმუნდეთ. მოვლენებს თანმიმდევრობით მივყვებით და გეტყვით, რომ 2010 წელს, ეკონომიკისა და ჯანდაცვის სამინისტროების კოორდინირებული მუშაობის შედეგად, №5 საავადმყოფო პოლონელ ინვესტორზე, 550 000 დოლარად გასხვისდა. იმის მომიზეზებით, რომ ქართული ადმინისტრაცია სათანადო მენეჯმენტს ვერ აწარმოებდა, პოლონელებმა საავადმყოფოს ადმინისტრაცია ერთი წლის განმავლობაში 4-ჯერ შეცვალეს, შემდეგ კოლექტივს აუწყეს, ფინანსური პრობლემები გვაქვსო და მათი „მოღვაწეობის“ პერიოდში დაგროვილი სახელფასო დავალიანება სამომრიგებლო ხელშეკრულებით შეამცირეს. ის ხალხი, (მათ შორის მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექიმები) ვინც უხელფასოდ მუშაობას არ დათანხმდა, სამსახურიდან გაათავისუფლეს.**



რატომ არ გადაჰყავს „სასწრაფოს“ პაციენტები აღნიშნულ ჰოსპიტალში და აუნაზღაურებენ თუ არა საავადმყოფოს 543 თანამშრომელს სახელფასო დავალიანებას

მოგვიანებით, ბიძინა ივანიშვილისთვის გაგზავნილ წერილში, კლინიკის პერსონალი განაცხადებს, რომ პოლონელი ინვესტორი ჩვეულებრივი თაღლითია, რომელიც სახელფასო დავალიანებების დაფარვასთან დაკავშირებით შეუსრულებელ დაპირებებს იძლეოდა და „მეტი დამაჯერებლობისთვის“, იმდროინდელი ჯანდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, ირაკლი გიორგობიანს და პარლამენტარ მიხეილ მაჭავარიანს იმოწმებდა. საპროტესტო აქციების რეჟიმში გადასულ კლინიკის თანამშრომლებს ოფიციალური პირები სახელფასო დავალიანების გაცემას ჰპირდებოდნენ, თუმცა ამის მაგივრად, 2012 წლის სექტემბერში დაწესებულება კიდევ ერთხელ გაიყიდა. ჰოსპიტლის პერსონალისთვის სახელფასო დავალიანების დაბრუნებაზე არც ამჯერად უზრუნიათ. თანამშრომლები თავს მოტყუებულებად მიიჩნევენ — თაღლითების წყალობით, მათი კუთვნილი ფულის მიტაცება და წარმატებული კლინიკის ხელოვნურად გაკოტრება მოხდა. ჰოსპიტლის თანამშრომლებთან საუბარში „ვერსიამ“ გაარკვია, რომ მათთვის კლინიკის ახალი მფლობელის ვინაობა ისევე უცნობია, როგორც სახელფასო დავალიანებების გასტუმრების თარიღი. დაუზუსტებელი მონაცემებით, 543 თანამშრომლის სახელფასო დავალიანება მილიონ ლარს აღწევს და მისი გასტუმრების მოთხოვნით, კოლექტიური განცხადებები ყველა მიმართულებითაა დაგზავნილი (მათ შორის, ჯანდაცვის სამინისტროში, პროკურატურაში, პრემიერ-მინისტრის აპარატსა და სასამართლოში), თუმცა ჯერჯერობით, საქმე ადგილიდან არ იძვრის.

რეფერალური ჰოსპიტლის ექიმი, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა, აცხადებს, რომ კლინიკის გაკოტრებაში უცხოელებს ქართველებიც დაეხმარნენ. ექიმს უცნაურად ეჩვენება, რომ სასწრაფო დახმარების ბრიგადებს მათ კლინიკაში პაციენტები არ მოჰყავთ, როცა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორი კახა ჩიხრაძე ჰოსპიტლის ერთ-ერთ დამფუძნებლად ითვლება. **„ეს არის მრავალპროფილიანი კლინიკა, რომელშიც მოქცეულია რეანიმაცია, ქირურგია, ანესთეზიოლოგია, სამეანო გინეკოლოგია, დამწვრობა, ფსიქიატრია, პედიატრია და ზოგადად, ყველაფერი... მთელი ეს რეგიონი ამ საავადმყოფოთი არსებობდა. დღეს, რატომღაც, კლინიკა დაცარიელებულია და დახურვის პირასაა. სასწრაფო დახმარება 112-ის ბრიგადებს ჩვენთან საავადმყოფოს გვერდით კორპუსში მაცხოვრებელი პაციენტიც კი არ შემოჰყავთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ სასწრაფო დახმარების ამჟამინდელი ხელმძღვანელი კახა ჩიხრაძე მცირე ხნით, მაგრამ მაინც ამ ჰოსპიტლის დამფუძნებელი იყო, რატომ აითვალწუნა ასე საავადმყოფო, გაუგებარია. ყველამ იცის, როგორი ფინანსური კრიზისი გადავიტანეთ. ფაქტობრივად, მონებივით, უხელფასოდ გვამუშავებდნენ და მთელი წლის სახელფასო დავალიანება დღემდე არ აგვიღია. 2010 წელს, პოლონელების გამოჩენის შემდეგ, იმდენად ცუდი სიტუაცია შეიქნა, თუ ვინმე ხელფასის მოთხოვნას გაბედავდა, სამსახურიდან უშვებდნენ. ასე გაათავისუფლეს საუკეთესო ქირურგები და ამ დროს, დაგროვდა როგორც სახელფასო დავალიანება, ისე სხვა ორგანიზაციების ვალები. ფაქტობრივად, უცხოელმა ინვესტორმა ადგილობრივ ჩინოვნიკებსა და „სასწრაფო დახმარებასთან“ ერთად, „რეფერალური ჰოსპიტალი 2012“ დახურვის საფრთხის წინაშე დააყენა“.**

ერთ-ერთი ვერსიით, პაციენტთა დაბალი მომართვიანობის მიზეზი ჰოსპიტალში სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელია, რასაც რესპოდენტი ასე ხსნის. **„ვერ ვიტყვი, რომ რამე განსაკუთრებული მაჩვენებელია, თუმცა სიკვდილიანობა არის და, ბუნებრივია, იქნება, რადგან ყველაზე მძიმე და უიმედო კონტინგენტი აქ შემოჰყავთ. როცა თავისუფალი ადგილი გაქვს, უარს როგორ ეტყვი პაციენტს, რომელსაც სხვა კლინიკებმა კარი გამოუხურეს? მიუხედავად იმისა, რომ ვიღაც ავრცელებს აზრს, თითქოს რეფერალურ ჰოსპიტალში არ არის კვალიფიციური პერსონალი და პაციენტის შესვლა სარისკოა, ვამაყობ, სხვა კლინიკების გამოშვებული, უიმედო პაციენტები ჩვენი ჰოსპიტლიდან საკუთარი ფეხით რომ გადიან და ასეთი უამრავი შემთხვევა გვაქვს. ფულის დაკარგვას კიდევ შეეგუება ადამიანი, მაგრამ პრესტიჟის შელახვას — ვერასოდეს. მიმაჩნია, რომ ვარ პროფესიონალი, რომელიც პაციენტის გადასარჩენად ბოლომდე იბრძვის და ასევე ბოლომდე ვიბრძოლებ ამ კლინიკის გადასარჩენად.“**

ჰოსპიტლის გენერალურმა დირექტორმა ჯუმბერ ბოლღაშვილმა „ვერსიასთან“ საუბარში დაადასტურა, რომ ჰოსპიტლის ყოფნა-არყოფნა, გარკვეულწილად, სასწრაფო დახმარების სამსახურებთან ურთიერთობაზეა დამოკიდებული. ბატონი ჯუმბერის განმარტებით, ამ და სხვა საკითხებზე ჯანდაცვის სამინისტროსა და სხვა შესაბამის სტრუქტურებთან მუშაობა მიმდინარეობს და შედეგების შესახებ უახლოეს ხანებში გახდება ცნობილი. **„სამწუხაროდ, გვაქვს ფაქტები, როცა სასწრაფომ პაციენტის ჩვენთან გადმოყვანაზე უარი თქვა და პაციენტს ჩვენამდე მოსვლა კერძო მანქანით მოუწია. სასწრაფო დახმარების გარეშე არსებობა და სათანადო ფინანსური უზრუნველყოფა, ძალიან გაგვიჭირდება, ამიტომ რაღაც შეთანხმებაა საჭირო, რომ საბურთალოდან, ვაკიდან და ზესტაფონიდან თუ არა, ჩვენი რეგიონიდან მაინც მოგვიყვანონ პაციენტები. რაც შეეხება სახელფასო დავალიანებას, სხვებთან ერთად მეც, როგორც ექიმს, სოლიდური თანხა მაქვს ასაღები. მიუხედავად იმისა, რომ მრავალჯერ გავიარეთ კონსულტაციები იურისტებსა და ადვოკატებთან, როგორ დამთავრდება ეს საკითხი საბოლოოდ ან როგორი ფორმით მოხდება ანაზღაურება, ჯერჯერობით უცნობია. ჯანდაცვის ახალმა მინისტრმა ჩვენი პრობლემების მიმართ დიდი დაინტერესება გამოიჩინა და დანიშვნიდან დაახლოებით ორ კვირაში, ჩვენთან მობრძანდა. სამინისტროსთან ერთად ვცდილობთ, ჰოსპიტალი დახურვას გადავარჩინოთ, რადგან საქმე, მართლაც, ყოფნა-არყოფნამდეა მისული. სამინისტრომ თავისი შესაძლებლობების ფარგლებში აღგვითქვა მხარდაჭერა, რადგან სასწრაფო დახმარება ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არაა და მერიის სტრუქტურებს ექვემდებარება. ჩვენს მდგომარეობაში მყოფი კლინიკისთვის სასწრაფო დახმარების სამსახურთან ურთიერთობა უმნიშვნელოვანესია, ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით, მიმდინარეობს ყოველდღიური მუშაობა და საუკეთესო ვარიანტების ძებნა. ალბათ, 2-3 კვირაში რაღაც გაირკვევა“.**

„ვერსიასთან“ საუბრის დასაწყისში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორმა **კახა ჩიხრაძემ** განაცხადა, რეფერალურ ჰოსპიტალთან შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს და პაციენტების გადაყვანას ვერ აუდივართო, თუმცა მოგვიანებით, „პირველი ჩვენება შეცვალა“.

— რეფერალურ ჰოსპიტალში ყოველდღიურად 15-დან 20-მდე პაციენტი გადაგვყავს, იმიტომ, რომ კარგი მდებარეობა აქვს, უნიკალური დამწვრობის ცენტრი, ფსიქიატრიის განყოფილება და ა.შ. მაგალითად, წუხელ (5 მარტს), 17 პაციენტი მივიყვანეთ. მერწმუნეთ, ასეთი პრობლემა ნამდვილად არ არსებობს.

**— როგორც ვიცი, ბოლო გასხვისებამდე კლინიკა თქვენს სახელზე იყო რეგისტრირებული.**

— იყო, მაგრამ მხოლოდ ერთი კვირით და მერე გადავეცი ბატონ ჯუმბერს. ვიცი საავადმყოფოს პრობლემების შესახებ, მაგრამ ფინანსური საკითხები მე არ მეხება. სასწრაფოსთან ურთიერთობაზე სამინისტრო მუშაობს და, დაახლოებით, ორ კვირაში დაიდება პაციენტთა ჰოსპიტალიზაციის გადანაწილება. როცა ეს გადანაწილება მოხდება, შეიძლება, საერთოდ უარი თქვან პაციენტთა გადაყვანაზე ამ ჰოსპიტალში, შეიძლება უფრო მეტი პაციენტი გადაიყვანონ. შეადარეთ ეს საავადმყოფო სხვებს, სადაც უფრო მეტი პაციენტია და დასკვნებს თავად გამოიტანთ. მინდა, სასწრაფოს მიყვანილი პაციენტები თავს კომფორტულად გრძნობდნენ. მანდ კი ნამდვილად ვერ იქნებიან კომფორტულად.

**— გამოდის, პრობლემები მაინც გქონიათ, არა?**

— ალბათ, პრობლემები არის, მაგრამ სამინისტრო ამ პრობლემას ორ კვირაში გადაჭრის და როგორც გვეტყვის, ისე მოვიქცევით.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში განგვიმარტეს, რომ რეფერალური ჰოსპიტლის მსგავსი პრობლემები უცხოელი ინვესტორების საკუთრებაში გადასულ ზოგიერთ სხვა კლინიკაშიც არსებობს, რაზეც ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი შემაჯამებელ ბრიფინგზე ისაუბრებს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **თამარ ბოდოკია**:

**„მინისტრმა დაიწყო რეგიონებში გასვლა და ადგილზე ეცნობა თითოეული ექიმის პრობლემას. პრობლემა ყველგან ბევრია, განსაკუთრებით, იმ კლინიკებში, სადაც ინვესტორები შევიდნენ. ექიმები და მთლიანად პერსონალი უჩივის დაბალ ხელფასს ან უხელფასობას. მინისტრისთვის ამ პრობლემების შესახებ ცნობილია, უბრალოდ, იგი ადგილზე ეცნობა მდგომარეობას და შემდეგ გადაწყვეტს, რა სამოქმედო გეგმას დადებს. ამ დღეებში შემაჯამებელ ბრიფინგს გავაკეთებთ და ყველაფერს გაიგებთ“.**

იკვეთება თუ არა „რეფერალური ჰოსპიტალი 2012“-ის გარშემო განვითარებულ მოვლენებში დანაშაულის ნიშნები და რა ეტაპზეა ამჟამად გამოძიება, ამის გასარკვევად, „ვერსია“ კლინიკის საქმეზე მომუშავე გამომძიებელს, ნინო კობახიძეს დაუკავშირდა. როგორც მოსალოდნელი იყო, „გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე“, კომენტარზე უარი მივიღეთ, თუმცა იმის გარკვევა მაინც მოვახერხეთ, რომ საქმეზე დაწყებულია მოკვლევა და საბოლოო შედეგების შესახებ მოგვიანებით გახდება ცნობილი, მანამდე კი, „ვერსია“ თემის ირგვლივ დამატებით ინფორმაციას მოიძიებს და უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.



# ინდმეწარმე მურმან ცერცვაძე არჩილ კბილაშვილს მისი საქმის ხელახლა გამოძიებას სთხოვს

## როგორ წაართვეს კომერციული ფართი და რა სარჩელით მიმართა ეკა ბესელიას კომიტეტს ზესტაფონის მკვიდრმა



მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ეკა ბესელიასა და საქართველოს მთავარ პროკურორს, არჩილ კბილაშვილს ზესტაფონის რაიონში მცხოვრებმა მეწარმემ საჩივრით მიმართა. ინდმეწარმე მურმან ცერცვაძე იმ ქონების უკან დაბრუნებას ითხოვს, რომელიც ნათესავებმა წაართვეს. მართალია, ამ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება უკვე არსებობს, რომლითაც მურმან ცერცვაძეს ქონება ჩამოართვეს და დააყადაღეს კიდეც, მაგრამ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა, დაზარალებულ მეწარმეს ქონების დაბრუნების იმედი გაუჩნდა და პროკურატურას საჩივრით მიმართა.**

მურმან ცერცვაძემ ბიზნესი 2004 წლიდან დაიწყო. ზესტაფონის რაიონში 750 კვადრატული მეტრი კომერციული ფართი და 421 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელ სახლთან ერთად შეიძინა. „ვერსიასთან“ საუბრისას მურმან ცერცვაძე აცხადებს, რომ მის მიერ შეძენილი ქონება განადგურებული იყო, მაგრამ აღადგინა და კომერციული საქმიანობაც დაიწყო:

**„2005 წლიდან, ჩემი მეუღლის ძმისშვილმა, ნანა ჭულუხაძემ პარტნიორობის სურვილი გამოთქვა. პარალელურად, 221 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთიც მქონდა, რისთვისაც 180 000 ლარის ღირებულების პროექტი დავუკვეთეთ. ნანა ჭულუხაძემ მშენებლობაში მონაწილეობა მოინდომა და პერიოდულად, გარკვეული რაოდენობის თანხას გვიგზავნიდა, რადგან თვითონ მოსკოვში ცხოვრობდა. 2008 წლის მაისში, როდესაც სამუშაოები დავასრულეთ, ნანა ჭულუხაძეს მთლიანობაში შემოტანილი ჰქონდა 18 000 აშშ დოლარი. ჩემს კომერციულ ფართში კი სარიტუალო დარბაზი განვათავსე 250 ადამიანზე, 45 კვადრატულ მეტრში — აფთიაქი, 35 კვადრატულ მეტრში — სილამაზის სალონი და 90 კვადრატულ მეტრში — სუპერმარკეტი, დანარჩენი ფართი დაუსაქმებელი იყო. 2009 წლის ზაფხულში, ნანა ჭულუხაძემ გადაწყვიტა, წილები გაგვეყო, შევთანხმდით, ქონებას თანაბარ ნაწილად — 50-50%-ად გავიყოფდით. პრობლემა ის იყო, რომ თუკი ნანა ჭულუხაძე ამ ქონების 50%-იან წილს წაიღებდა, თვეში 1 500 ლარი უნდა გადაეხადა. საბანკო ვალდებულება მქონდა აღებული და მთლიანობაში, ნანა ჭულუხაძეს მოუწევდა 35 000 ლარის გადახდა. შეთანხმება გავაფორმეთ, ხელი მოვაწერეთ და ჩემი მეუღლის ძმისშვილმა, თვეში 1 500 ლარის გადახდის ვალდებულება აიღო“.**

მხარეებს შორის შეთანხმება 2009 წლის აგვისტოში გაფორმდა, მაგრამ სექტემბერში, ამავე დოკუმენტის საფუძველზე, მურმან ცერცვაძის ქონება დააყადაღეს. როგორც ცერცვაძე გვიამბობს, ნანა ჭულუხაძეს შეეშინდა, რომ ამ კომერციულ ფართში, მისი კუთვნილი წილი არ გაყიდულიყო:

**„რეალურად, ასეთი საშიშროება არ ყოფილა, რადგან არავითარი სურვილი არ მქონდა, ქონება გამეყიდა. სამაგიეროდ, ნანა ჭულუხაძეს სურდა, გავეკოტრებინე და საბანკო ვალდებულებების დაფარვა არ შემძლებოდა. მეტსაც გეტყვით, ბოლოს მოინდომა, 50%-ის კი არა, 100%-იანი წილის მფლობელი ყოფილიყო. ოქტომბერში შეიტანეს კიდეც სარჩელი სასამართლოში, რომ ამ კომერციულ ფართში განთავსებული შენობა სოლიდარულად გაყიდულიყო. იმის გამო, რომ ორი მეწილე ვიყავით, ეს ქონება უნდა გაყიდულიყო, რათა ვალი დაფარულიყო, მაგრამ ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ ეს საჩივარი არ დააკმაყოფილა. ამასობაში, ქუთაისის სასამართლოს მივმართე, ამ ქონებაზე ყადაღა რომ მოეხსნათ, თუმცა სარჩელი არ დააკმაყოფილეს. არადა, ძალიან ბევრი მყიდველი მყავდა, რომლებსაც ამ ფართის შეძენა სურდათ, მაგრამ ქონება დაყადაღებული რომ იყო, სამწუხაროდ, მათი უარით გასტუმრება მიწევდა. ნანა ჭულუხაძეს მარტივი მიზანი ჰქონდა — ან უნდა გავკოტრებულიყავი, ან მეთქვა, რომ ველარ გადავიხდიდი საბანკო ვალდებულებას და მთელი ქონება მისთვის მეჩუქებინა. მიუხედავად ამისა, 2010-2011 წლებში, გრაფიკის მიხედვით, მაინც შევძელი საბანკო ვალდებულებების დაფარვა“,** — გვიამბობს მურმან ცერცვაძე.

> **„ლევან ჭულუხაძე ზესტაფონის პოლიციის რაიონული განყოფილების საგამოძიებო სამსახურის უფროსი იყო. ვერ ვამტკიცებ, მაგრამ ვეჭვობ, ჩემი ქონების ხელში ჩაგდება სწორედ მას სურდა“**

მისი თქმით, დაყადაღებული ქონება აუქციონზე 2011 წელს გაიტანეს და აუდიტების მიერ, 226 000 აშშ დოლარად შეფასებული მხოლოდ უძრავი ქონება, 91 000 აშშ დოლარად შეაფასეს. მურმან ცერცვაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ კომერციული ფართი პირველ აუქციონზე არ გაიყიდა:

**„ზესტაფონი პატარა ქალაქია და ყველამ კარგად იცოდა, რა ქონება იყო აუქციონზე გამოტანილი. ამის შემდეგ, მეორე აუქციონიც გაიმართა, მაგრამ ფასი განახევრდა და, შესაბამისად, ეს ქონება მეორე აუქციონზე უკვე 45 000 აშშ დოლარად გაიტანეს. მართალია, ჩემი კომერციული ფართი გაიყიდა, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ 45 000 აშშ დოლარად ეს ქონება ნანა ჭულუხაძის ოჯახის წევრმა, მისი მეუღლის ძმისცოლმა იყიდა. ამის შემდეგ, გარკვეული ვადა მოგვცეს, რათა შენობა და საცხოვრებელი სახლი დაგვეცალა. ამ კომერციულ ფართში, მეორე სართულზე, ბინაც მოვაწყვე, სადაც მე და ჩემი მეუღლე ვცხოვრობდით, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემი ბინაც დააყადაღეს და ამიტომ, იძულებულები გავხდით, შენობა მთლიანად დაგვეცალა“.**

მურმან ცერცვაძე აცხადებს, რომ ვიდრე შენობას დაცლიდა, ვადაზე ადრე, პოლიციელები მიადგნენ და კომერციული ფართიდან გასვლა იმავე დღეს მოსთხოვეს. როდესაც პოლიციელებს შეეპასუხა, რომ დრო ჯერ კიდევ ჰქონდა, უხეშად მიმართეს — თუ ამ ფართსა და ბინას დღესვე არ დაცლით, ლევან ჭულუხაძე პრობლემებს შეგვიქმნისო:

**„ლევან ჭულუხაძეც ჩემი მეუღლის ძმისშვილია, რომელიც ჩემი პარტნიორის, ნანა ჭულუხაძის ძმაა. იმ პერიოდში, ლევან ჭულუხაძე ზესტაფონის პოლიციის რაიონული განყოფილების საგამოძიებო სამსახურის უფროსი იყო. ვერ ვამტკიცებ, მაგრამ ვეჭვობ, ჩემი ქონების ხელში ჩაგდება, სწორედ ლევან ჭულუხაძეს სურდა, რომელიც თავის დას ჩემს წინააღმდეგ ეხმარებოდა. ამ ეჭვს წლების წინ მომხდარი ფაქტიც მიმყარებს, რომელიც სარჩელშიც მაქვს დაფიქსირებული. წლების წინ, მარნეულში თამბაქოს ვყიდულობდი, მერე რუსეთში გამქონდა და იქ ვყიდდი. ერთ დღეს, მარნეულში ლევან ჭულუხაძეც მახლდა, ხელთ 6 000 აშშ დოლარი მქონდა, მაგრამ ჩემი ადგილობრივი პარტნიორი, ვინც თამბაქოს მიმზადებდა, სახლში არ დამხვდა. რა თქმა უნდა, ისევ ზესტაფონში დავბრუნდი, მაგრამ ჩემმა პარტნიორმა იმავე დღეს ჩამომაკითხა, თამბაქო ჩამომიტანა და, რა თქმა უნდა, ფულიც გადავუხადე. მხოლოდ ლევან ჭულუხაძემ იცოდა, 6 000 აშშ დოლარი მქონდა, ისიც იცოდა, ჩემი პარტნიორი ადგილზე რომ არ დამხვდა და უკან დავბრუნდი, მაგრამ ის უკვე აღარ იცოდა, პარტნიორს თანხა იმავე საღამოს გადავუხადე. მოკლედ, შუაღამისას, ჩემს საცხოვრებელ ბინაში, 4-5 შეიარაღებული პირი დამადგა თავზე და ფული მომთხოვეს, ყველას ერთნაირი შავი ქუდი ეხურა, ერთნაირი ნიღაბი ეკეთა... ხელთათმანები და იარაღიც კი ერთნაირი ჰქონდათ, ამიტომაც მგონია, ისინი ჩვეულებრივი ყაჩაღები კი არა, პოლიციელები იყვნენ, რომლებიც ლევან ჭულუხაძემ მომიგზავნა. ჩემი მეზობელი ადგილობრივ ტელევიზიაში ოპერატორად მუშაობს და ამ ნიღბიანების შემოსვლა ვიდეოკამერით გადაიღო, მაგრამ ჭულუხაძის დაჟინებული მოთხოვნით, ეს კადრები ზესტაფონის ტელევიზიამ ეთერში არ გაუშვა. სამწუხაროდ, ეს საქმე დღემდე არაა გამოძიებული“.**

ამჟამად მურმან ცერცვაძე გამოძიების თავიდან ჩატარებას, ლევან ჭულუხაძის დაკითხვასა და მისი კუთვნილი კომერციული ფართის დაბრუნებას ითხოვს. ვიდრე „ვერსიას“ ესტუმრებოდა, ცერცვაძემ „თიბისი ბანკში“ და ოფიციალური ამონაწერი მოითხოვა, რათა გაეგო, ვინ ფარავს მის კრედიტს, რომელიც თავის დროზე, ბანკიდან აიღო და რომელი კრედიტის მომსახურების ვალდებულებაც, გაყიდულ ქონებასთან ერთად, ახალ მეპატრონეზე გადავიდა. „თიბისი ბანკის“ ამონაწერში საინტერესო ინფორმაციას მიაგნო, მართალია, მის კრედიტს კომერციული ფართის კანონიერი მფლობელი, ნანა ჭულუხაძის მეუღლის ძმისცოლი ფარავს, მაგრამ შიგადაშიგ, ბანკში თანხა ნანა ჭულუხაძესაც შეაქვს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი — 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლებმა მურმან ცერცვაძეს დაურეკეს და უთხრეს, რომ მის საცხოვრებელ ბინას ყადაღა მოუხსნეს. სამწუხაროდ, ეს ბინა დღემდე იპოთეკითაა დატვირთული და აღსრულების ეროვნული ბიუროს კეთილი ნების მიუხედავად, ნანა ჭულუხაძე არ აბრუნებს. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა მურმან ცერცვაძემ, სარჩელით ეკა ბესელიას კომიტეტისა და მთავარი პროკურატურისთვის მიემართა.

სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, „ვერსია“ ზესტაფონის პოლიციის თანამშრომელსა და მურმან ცერცვაძის მეუღლის ძმისშვილს, ლევან ჭულუხაძეს დაუკავშირდა, რომელმაც ამ საქმეში მონაწილეობა კატეგორიულად უარყო. ლევან ჭულუხაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ წლებია, მისი ოჯახის წევრები — და და მამიდის ქმარი დავობენ, მაგრამ თვითონ ამ დავაში არასოდეს ჩარეულა. მეტიც, საერთოდ არ აინტერესებს, რას ამბობს მასზე მურმან ცერცვაძე, რადგან ლევან ჭულუხაძე მიიჩნევს, რომ ეს მისი საქმე არ არის.

## ავღანეთში ყველა ქართველი ჯარისკაცი ჯანმრთელი და უვნებელია

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საგანგებო განცხადებას ავრცელებს და არ ადასტურებს Islamic Emirate of Afghanistan-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას, ავღანეთში ქართველი სამხედროების დაღუპვისა და დაშავების შესახებ. წყაროს მტკიცებით, ნავზადის რაიონში პატრულირებისას ნაღმზე ქართველი სამშვიდობოების მანქანა აფეთქდა, რის შედეგადაც გარდაიცვალა 2 და დაიჭრა 3 ჯარისკაცი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ კომენტარი გააკეთა. მან ქართველ ჟურნალისტებს მოუწოდა, გადაუმოწმებელი და დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებისგან თავი შეიკავონ: „გთხოვთ, ნუ დაეყრდნობით ჩვენი მოწინააღმდეგეების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. გადაამოწმეთ ის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ან უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების სარდლობასთან ქაბულში. ყველა ქართველი ჯარისკაცი ჯანმრთელი და უვნებელია“.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ქაბულში აშშ-ს თავდაცვის მდივნის ვიზიტის დროს მომხდარ ინციდენტსაც გამოეხმაურა, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა მწუხარება გამოხატა მომხდარის გამო და მიუსამძიმრა ავღანელ ხალხსა და მის კოლეგას.

## დეპუტატთა და აპარატის თანამშრომელთა ბინებისთვის, ყოველწლიურად, 4 573 000 ლარი უნდა დაიხარჯოს



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) პარლამენტის წევრების ქვეყნის გარეთ ოფიციალურ ვიზიტებზე გაწეულ სამივლინებო ხარჯებზე, ქუთაისში დეპუტატთა და პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა ბინებით უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხებზე, საწვავის ხარჯებსა და პარლამენტის ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებზე ინფორმაციას აქვეყნებს.

IDFI-ის მონაცემებით, 2012 წლის 22 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე, დავით უსუფაშვილის მივლინებაზე 4 642 ლარი დაიხარჯა, ვიქტორ დოლიძის მივლინება 4 423 ლარი დაჯდა, თედო ჯაფარიძისა — 3 779, ირაკლი სესიაშვილისა — 2 671, ეკა ბესელიასი — 2 605, ირინე იმერლიშვილისა — 797, გიგლა აგულაშვილის — 495, ვახტანგ ხმალაძის მივლინება კი 349 ლარი.

ქუთაისში პარლამენტის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა ბინების დაქირავებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ ინფორმაციის თანახმად, ქუთაისში დეპუტატთა და პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა მხოლოდ ბინებით უზრუნველყოფისთვის ყოველწლიურად უნდა დაიხარჯოს 4 მილიონ 573 ათასი ლარი: პარლამენტის წევრებზე 1 500 000 ლარი, ხოლო პარლამენტის აპარატის თანამშრომლებზე — 3 073 000 ლარი.

IDFI-ს მონაცემებით, პარლამენტის აპარატის მიერ საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი 2012 წლის პირველი იანვრიდან 2012 წლის 20 ოქტომბრამდე 733 697 ლარს შეადგენს, ხოლო 2012 წლის 21 ოქტომბრიდან 2013 წლის 31 იანვრამდე — 219 793 ლარს.

პარლამენტის აპარატის მიერ გაცემული ინფორმაციის თანახმად, პარლამენტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანები პერსონალურად ასე ნაწილდება — დავით უსუფაშვილი „მერსედეს ბენცი S 350“, მანანა კობახიძე — „ფოლკსვაგენ ტუარეგი“, ზურაბ აბაშიძე, ზვიად ძიძიგური, გიორგი ბარამიძე, მურმან დუმბაძე, ზაქარია ქუცნაშვილი, ტარიელ ლონდარიძე, დავით საგანელიძე, აკაკი ბობოხიძე — „მიცუბიში პაჯერო“, ირაკლი ჩიქოვანი, დავით ბერძენიშვილი, გიგა ბუკია, გიორგი გაბაშვილი, ვახტანგ ხმალაძე, ირინე იმერლიშვილი, ვიქტორ დოლიძე, თედო ჯაფარიძე, გიორგი ცაგარეიშვილი, დავით ონოფრიშვილი, დიმიტრი ხუნდაძე, ივანე კილურაძე, გიგლა აგულაშვილი, ირაკლი სესიაშვილი, ზურაბ ტყემალაძე და ეკა ბესელია — „ფოლკსვაგენ პასატი“, ხოლო ირაკლი ტრიპოლსკის „ტოიოტა ლენდ კრუიზერი“ ემსახურება.

***„ინტერპრესნიუსი“***




# სტანისლავ სეკრიერუ: „აშკარა ცვლილებაა სეპარატისტული რეჟიმის ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი მიმართვის ტონში“

**გერმანიის მარშლის ფონდის საიტი აქვეყნებს ფონდის — „შავი ზღვის ფონდი რეგიონული თანამშრომლობისთვის“ ანალიტიკოსის, სტანისლავ სეკრიერუს 2013 წლის ანგარიშს, სათაურით „გადაუჭრელი კონფლიქტები სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვაში“.**

ანგარიშში ერთ-ერთი ქვეთავი ეთმობა საქართველოსაც, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში 2012 წლის ოქტომბერში ძალაუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლა რეგიონისთვის კარგი მოვლენაა, თუმცა ოპოზიციასა და მმართველ კოალიციას შორის არსებული კონფლიქტის გამწვავებამ, შესაძლოა, 2013 წელს ნეგატიური გავლენა იქონიოს ახალი მთავრობის ძალისხმევაზე რუსეთსა და სადავო ტერიტორიებთან მიმართებაში.

**„სათავეში ახლახანმოსულმა ახალმა ხელისუფლებამ რუსეთთან წინა მთავრობის მიერ არსებული ურთიერთობისა და გრძელვადიანი კონფლიქტის გამოსწორების სურვილი გამოხატა. მიზანი იგივე რჩება, რაც წინა მთავრობის დროს – კერძოდ, ქვეყნის რეინტეგრაცია, თუმცა საქართველოს ახლანდელი მთავრობა, წინამორბედისგან განსხვავებით, ამის სხვაგვარად განხორციელებას გეგმავს. როგორც ჩანს, თბილისი ცდილობს, იპოვოს ბალანსი მსოფლიოში სეპარატისტული რეგიონების აღიარების აღკვეთასა და დეფაქტო რეგიონების ხელისუფლებას შორის“,** — აღნიშნულია ანგარიშში.

როგორც სტანისლავ სეკრიერუ წერს, პირველ რიგში, აშკარა ცვლილებაა სეპარატისტული რეჟიმის ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი მიმართვის ტონში. **„ნაცვლად იმისა, რომ მათ „მარიონეტული რეჟიმი“ უწოდონ, რომელთანაც ურთიერთობა არ ღირს, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ სოხუმსა და ცხინვალთან პირდაპირ მოლაპარაკების სურვილი გამოთქვა“,** — ნათქვამია ანგარიშში.

მეორე რიგში, — აღნიშნავს ანგარიშის ავტორი, — რეინტეგრაციის მინისტრი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ 2008 წელს მიღებულ კანონში ცვლილებისკენ მოუწოდებს. ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ რამდენიმე დადგენილება ვენეციის კომისიამ და ევროკავშირმა გააკრიტიკა, რამდენადაც აფერხებენ ზოგიერთი ძირითადი უფლების განხორციელებას და აცემენტებენ საქართველოსა და სადავო ტერიტორიებს შორის იზოლაციას.

ანგარიშის ავტორი აღნიშნავს, რომ სავარაუდოდ, ცვლილებები გააუქმებს ზოგიერთ შეზღუდვას საქართველოსა და სეპარატისტულ რეგიონებს შორის თავისუფლად გადაადგილებასა და ვაჭრობასთან დაკავშირებით. რეინტეგრაციის ახალი მინისტრი გამოდის ინიციატივით, სცნონ სეპარატისტული მთავრობის მიერ გამოცემული დოკუმენტების მართებულობა და აღდგეს აფხაზეთის გავლით სარკინიგზო გზა საქართველოსა და რუსეთს შორის.


TRANSATLANTIC COOPERATION

On Wider Europe

a Trust for Regional Cooperation

Untangling Conflicts in the South Caucasus and Moldova: An Agenda for 2013

by Stanislav Secrieru

From the Editor

In the five years since the launch of the Black Sea Trust, the Black Sea region

choked off Transnistria's room to maneuver and Tiraspol's hardened its discourse and policy actions toward

და მესამე, — წერს სტანისლავ სეკრიერუ, — საქართველოს ახალი ხელისუფლება ისწრაფვის რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისკენ ქვეყნის რეინტეგრაციის იმპერატივების ჩარჩოების გათვალისწინებითა და საგარეო პოლიტიკის ევროატლანტიკური ვექტორისკენ მიმართვით. ამ პოლიტიკის გატარებას ემხრობიან საქართველოს მოქალაქეებიც, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს მთავარ საფრთხედ განიხილავენ უსაფრთხოების საკითხში, მიისწრაფვიან ჩრდილოელ მეზობელთან ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებისკენ. სწორედ ამიტომ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სპეციალური წარმომადგენელი დანიშნა რუსეთთან ურთიერთობების საკითხში, რითაც მოსკოვთან პირდაპირ მოლაპარაკებების სურვილი გამოხატა.

კიდევ ერთი დამთმობი ნაბიჯი, რომელიც ხელისუფლებამ გადადგა რუსული არხების ხელახლა ჩართვა იყო, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდეგ გათიშული იყო, თუმცა იმავდროულად, დაიხურა ტელეკომპანია „პიკი“, ერთადერთი ქართული საზოგადოებრივი არხი, რომელიც რუსულ ენაზე მაუწყებლობდა.

მაშინ, როცა, სტრატეგია „ყველაფერი, გარდა აღიარებისა“ კვლავაც ადრეულ ეტაპზეა, ის ახალ შესაძლებლობებს უხსნის საქართველოს სადავო ტერიტორიებთან დაკავშირებულ ევროკავშირის „არაღიარებისა და ჩართულობის“ პოლიტიკას, – წერს ანგარიშის ავტორი. ევროკავშირმა ჯერ მხარი უნდა დაუჭიროს თბილისს, შეამსუბუქოს პირობები, რომელიც 2010 წელს მიიღო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართვისთვის და რომელიც გართულებულია აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მყოფი საერთაშორისო ორგანიზაციების აქტივისტებისთვის. ევროკავშირმა უნდა გამოიყენოს ეს მომენტი, გააძლიეროს ჟენევის მოლაპარაკებები და არა მხოლოდ „მოლაპარაკება მოლაპარაკებისთვის“ დატოვოს, არამედ უფრო კონკრეტულ და რეალურ შედეგებად აქციოს.

მაგალითად, — წერს მოხსენების ავტორი, — ევროკავშირს, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს აშშ-სთან, შეუძლია, უბიძგოს მხარეებს ძალის არგამოყენებისკენ, მათ შორის, რუსეთსაც. გარდა ამისა, ევროკავშირმა უნდა გაახანგრძლივოს ევროპის კავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატი, რომელიც 2013 წლის სექტემბერში იწურება.

სტანისლავ სეკრიერუ აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებისა და ევროკავშირის ამოცანაა, გაარღვიოს არსებული მანკიერი წრე, რომელიც აფერხებს ნდობის აღდგენას, რაც არც ისე ადვილია, თუმცა სასწაული ერთ ღამეში არ მოხდება, — წერს ანგარიშის ავტორი, — რადგან ომის მოგონებები ჯერაც ცოცხლობს.

საქართველოსა და ევროკავშირისადმი აფხაზეთის ხელისუფლების დამოკიდებულება 2012 წელს კიდევ უფრო გართულდა. აფხაზეთის ხელისუფლება საქართველოს ყველა მცდელობას დაგებულ მახედ და მისი „სახელმწიფოებრიობის“ რღვევის მცდელობად მიიჩნევს.

ეკონომიკურ დეპრესიაში მყოფი ე.წ. სამხრეთ ოსეთი, რომლის მოსახლეობის რიცხვი სულ უფრო მცირდება და სადაც ძლიერი რუსი სამხედროები დგანან, სულ უფრო გვაგონებს ჩაკეტილ სამხედრო გარნიზონს, თუმცა კონფლიქტურ ზონებში სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფის პროექტები, რომელსაც ევროკავშირი აფინანსებს, მიუთითებს ნდობის აღდგენის გარკვეულ ზომებზე.

რთულია იმის შეფასება, როგორ მიუდგება რუსეთი საქართველოს მიერ სეპარატისტებთან პირდაპირ მოლაპარაკებებს ან როდის გადაწყვეტს ის მოქმედებას, რათა გაამწვავოს დაძაბულობა, რაც წარმოუდგენელს გახდის ხელახლა დაახლოებას. თებერვალში რუსეთის მიერ გაჟღერებული საგარეო პოლიტიკა, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართ კრემლის უცვლელ პოზიციებზე მიუთითებს. ასევე, ძალიან რთულია იმის წინასწარმეტყველება, როგორი რეაქცია ექნება რუსეთს საქართველოს მიერ შეთავაზებული ურთიერთობების „გადატვირთვაზე“.

***„ინტერპრესნიუსი“***

# Eurasianet ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილე ქართველ ქალებზე სტატიას აქვეყნებს



**გამოცემა Eurasianet აქვეყნებს მოლი კორსოს სტატიას სათაურით: „ქართველი ქალები ბრძოლის უფლებებისთვის კაცებივით იბრძვიან“. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, ავღანეთში, ნატო-ს ოპერაციებში საქართველოს ჩართულობა ქართველი ჯარისკაცი ქალების ახალ თაობას ქართულ „მაჩო საზოგადოებაში“ ქალის როლის შესახებ წლების განმავლობაში არსებული სტერეოტიპის დანგრევაში ეხმარება.**

**„უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლიდან საუკუნეების შემდეგაც, ქართველი მამაკაცები საქვეყნოდ არიან ცნობილნი, როგორც მებრძოლები და მცველები. მათი ეს როლი ყველგან იკვეთება – დაწყებული ფოლკლორული ცეკვებიდან, დამთავრებული იმით, თუ ვინ გადაიხდის რესტორანში. თუმცა, იარაღი ახლა ქართველმა ქალმაც აიღო ხელში და ომში წავიდა“,** — აღნიშნავს სტატიის ავტორი.

როგორც მოლი კორსო წერს, 2009 წლიდან დღემდე, როცა საქართველო პირველად ჩაება ISAF-ის ოპერაციებში, ავღანეთში მოსამსახურე 1 561 ქართველი სამხედროდან, 33 ქალია. სტატიაში აღნიშნულია, რომ თავდაცვის სამინისტროს განაწესი ქალებს მხოლოდ ადმინისტრაციულ, სამედიცინო და ჰუმანიტარულ სამსახურში მსახურს ავალდებულებს, თუმცა ავღანეთში მყოფი ქართველი ქალები აცხადებენ, რომ ისინი პატრულირებენ ბაზებზე და ისევე უწევენ დახმარებას სამხედროებსა და ადგილობრივებს, როგორც ნებისმიერი ქართველი ჯარისკაცი.

Eurasianet წერს, რომ 34 წლის კაპრალი მაია ფულარიანი, ავღანეთში პირველად ჩასულ ქართველ ჯარისკაცთა შორის იყო. სტატიაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო დანაყოფები ქაბულში ფრანგულ არმიას ექვემდებარება, ფულარიანი ამბობს, ის და კიდევ 7 ქართველი ჯარისკაცი ქალი, მამაკაცებთან ერთად პატრულირებდნენ.

**„ერთმანეთზე ვზრუნავდით. როცა სიჩუმე იყო საჭირო, ვჩუმდებოდით, როცა სიფრთხილე და წინდახედულება იყო საჭირო, სიფრთხილეს ვიჩენდით და მამაკაცებივით ვიდექით ბრძოლის ხაზზე“,** — აცხადებს ფულარიანი.

თუმცა, როგორც მოლი კორსო წერს, კაპრალ ფულარიანის მსგავსი სამხედროები კვლავ უმცირესობაში არიან. საქართველოს სამხედრო სამსახურში მყოფ 966 ჯარისკაცი ქალიდან, რომლებიც ადმინისტრაციულ და სამედიცინო განყოფილებებში მსახურობენ, ბრძოლის ველზე არც ერთი არასოდეს გასულა.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, წინა წლებში პრობლემებს აწყდებოდნენ ქალები, რომლებიც სამხედრო სამსახურს ირჩევდნენ.

**„2004 წელს, როცა ყოფილი კაპიტანი ქეთევან თევზაძე საქართველოს სპეციალურ ჯარებში სწავლებას გადიოდა, 162 ადამიანისგან შემდგარ ჯგუფში, ის ერთადერთი ქალი იყო, როგორც თავად ქეთევან თევზაძე აცხადებს, შენობაში არც ქალების ტუალეტი იყო არც მათთვის ცალკე გამოყოფილი საცხოვრებელი ყაზარმები. ამიტომ ქართველ კაპიტან ქალს მამაკაცებთან ერთად უწევდა საცხოვრებლის გაზიარება“,** — წერს მოლი კორსო.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველომ ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციას, რომლის მიხედვით, უნდა გაიზარდოს ქალების როლი უსაფრთხოების მისიებში, კონფლიქტის დარეგულირებისა და მშვიდობის შენარჩუნების საკითხში.

მოლი კორსო წერს, რომ საქართველოსთვის, რომელიც ნატო-ში ინტეგრაციისკენ მიისწრაფვის, ეს რეკომენდაციები დამატებითი მოტივაცია იყო. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში სტუდენტი გოგონებისთვის უკვე ცალკე ოთახები და საშხაპეებია გამოყოფილი.

თუმცა, როგორც სტატიაშია აღნიშნული, ცვლილებების განხორციელება არც ისე იოლი იყო და კაპიტანი თევზაძე, რომელმაც სამხედრო სამსახური 2007 წელს დატოვა, მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, იძულებული იყო, საოფისე საქმიანობა გაეგრძელებინა ერაყში.

მოლი კორსო წერს, რომ ბევრი ქართველი კაცის მსგავსად, ქეთი თევზაძის მამა, თავდაცვის ყოფილი მინისტრი, გენერალი დავით თევზაძე საქართველოს სამხედრო სამსახურში ქალების ყოფნით შეშფოთებულია.

**„ომში ბრძოლა ქალის საქმე არ არის, მისი საქმე სიცოცხლის შექმნა და სიცოცხლისთვის ზრუნვაა“,** — ციტირებს სტატიის ავტორი დავით თევზაძის სიტყვებს.

თუმცა, როგორც სტატიის ავტორი წერს, დავით თევზაძისვე რჩევით, საქართველოს მოსახლეობის მცირერიცხოვნებისა და არამყარი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ქართველებმა ბრმად არ უნდა მისდიონ ასეთ მოსაზრებებს.

სტატიაში აღნიშნულია, რომ მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში, თამარ მეფის მმართველობისას, 1921 წელს, წითელი არმიის წინააღმდეგ, ან მეორე მსოფლიო ომის დროს, ქართველი ქალები სამშობლოს გადასარჩენად მამაკაცების მხარდამხარ იბრძოდნენ.

**„საბრძოლველად მთელი მოსახლეობა უნდა იყოს მზად, რადგან თავისუფლება და სამშობლოს გათავისუფლება მსხვერპლს მოითხოვს“,** — მოჰყავს გამოცემას დავით თევზაძის სიტყვები.

***„ინტერპრესნი“***

## ბარამიძე სწუხს, რომ თავდაცვის სამინისტრო პოლიტიზირებულია



„ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ თავდაცვის მინისტრი პოლიტიკური თემებითაა დაკავებული. თავდაცვის სამინისტროს მიერ განცხადება გავრცელდა, რომლის თანახმად, წინასაარჩევნო პერიოდში „ნაცმოძრაობა“ შეიარაღებული ძალების საწვავით მარაგდებოდა. ბარამიძის აზრით, ასეთი განცხადებების უმეტესობა ხელისუფლების ოპონენტებზე ანუ „ნაცმოძრაობაზე“ თავდასხმის მიზნით კეთდება და ნაკლებად ისმის განცხადებები იმის შესახებ, რა ღონისძიებები გატარდა თავდაცვის სამინისტროს სისტემის გაუმჯობესებისთვის.

გიორგი ბარამიძე სახიფათო ტენდენციად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ **„უფრო და უფრო ხშირად აჩენენ სამხედროფორმიან ადამიანებს და სამხედრო პირები გამოჰყავთ წინა პლანზე“**, სამხედროები კი პოლიტიკური საკითხებისგან შორს უნდა იყვნენ.

რაც შეეხება ბრალდებებს, ბარამიძის თქმით, ეს გამოსაძიებელია და ამასთან დაკავშირებით რაიმე აჟიოტაჟის ატეხვა არ ღირს.

***„ინტერპრესნიუსი“***

გელა ქოქიაშვილი

**შეიძლება დაგვიანებულიცაა, მაგრამ რაკი ჯავახეთის ზეგანზე ვმოგზაურობთ და თანაც უმთავრეს ორიენტირად ფარავნისწყალი გაგვიხდია, ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ უნდა ითქვას, რომ გზაზე, რომელსაც ახლა ჩვენ ვადგავართ, 17 საუკუნის წინათ, წმინდა ნინომ ჩამოიარა. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ მდინარის ერთადერთი და ძველი სახელწოდება ეს არ არის, ადრე მას ჯავახეთის მტკვარი ერქვა. ფარავნისწყალი სინამდვილეში, ფარავნის ტბიდან მომდინარე წყალს იმ წერტილამდე შეიძლება ერქვას, სანამ მას სხვა ტბიდან — მადათაფიდან გამომდინარე, ასეთივე წყალი შეუერთდება. ამის მერე იქმნება ჯავახეთის მტკვარი.**

ჩვენ ახლა ორი მცირე მდინარის — ფარავნისწყლისა და მადათაფისწყლის შესართავისაკენ ვიჩქარით, სადაც სოფელი **სათხეა** (ეს ტოპონიმი ბოლნისის რაიონშიც გვხვდება).

ჩვენი მეგზური, ნინოწმინდის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე სარქის ბიროიანი, რა თქმა უნდა, მიღებული კაცია სათხეში და ამდენად, დაბრკოლება არაფერში გვაქვს. მუშაობას სოფლის საერთო ხედებისა და ყოფის ამსახველი კადრებით ვიწყებთ, ამის მერე კი სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმართულ გორაზე ავდივართ, სადაც ისევე, როგორც ტონთიოში, წინარექრისტიანული ციხე-სიმაგრის ნაშთებია. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ამ ციკლოპური ციტადელის ტერიტორიაზე შუასაუკუნეებშიც ჩაუდგამთ თავდაცვითი ნაგებობები, რომლებიც უფრო იოლად დაშლილა. ჩვენი მთავარი სანახავი ის ეკლესიებია, რომლებიც სოფლის ძველ უბანში ერთმანეთზეა მიდგმული.

უფრო ძველი ეკლესია სამხრეთით დგას. იგი სიგრძეში 15,3 მეტრია, სიგანეში — 7 მეტრი, შიგნიდანაც და გარედანაც ჩასმულია სუფთად გათლილი ღვინისფერი და რუხი კვადრების პერანგში. საკურთხევლის ორსავე მხარეს, კედელში ღრმად შეჭრილ ნიშებს ნახევარწრიული ფორმა აქვთ, ხოლო პილასტრების კაპიტელებს — თაღოვანი. ეს გახლავთ უსახურავოდ და ულავგარდანოდ დარჩენილი ქართული ტაძარი, რომლის კედლებს დღემდე ატყვია რამდენიმე ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი. აღასანიშნავია, რომ XIX საუკუნეში ივ. როსტომაშვილს ზოგიერთი მათგანი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში უხილავს და წაუკითხავს. ასე მაგალითად, აღმოსავლეთ ფასადის ორი წარწერა ასეთი ყოფილა: **„ქრისტე, შეიწყალე ირემაი“, „ქრისტე, შეიწყალე ხარაის ძე“**. ინტერიერში, სამხრეთის კედელზე, ორგან ყოფილა ნახსენები ვინმე **ცხოვრებაი.** ეს წარწერები პალეოგრაფიული ნიშნებით XII-XIII საუკუნეებს განეკუთვნება, ტაძარი კი ნამდვილად უფრო ძველის შთაბეჭდილებას ახდენს, რასაც მისი სამხრეთ კედლის ფასადი დაგვიმტკიცებს კიდეც, მაგრამ ამ ფასადის ხილვა მასზე ჩრდილოეთიდან XIX საუკუნეში მიშენებულ სომხურ ტაძარში შეუსვლელად შეუძლებელია. სომხურ ეკლესიას, რომელსაც უცნაური და პრიმიტიული შუშის გუმბათი ადგას, ჩრდილოეთის კედლად სწორედ ქართული ტაძრის სამხრეთი კედელი გამოუყენებია.

... სანამ სომხური ტაძრის გასაღებს მოგვიტანდნენ, მანამდე მის ფასადებს ვიღებთ. და აი, დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებში ვხედავთ ძველი ქართული ეკლესიის ჩუქურთმიან ქვებს. ეს არის დასავლეთ ფრონტონში სამერცხლე-სარკმელი თავისი გულისპირით და აღმოსავლეთ სარკმელი მთელი თავისი ლილვოვანი მორთულობით. ძნელი სათქმელია, ეს ფრაგმენტები გვერდით მდგარი ეკლესიისაა თუ სხვა რომელიმე ადრინდელი ქართული ტაძრის. ნიკო ბერძენიშვილის ჩანაწერებში აკი, ძველ წყაროსთან მდგარ კიდევ ერთი ქართული ეკლესიის ნაშთებზეა საუბარი...

... ამასობაში მოაქვთ გასაღები, რომელსაც ლამის ნახევარი უბანი თან მოჰყვება. შევდივართ ეკლესიაში, რომლის დიდი დარბაზი საკმაოდ ნათდება გუმბათიდან ჩამომავალი დღის შუქით. მასპინძლებს რომ გული არ ვატკინოთ, ჯერ მათი ტაძრის ინტერიერს ვიღებთ, მაგრამ თვალი ყოველ წამს ჩრდილოეთის კედლისკენ გაგვირბის. ეს კედელი, რომელიც იმავდროულად, ქართული ტაძრის სამხრეთ კედლის ფასადია, მართლაც ძალიან საინტერესოა. უზარმაზარ ლოდზე არის წარწერა, რომელიც ასე იკითხება: **„ქ. გიორგის შაზელისძესა და ძეთა მისთა შეუნდვენ ღმერთმან. დაიდვეს ორი დღე აღაპი, რომე არცა ზედაშე და სეფისკვერი გამოვიდეს... ბარბარობაი და მეორედ მოსვლაი, ამა საყდარსა შიგან მყოფმან ვერავინ დააკლოს წირვაი ჩუენმა მომავალმან და ვინცა დააკლოს კანონსამცე ქუეშე არს. ამენ!“** ეს სააღაპო წარწერა შინაარსობრივად უბრალო მლოცველის რომ არ არის, უდავოა. პალეოგრაფიული ნიშნებით იგი XII-XIII საუკუნეებისაა და იმას გვეუბნება, რომ გიორგი შაზელისძე იმდროინდელი ჯავახეთის ერთ-ერთი გავლენიანი ფეოდალია. აღსანიშნავია, რომ ივანე როსტომაშვილს ამ წარწერაზე კი არა აქვს გამახვილებული ყურადღება, არამედ იმავე სამხრეთ კედელზე არსებულ სხვა, უფრო საგულისხმო წარწერებზე, რომლებიც შემდგომში უკვალოდ გამქრალა (ამოუფხეკავთ). ისინი ამოკვეთილი ყოფილა სამხრეთ კარის უზარმაზარ, ბარელიეფიან არქიტრავზე. ქართული ტაძრის სამხრეთის კარი დღეს ამოშენებულია, მაგრამ ბარელიეფიანი არქიტრავი კვლავ თვალს იტაცებს. **ეს არის სამოთხის ბაღში მყოფი ღვთისმშობელი ყრმა იესოთი ხელში. სამოთხის სტილიზებული ხეების ჩუქურთმა წნულებში გადადის. არ ვიცი რატომ, მაგრამ შესრულების ხასიათით, იგი ტაბაწყურის წითელი ტაძრის რელიეფებს მაგონებს.**



სათხის ციხის ნაშალი

ქვათა მატიანე

# საღამოს თვალსაწიერზე

## სამხრეთ ჯავახეთი







სათხის ქართული ტაძრის გარე ხედი კაპიტელი და ინტერიერი

ბარელიეფი ისევე, როგორც მთელი კედელი, კირის ხსნარით შეუთეთრებიათ, მერე თითქოს კირის ფენა ნელ-ნელა ჩამოცვენილა და შეთხელებულა, მაგრამ ჩემი ცდა — ბარელიეფიან არქიტრავზე სადმე მივაგნო ივ. როსტომაშვილის მიერ ნანახ ქტიტორულ წარწერას — უშედეგოდ მთავრდება. წარწერა კი ასეთი ყოფილა: **„ქრისტე შეიწყალე ყოველნი** (იოვანე — **ე. თაყაიშვილი**)“, **„ადიდენ ღმერთმან ფარსმან ერისთავთ-ერისთავი** (იგულისხმება თმოგველი ფარსმან ერისთავი – **გ.ქ.) აღეშენა ესე ეკლესიაი სადიდებლად მათდა და მშობელთა მათდა სალოცავად“.**

ეს ის ფარსმან ერისთავთ-ერისთავია, რომელიც 1064-1065 წლებში დაიღუპა ახალქალაქის ზღუდესთან არფ-ასლანის შემოსევის ჟამს. ფარსმან თმოგველი XI საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი ცნობილი პიროვნება იყო. მას თმოგვის ის მრისხანე ციხე და მიმდგომი ქვეყანა ეკავა, რომელსაც მეათე საუკუნეში ვერაფერი დააკლო არაბმა სარდალმა აბულ კასიმმა. ფარსმან თმოგველის სახელს ჩვენ სხვა ტაძრის — ზედა თმოგვის სამნავიანი ბაზილიკის კედელზე შევხვდებით. ჯავახეთის ეს ერისთავთ-ერისთავი ახალ ჩორჩანელთან საგვარეულოს ეკუთვნოდა, რომელიც მეცხრე საუკუნეში ჩამოყალიბდა გიორგი ჩორჩანელის დის ,თეკლასა და მისი მეუღლის, მირიან ბაჰლაუნდის შთამომავლებისგან. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ფარსმან თმოგველის პაპა ყოფილა ივანე ერისთავთ-ერისთავი (თმოგველი), რომელიც დავით კურაპალატს ახლდა ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში. ფარსმან თმოგველის ბედი, ბოლომდე გარკვეული არ არის. მირაშხანის გამოქვაბულთა წარწერაში, თითქოს ნათქვამია, რომ იგი არფ-ასლანის წინააღმდეგ ომში დაიღუპა 1065 წელს, მაგრამ არსებობს ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერი აღაპები, რომელთა მიხედვით ბაგრატ IV-ის მოწინააღმდეგე ფარსმანი, თავის ძმასთან, გიორგი ჩორჩანელთან და ლიპარიტ კლდეკარის ერისთავთან ერთად, ბერად დაეყუდა ხსენებულ მონასტერში. იგი მამა არსენის სახელით მოღვაწეობდა და შემდგომში წინამძღვარიც გახდა.

სათხიდან აღმოსავლეთით მიმავალი მგზავრი დასახლებულ პუნქტს კარგა ხანს ვერ შეხვდება. გზა სულ უფრო მაღლა და მაღლა მიიწევს და ზღვის დონიდან 2000 მეტრის ნიშნულს უახლოვდება. ფარავნის წყლის მწვანედ მობიბინე, აბალახებულ ნაპირებზე უზარმაზარი ხავსმოდებული ლოდები გაწოლილან.

... საღამოს ტბა გამოჩნდა, თუმცა შეღამებამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა. მისი წყნარი, სარკისებური ზედაპირის და წყლის შუაგულში შეცურებული მებადურის ნავის ხილვა დღის დამცხრალ ვნებათა სიდიადით აღგავსებს. ჯავახეთი დიდი თუ მცირე ტბების მხარეა და საღამოც ერთ-ერთი მათგანია. ვულკანური წარმოშობის ამ ტბას, რომლის სარკის ფართობი სულ რაღაც 4,8 კვ მ-ია, მიწისქვეშა წყლებიც ასაზრდოებს, მაგრამ იგი, უმთავრესად, მაინც ფარავნის ტბიდან მომავალი მდინარის თავისებური ბაქანია. იქ, სადაც საღამოს ტბიდან გამოდის ფარავნის წყალი, ფერდობებს ბილიკი მიუყვება. მწვანე ბალახით მობიბინე კალთებს აქაც შესევიან ჟანგისფერი ხავსით შემოსილი ლოდები, მაგრამ ერთგან ეს უზარმაზარი ქვები მწყობრ სისტემაში გადადის და ყორეებს ქმნის. ნასოფლარში მცირე დარბაზული საყდრის ნანგრევებსაც ნახავთ, რომელიც მოწითალო თლილი ქვით ყოფილა ნაგები. ინტერიერში შემორჩენილია მოზრდილი რელიეფური ჯვარი. ტაძარი XIII—XIV საუკუნეთა მიჯნისაა. მის გარშემო ყოფილა სასაფლაო, სადაც დღემდეა შემონახული ბავშვის საფლავის ძალიან საინტერესო ქვა. XII—XIII საუკუნეების ეს ნასოფლარიც, ნატაძრალიც და საფლავის ქვებიც მაინც გუშინდელივით გამოიყურება იმ წინარექრისტიანული ეპოქის ციკლოპური ციხის ნაშალთან, რომელიც აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთით 100 მეტრშია. იგი რაღაცით წააგავს აბულის, ტონთიოსა და სათხეს უდულაბოდ აშენებულ ციხეებს. ამ ციხის ნაშალიდან ოთხას ნაბიჯზე, სამხრეთ-დასავლეთით, მიწაზე გართხმულია დაახლოებით 3 მეტრი სიგრძის „ვეშაპი“ — სავარაუდოდ, ფალოსის კულტის ისეთივე ლოდი, როგორებიც მურჯახეთში და მერენიაშიც არის.

ნასოფლარს **დუმანი** ჰქვია.

*ავტორის ფოტოები*



დუმანის საფლავის ქვა და ციხის ნაშალი



სათხის სომხური ეკლესიის ინტერიერი



# ჰოროსკოპი

## 11 მარტი

**ვერძი** — დღეს არის შანსი, სამსახურში წინ წაიწიოთ, განახორციელოთ დიდი ხნის პროფესიული გეგმები, სასურველს აუცილებლად მიაღწევთ, არც პირად ურთიერთობებში გაქვთ საქმე ცუდად. ახალი ნაცნობობა, შესაძლოა, თავბრუდამხვევ რომანში გადაიზარდოს.

**კურო** — დღე საშუალებას მოგცემთ, თქვენი დიპლომატიური უნარით გაიბრწყინოთ. მისი წყალობით შეძლებთ არსებული კონფლიქტების მოგვარებას. ეცადეთ, შეურიგდეთ ადამიანს, ვისაც უნებლიედ აწყენინეთ. დღის პირველი ნახევარი საკმაოდ ნაყოფიერია, საღამო კი მშვიდად გაატარეთ — დაისვენეთ და სასიამოვნო ურთიერთობებს დაუთმეთ დრო.

**ტყუპები** — დღეს ემოციური ფონი არასტაბილურია, დიდ დროსა და სულიერ ძალებს გართმევთ განცდები, რაზეც სერიოზული მიზეზი არც კი გაქვთ. შესაძლოა, თქვენთვის ძვირფას ადამიანთან კამათი მოგივიდეთ. ფინანსური მხარეც არ არის სასიამოვნო, დიდია დანაკარგის ალბათობა, არ ღირს, სერიოზულად განიხილოთ წინადადებები, რაც სამსახურის შეცვლას ეხება.

**კირჩხიბი** — დღეს შეგიძლიათ საკმაოდ ნაყოფიერად იშრომოთ, თუკი გადაწყვეტთ, არავინ დაიხმაროთ და ყველაფერი თავად მოაგვაროთ. სულაც არ არის აუცილებელი, რაიმე გრანდიოზულს მიადგეთ. სასიკეთოა ფინანსური სურათიც, შესაძლოა, ფულადი გზავნილი მიიღოთ. პირად ცხოვრებაში დიდია ალბათობა, ისეთ ადამიანს შეხვდეთ, ვის მიმართაც სიმპათია სწრაფად გადაიზრდება სერიოზულ გრძნობაში.

**ლომი** — დღეს ნაკლებად იჩქარეთ და მეტი აკურატულობა გამოავლინეთ. არის შანსი, დაგროვილი საქმეები მოაწესრიგოთ. შეეცადეთ, მომთხოვნი იყოთ საკუთარი თავის მიმართ, სხვებისადმი კი — შემწყნარებელი. ეს კარგ ურთიერთობებს შეგინარჩუნებთ ყველასთან. არ არის სასურველი, რთული და მნიშვნელოვანი საკითხები განიხილოთ ახლობლებთან, რადგან ამას შესაძლოა, კამათი მოჰყვეს.

**ქალწული** — დღე კარგად ჩაივლის, თუ თავად არ დაუშვებთ შეცდომებს უყურადღებობითა და წინდაუხედაობით. არ არის სასურველი მნიშვნელოვან დოკუმენტებზე მუშაობა, დიდი ფულის განკარგვა, გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება. სამაგიეროდ, შეგიძლიათ თქვენს მიმართ სიმპათიით განაწყოთ ნებისმიერი ადამიანი. ბევრი ქალწული დაფიქრდება, ხომ არ მისცეს დიდი ხნის რომანს ოფიციალური ფორმა. კარგი დღეა ასევე საცხოვრებელი ადგილის ან სამსახურის გამოსაცვლელად.

**სასწორი** — დღეს მეტად გამჭრიახი და საზრიანი ხართ, არ გსურთ, საქმეში სხვის გაკვალულ გზას მიყვეთ. დღის მეორე ნახევარი მეგობრებთან ან რომანტიკულ პაემანზე გაატარეთ. მოგწონთ, როცა ყურადღებას გაქცევენ, ზოგჯერ ამისთვის ორიგინალურ და ექსტრავაგანტულ საქციელსაც არ ერიდებით.

**ღრიანკალი** — თუ მთელი დღის განმავლობაში ენერგიული და საქმიანი იქნებით, კარგ შედეგს მიიღებთ, მაგრამ არც ერთი წუთით არ უნდა მოეშვათ, თუ არ გინდათ, რომ თქვენი შრომის ნაყოფი სხვას დარჩეს. დღე დაკავშირებულია საინტერესო საუბრებთან, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებასთან. მთლიანობაში, მოვლენების განვითარება თქვენს გეგმებსა და მოლოდინს შეესაბამება.

**მშვილდოსანი** — სერიოზულ თემებზე სასაუბროდ, რაც თქვენს პროფესიულ საქმიანობას ეხება, შესაფერისი დღეა. გავლენიანი ადამიანები, ვისი დახმარების იმედიც გაქვთ, არ გიღალატებენ. შესაძლოა, ისეთი მაცდური წინადადებაც მიიღოთ, რომ საკუთარი ბედნიერების თავად არ გჯეროდეთ. შესაფერისი დროა, ინიციატივა გამოიჩინოთ პირად ურთიერთობებში — ეს მხოლოდ სასიკეთოდ წაგადგებათ.

**თხის რქა** — ეს დღე საქმეში სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან შეცდომების დაშვების ალბათობა საკმაოდ დიდია. შესაძლოა გაგიფუჭდეთ ურთიერთობა კოლეგებსა და უფროსობასთან, არ არის გამორიცხული, საშიში მტრებიც გაიჩინოთ. რთულ სიტუაციებში ნუ მოგერიდებათ, რჩევისთვის ძველ მეგობრებს მიაკითხოთ — ისინი პრობლემების გადაჭრაში დაგეხმარებიან. დღეს ინტუიცია მეტად გამახვილებული გაქვთ, თუმცა შესაძლოა, ცუდი გავლენის ქვეშ მოექცეთ.

**მერწყული** — ფინანსების მხრივ საკმაოდ წარმატებული დღეა. გაქვთ შანსი, არა მხოლოდ გაზარდოთ შემოსავალი, არამედ საიმედო გრძელვადიანი ინვესტიციებიც განახორციელოთ. შეგიძლიათ, გარისკოთ — პროფესიული ინტუიცია არ გიღალატებთ. პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებები არ ხდება. შეეცადეთ, ოჯახის წევრებსაც დაუთმოთ გარკვეული დრო.

**თევზები** — თევზებისთვის შედარებით რთული საქმეებით დაკავების დროა. კარგი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისთვის, საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის. პირად ურთიერთობებში არც ისე წარმატებული დღეა: იმდენად ენერგიული ხართ, რომ ეს ღლის გარშემომყოფებს. ნუ შეეცდებით ახლობლებს თქვენი ცხოვრების რიტმი მოახვიოთ თავს და ნუ განაწყენდებით, თუ თქვენს შეთავაზებას ენთუზიაზმით არ აიტაცებენ.

# ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად ნახერხში წვებიან

იაპონელი მანდილოსნები სილამაზის შესანარჩუნებლად საკმაოდ უცნაურ ხერხს მიმართავენ. სუსტი სქესის აქაური წარმომადგენლები დარწმუნებულნი არიან, რომ თუ რამდენიმე წუთით ნახერხში ჩაწვებიან, ამით ახალგაზრდულ იერს შეინარჩუნებენ და კანსაც ელასტიურობა დაუბრუნდება. ამომავალი მზის ქვეყანაში, თითქმის ყველა პრესტიჟულ სილამაზის სალონში კლიენტებს მსგავსი ტიპის მომსახურებას სთავაზობენ. მსურველი ბიკინში უნდა გამოეწყოს და ნახერხით სავსე აბაზანაში ჩაწვეს. ნახერხი 40 გრადუსამდე თბება. 20 წუთის შემდეგ, როცა ასეთი უჩვეულო აბაზანიდან ამოხვალთ, ისეთი შეგრძნება გექნებათ, თითქოს 2 საათის განმავლობაში ვარჯიშობდით. როგორც სპეციალისტები ამბობენ, მეთოდი კარგია წონაში დასაკლებად, კანის გასაწმენდად, იმუნიტეტის ასამაღლებლად. აღსანიშნავია, რომ იაპონიაში ამ მეთოდს 70-წლიანი ისტორია აქვს და მისი ღირებულება 70 დოლარია.




## შენდება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**




**ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.**

**რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.**

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 6 | 4 | 7 | 5 | 3 | 2 | 1 |
| 4 | 3 | 7 | 9 | 2 | 1 | 8 | 6 | 5 |
| 2 | 1 | 5 | 6 | 3 | 8 | 7 | 9 | 4 |
| 3 | 7 | 2 | 1 | 9 | 6 | 5 | 4 | 8 |
| 1 | 6 | 4 | 8 | 5 | 2 | 9 | 3 | 7 |
| 5 | 9 | 8 | 3 | 4 | 7 | 2 | 1 | 6 |
| 7 | 5 | 1 | 2 | 6 | 3 | 4 | 8 | 9 |
| 8 | 4 | 3 | 5 | 1 | 9 | 6 | 7 | 2 |
| 6 | 2 | 9 | 7 | 8 | 4 | 1 | 5 | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 5 | 8 | 6 | 4 | 9 | 3 | 7 |
| 9 | 8 | 7 | 3 | 2 | 5 | 1 | 6 | 4 |
| 3 | 4 | 6 | 1 | 9 | 7 | 2 | 8 | 5 |
| 4 | 7 | 2 | 9 | 8 | 1 | 6 | 5 | 3 |
| 8 | 3 | 1 | 7 | 5 | 6 | 4 | 9 | 2 |
| 6 | 5 | 9 | 4 | 3 | 2 | 8 | 7 | 1 |
| 7 | 1 | 3 | 6 | 4 | 9 | 5 | 2 | 8 |
| 5 | 9 | 8 | 2 | 1 | 3 | 7 | 4 | 6 |
| 2 | 6 | 4 | 5 | 7 | 8 | 3 | 1 | 9 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 7 | 6 | 5 | 3 | 2 | 4 | 1 |
| 6 | 5 | 4 | 2 | 1 | 8 | 7 | 9 | 3 |
| 2 | 3 | 1 | 9 | 4 | 7 | 6 | 8 | 5 |
| 5 | 6 | 3 | 8 | 7 | 1 | 9 | 2 | 4 |
| 1 | 8 | 2 | 5 | 9 | 4 | 3 | 7 | 6 |
| 7 | 4 | 9 | 3 | 6 | 2 | 5 | 1 | 8 |
| 9 | 7 | 8 | 1 | 3 | 6 | 4 | 5 | 2 |
| 4 | 2 | 6 | 7 | 8 | 5 | 1 | 3 | 9 |
| 3 | 1 | 5 | 4 | 2 | 9 | 8 | 6 | 7 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 4 | 2 | 3 | 8 | 1 | 9 | 7 | 5 |
| 5 | 1 | 7 | 9 | 2 | 6 | 3 | 8 | 4 |
| 3 | 9 | 8 | 7 | 5 | 4 | 6 | 2 | 1 |
| 8 | 5 | 1 | 6 | 9 | 7 | 4 | 3 | 2 |
| 4 | 7 | 9 | 5 | 3 | 2 | 1 | 6 | 8 |
| 2 | 6 | 3 | 1 | 4 | 8 | 5 | 9 | 7 |
| 7 | 8 | 6 | 4 | 1 | 3 | 2 | 5 | 9 |
| 1 | 3 | 5 | 2 | 7 | 9 | 8 | 4 | 6 |
| 9 | 2 | 4 | 8 | 6 | 5 | 7 | 1 | 3 |



# ჰოროსკოპი
## 12 მარტი

**ვერძი** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა ოჯახური საქმეებისა და პრობლემების მოსაგვარებლად. სიამოვნებით დაკავდებით სახლის მოწყობით — ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენით. კარგი დღეა სტუმრების მისაღებადაც. მზად ხართ, დაეხმაროთ იმათ, ვინც რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია, შეგიძლიათ საღამოს კარგად გაერთოთ, დაღლილობას ნამდვილად ვერ იგრძნობთ.

**კურო** — დღეს გაცილებით სერიოზულად ხართ განწყობილი. ყველა საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებით. კარგად ჩაივლის მოლაპარაკებები. დღეს იზრდება თქვენი ინტერესი ფილოსოფიისა და რელიგიის მიმართ. ადვილად იჩენთ ახალ ნაცნობებს. შესაძლოა მცირე ფინანსური დანაკარგი, წარუმატებელი შენაძენი ან საქმიანი გარიგება.

**ტყუპები** — დღეს რთული საქმეებით დაკავება მოგიწევთ, რასაც ბოლომდე მიიყვანთ, მაგრამ ამისთვის დიდი ძალისხმევის გაღება მოგიწევთ. სიხარულს ვერც კი იგრძნობთ, ისე დაიქანცებით. დღის მეორე ნახევარი სასურველია, მშვიდ ვითარებაში დასვენებას დაუთმოთ. ორიგინალური იდეებიც გაგიტაცებთ და, შესაძლოა, ამან ყოველდღიური მოვალეობები დაგავიწყოთ.

**კირჩხიბი** — დღეს თქვენ შესაშურ გამბედაობას ავლენთ, რისი წყალობითაც მოაგვარებთ ყველა საქმეს. კარგი დღეა ახალი იდეების რეალიზაციისთვის, სასარგებლოა ურთიერთობა გავლენიან ადამიანებთან, არის შანსი, ძლიერი მფარველი გაიჩინოთ.

**ლომი** — კარგი დღეა ცვლილებებისთვის როგორც პირად, ასევე საქმიან სფეროში. ნუ შეგეშინდებათ სიახლის შეტანის. ვარსკვლავები მზად არიან, სასიამოვნო სიურპრიზებით გაგაოცონ. დღეს ძალიან მნიშვნელოვანია ინტუიცია. გარშემომყოფები ხშირად რჩევისთვის გაკითხავენ. დღეს შეგიძლიათ რაიმე უჩვეულო, ორიგინალური ნივთი შეიძინოთ ან უკვე არსებული გადააკეთოთ, განაახლოთ. გულთან ახლოს მიგაქვთ ყველაფერი, რაც თქვენს გარშემო ხდება, ამის გამო დღეს განცდები არ მოგაკლდებათ.

**ქალწული** — შესაფერისი დღეა სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმისთვის, რაც თვითდისციპლინას მოითხოვს. საკმარისი უნარი და ცოდნა გაქვთ, რომ დასახული ამოცანა გადაჭრათ. ნიშნის წარმომადგენლები დღეს ცდილობენ ხარჯების შემცირებას, უარს ამბობენ დაგეგმილ საყიდლებზე, თუმცა ამის აუცილებლობა სულაც არ არის. შესაძლოა სერიოზული უთანხმოება ახლობლებთან. თავი შეიკავეთ საყვარელი ადამიანის კრიტიკისგან.

**სასწორი** — სასწორებს კარგი დღე აქვთ ფინანსური საკითხების გადასაჭრელად. ფულს სწორად და აზრიანად ხარჯავთ. შესაძლოა, ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ნუ გამოავლენთ ჩვეულ სიხისტეს, რამაც შესაძლოა, პატარა კონფლიქტიც კი გამოიწვიოს. სურვილი გაგიჩნდებათ, პირად ცხოვრებაში რაღაც შეცვალოთ. ახლობლები მზად არიან, ყველა წამოწყებაში მხარი დაგიჭირონ.

**ღრიანკალი** — დღე თავიდან თითქოს წარუმატებლად მოგეჩვენებათ, მაგრამ ნელ-ნელა სიტუაცია იცვლება და საღამოსკენ უკვე ცხადი გახდება, რომ ფორტუნამ არ მიგატოვათ. მიმდინარე პრობლემების გადასაჭრელად, შეგიძლიათ, დახმარებისთვის უფროსი ასაკის ადამიანებს მიმართოთ. მშობლები და სხვა ნათესავები ჩვეულებრივზე მეტად ერევიან თქვენს საქმეში. კარგი დღეა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისთვის. შეგიძლიათ, სამსახურიც შეიცვალოთ, მაგრამ ამისთვის ახალ სფეროს ნუ ამოირჩევთ.

**მშვილდოსანი** — დღე უამრავ ახალ შესაძლებლობას გპირდებათ. საბედნიეროდ, საკმაოდ ენერგიული და გაბედული ხართ, ამით რომ ისარგებლოთ. შესაძლოა, დღეს თავი ძველმა ნაცნობებმა შეგახსენონ და საქმიანი ურთიერთობა აღდგეს დიდი ხნის პარტნიორებთან. დღე კარგია ნებისმიერი საქმიანობისთვის, რაც თქვენს შემოქმედებით პოტენციალს წარმოაჩენს.

**თხის რქა** — რთული დღეა. შესაძლოა, ფინანსური პრობლემები გაჩნდეს, მოგიწევთ ხარჯების შემცირება, სულ ცარიელზე რომ არ დარჩეთ. თუმცა, მალე სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება. ამ დღეს დადებული გარიგებები შემოსავალს მოგიტანთ. კარგი დღეა ოჯახური საქმეებისთვის. შესაძლოა, ახალი რომანტიკული ურთიერთობის წამოწყებაც.

**მერწყული** — დღე პროფესიულ გამარჯვებებს გპირდებათ, გაქვთ შანსი, კარიერულ კიბეზე მაღლა ახვიდეთ. თქვენში ლიდერის თვისებები აშკარად გამოვლინდება. კარგი დღეა საკუთარ ბიზნეს-პროექტებზე სამუშაოდ. სასურველია, თუ მაღალი საზოგადოების წევრულებას დაესწრებით — ბევრ ადამიანთან ურთიერთობა, ახალი ნაცნობობა ძალიან გაგახარებთ. დღეს შეგიძლიათ კარგი ტანსაცმელი ან სამკაული შეიძინოთ, ავტომობილის ყიდვისგან კი თავი შეიკავეთ.

**თევზები** — დღე საკმაოდ წარმატებულია. განსაკუთრებით ძლიერი პოზიტიური ტენდენციების გავლენა პირად ცხოვრებაში იქნება. თქვენ კარგი ურთიერთობა გაქვთ გარშემომყოფებთან, აგვარებთ ბევრ პრობლემას, არ არის გამორიცხული, ახალი რომანის დაწყებაც, რაც კარდინალურად შეცვლის თქვენს ცხოვრებას. შესაფერისი დღეა გრძნობების გამოსამჟღავნებლადაც. შესაძლოა, ცოტა დაეცეს საქმიანი აქტიურობა, რადგან სამუშაო მოსაწყენია, მაგრამ საკმაო პასუხისმგებლობის გრძნობაც გაქვთ, საქმე რომ არ მიატოვოთ.

# სასმელი წყალს ბილბორდი აძლევს

პერუელმა სწავლულებმა, სარეკლამო სააგენტო Mayo DraftFCB-თან ერთად, დედაქალაქ ლიმაში სარეკლამო ფარი დააყენეს, რომელსაც პირდაპირ ჰაერიდან შეუძლია წყლის კონდენსირება. ბილბორდს ისეც შეუძლია თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულება — პროდუქტის რეკლამირება და კლიენტების მოზიდვა, თუმცა ახლა ასეთი სარეკლამო დაფა არა მხოლოდ უსარგებლო რკინაა, არამედ სასურველი დანამატი ყველა გარშემო არსებული დასახლებისთვის ამ უწყლო რეგიონში. პირველმა ასეთმა ობიექტმა 3 თვეში უკვე უზრუნველყო 9450 ლიტრი სუფთა სასმელი წყლით ახლომდებარე სოფელი. მოწყობილობა 5 მანქანისგან შედგება, რომელიც კარბონის ფილტრებსა და კონდენსატორებს იყენებს, ჰაერის ტენიანობას სითხედ აქცევს, მერე ეს მაცოცხლებელი სითხე მილში ჩაედინება, ბილბორდის ქვედა ნაწილში და თვითდინებით ახლომდებარე დასახლებამდე აღწევს. ასეთ სისტემას, ერთი დღე-ღამის განმავლობაში, შეუძლია, 100 ლიტრამდე სუფთა სასმელი წყალი მოაგროვოს, პრაქტიკულად უფასოდ. ეს მაშინ, როცა მშრალი რეგიონების მომარაგება ამ ძვირფასი სითხით ადგილობრივებს არც ისე იაფი უჯდებათ.




# მძღოლი რეკორდული თანხით დააჯარიმეს

ჩინეთში სატვირთო ავტომანქანის მძღოლი რეკორდული თანხით — 25 მილიონი დოლარით დააჯარიმეს. საქმე ის არის, რომ მანქანა, რომელსაც ის მართავდა, იმდენად იყო დატვირთული, რომ ერთ-ერთ ხიდზე გადასვლისას, ის ქაღალდის სახლივით დაშალა. შემთხვევა პეკინთან ახლოს მოხდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მომხდარზე პასუხისმგებლობა მძღოლს დააკისრა და ჯარიმის სახით, უზარმაზარი თანხა გამოუწერა, მასში ხიდის შეკეთებაც გათვალისწინებულია. ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, მძღოლმა დაუდევრობა გამოიჩინა და დანაშაულისთვის პასუხიც უნდა აგოს. მისი ავტომობილი, ტვირთთან ერთად, 110 ტონას იწონიდა. სასამართლო დიდხანს მსჯელობდა შემთხვევის შესახებ, თუმცა საბოლოოდ, მაინც ხელისუფლების პოზიცია გაიზიარა. რა გზით გადაიხდის თანხას დაჯარიმებული მძღოლი, უცნობია.



# ჩინური კომბოსტო სიმსივნის წინააღმდეგ



სამხრეთ კორეელმა მეცნიერებმა გამოკვლევები ჩაატარეს და ჩინური კომბოსტოს უნიკალურ შემადგენლობაზე გაამახვილეს ყურადღება. ექსპერიმენტისას სწავლულებმა 25 სახის კომბოსტოს ტესტირება მოახდინეს, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ჩინურ კომბოსტოში 14 ტიპის ანტიკანცეროგენული ნივთიერებებია. მათ შორის გლუცოსინოლატეს — რთული ორგანული ნაერთები. კიბოს უჯრედებზე ამ ნაერთების ზემოქმედების შემდეგ სწავლულებმა დაადგინეს, რომ ის სიმსივნურ წარმონაქმნს ანადგურებს. აღსანიშნავია, რომ ერთი გრამი ჩინური კომბოსტო 2,3 მილიგრამ ამ სასწაულმოქმედ ნაერთს შეიცავს. გარდა ამისა, კორეელმა მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ ჩინურ კომბოსტოში გლუკობრასიცინების შემცველობა, რომელიც სარძევე ჯირკვლის კიბოს წინააღმდეგ მოქმედებს, რამდენჯერმე მაღალია, ვიდრე ბროკოლში.

# ქალის საუკეთესო მეგობარი გეი-მამაკაცია

ახალმა ფსიქოლოგიურმა კვლევამ დაამტკიცა, რასაც ბევრი სწავლული დიდი ხნის წინ ლაპარაკობდა: მამაკაცი-გეი და ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის ქალი — საუკეთესო მეგობრები არიან. ეს ურთიერთობა მაქსიმალური სანდოობით გამოირჩევა. ტეხასის უნივერსიტეტის სპეციალისტები დაინტერესდნენ, რატომ აქვთ გეებსა და სუსტი სქესის წარმომადგენლებს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობები. მათ განიხილეს ჰიპოთეზა, რომ ქალს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან აქვს კავშირი, მაგრამ ამასთან, არ არსებობს მათი ინტიმური სიახლოვის ვარიანტი. ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად ექსპერტებმა შეარჩიეს ტრადიციული ორიენტაციის 88 მანდილოსანი, 58 გეი-მამაკაცი და ჩაატარეს ექსპერიმენტი. ქალებს ეკითხებოდნენ, ვის უფრო ენდობოდნენ ზოგიერთ საკითხში: ტრადიციული ორიენტაციისას თუ ცისფერს? მოკლედ, აღმოჩნდა, რომ გეები და მშვენიერი სქესი ერთმანეთს 20%-ით მეტად ენდობა, ვიდრე სხვა ადამიანებს. ისე კი, ამაში გასაკვირი არც არაფერია და ეს უნიკალური მოვლენა მშვენივრად არის ასახული თანამედროვე კინოსა და ლიტერატურაში.



# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | 6 | | | 8 | 2 | | |
| | | | | 4 | | | 1 | |
| | | | 9 | | | 8 | | 6 |
| 1 | | | 4 | | | | 6 | 3 |
| | | | | 2 | | | | |
| 5 | 3 | | | | 9 | | | 7 |
| 6 | | 9 | | | 2 | | | |
| | 8 | | | 9 | | | | |
| | | 7 | 3 | | | 9 | | 1 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 9 | | | | | | |
| 8 | | | 4 | 6 | 3 | | | |
| | | 1 | | | 2 | | | |
| | 1 | | | | 4 | 7 | 3 | |
| | 7 | | | | | | 6 | |
| | 9 | 3 | 8 | | | | 2 | |
| | | | 2 | | | 1 | | |
| | | | 5 | 3 | 7 | | | 2 |
| | | | | | | 5 | 7 | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | 9 | | | 2 | | |
| 7 | | | 3 | 6 | | | | |
| | | 5 | | | 2 | | | |
| | 6 | 4 | | 3 | 8 | | 7 | |
| 5 | | | | | | | | 3 |
| | 3 | | 7 | 5 | | 4 | 6 | |
| | | | 1 | | | 5 | | |
| | | | | 9 | 4 | | | 8 |
| | | 6 | | | 3 | | 2 | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 3 | | | 4 | 7 |
| | 7 | | 9 | | 4 | | 3 | |
| | | | 7 | | | 1 | | |
| 9 | | | | | 5 | | 2 | 8 |
| 8 | | | | 9 | | | | 4 |
| 3 | 1 | | 2 | | | | | 9 |
| | | 1 | | | 2 | | | |
| | 4 | | 3 | | 6 | | 8 | |
| 5 | 8 | | | 4 | | | | |

## ორწლიანი პატიმრობისთვის მილიონებს გადაუხადეს



ამერიკელმა მამაკაცმა, რომელმაც საკანში მარტომ 2 წელიწადი გაატარა, სასამართლოს მეშვეობით, ყველაზე დიდი კომპენსაცია — 15,5 მილიონი დოლარი მოიპოვა. მათგან პირველ 6 მილიონს 59 წლის სტივენ სლევინი უკვე რამდენიმე დღეში მიიღებს. სტივენმა ერთადგილიან საკანში, სრულიად უყურადღებოდ, 2 წელი გაატარა. მას ფრჩხილები ისე გაეზარდა, რომ ფეხებზე შემოეხვია, ხოლო დაუბანლობის გამო, კანის სოკო გაუჩნდა. სტომატოლოგის მომსახურების აკრძალვის გამო კი კბილების ამოღება თავად უწევდა. სლევინს ამ პერიოდის განმავლობაში ფსიქიკა შეერყა. ვერანაირი ფული მას ველარ დაეხმარება დაკარგულის უკან დაბრუნებასა და ჯანმრთელობის აღდგენაში, მაგრამ ამ კომპენსაციით მინიმალური შანსი მაინც არსებობს რეაბილიტაციის, — განაცხადა მისმა ადვოკატმა. სტივენი 2005 წელს მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო დააკავეს. სასამართლო არ გამართულა, ერთკაციან საკანში კი ის სუიციდისადმი მიდრეკილების მოტივით მოათავსეს. ამჟამად სლევინის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, ყველაფერთან ერთად კი, მას მედიკოსებმა ფილტვის კიბოს დიაგნოზიც დაუსვეს.

## ავტომობილის საბურავებიც იჭმევა?



აშშ-ში ბევრ ადამიანს უჩვეულო საკვები მისწრაფება აქვს — ზოგი კატის ბეწვს ჭამს, ზოგი — აგურს, ჯორჯიის შტატის დედაქალაქ ატლანტაში მცხოვრები 19 წლის გოგონა კი, სიამოვნებით მიირთმევს ავტომობილის საბურავებს და აცხადებს, რომ ეს მისი ყველაზე საყვარელი „ნუგბარია“. საკვებად ამ უცნაური პროდუქტის გამოყენება ელისონმა დაახლოებით, ექვსი წლის წინ დაიწყო. მას შემდეგ ის ყოველთვიურად 6 კილოგრამზე მეტ რეზინის ნარჩენს მიირთმევს. გემო მომწონს, ტექსტურით ძროხის გამხმარ ხორცს მაგონებს, თუმცა მისი დაღეჭვა ძნელია, — აცხადებს ელისონი, რომელიც ბატიბუტივით მიირთმევს საკვებად უვარგის პროდუქტს. გოგონას საქმრო ავტოსერვისში მუშაობს, ასე რომ, მას ამ „დელიკატესზე“ ყოველთვის მიუწვდება ხელი.

## პლანეტის ყველაზე სასურველი სასიძოები



პოპულარულმა გამოცემა „ფორბსმა“ ამჯერად მსოფლიოს ყველაზე მდიდარი და მარტოხელა მამაკაცების რეიტინგი შეადგინა, სასურველი საქმროები კი პლანეტის უმდიდრეს ადამიანებს შორის შეარჩია, მათგან ორის ცხოვრება კი ისეთი გასაიდუმლოებულია, რომ ინტერნეტში მათი ფოტოებიც არ მოიძებნება. რეიტინგის ლიდერი წარმოშობით კოლუმბიელი, 36 წლის ალეხანდრო დავილაა. ის ჰარვარდის კურსდამთავრებულია და მსოფლიოში სიდიდით მეორე ლუდის კომპანია SABMiller-ის ნახევარს ფლობს. აქვს საკუთარი კუნძული კარიბის ზღვაში, დავილას ქონება 11,7 მილიარდად არის შეფასებული. მეორე ადგილზე 45 წლის ჰავიერ ნეილი გავიდა, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობს და 6,6 მილიარდის პატრონია. ის Iliad-ის აქციათა საკონტროლო პაკეტს ფლობს. საპატიო სამეულში მოხვდა 30 წლის ამერიკელი სკოტ დუნკანი. მისი ქონება 5,1 მილიარდ დოლარს შეადგენს, მამისგან კი მემკვიდრეობით Enterprise Products Partners-ის წილი ერგო. ტოპ-ათეულში შევიდნენ ასევე — 48 წლის ამერიკელი ტორ პეტერსონი 2,3 მილიარდით, 30 წლის ბრაზილიელი ედუარდო სავერინი (2,2 მილიონი), რომელიც ამჟამად სინგაპურში ცხოვრობს. 51 წლის ნიკოლას ბერგრიუნის ქონება 2 მილიარდ დოლარს შეადგენს – მას მუდმივი საცხოვრებელი თითქმის არ აქვს, სულ მოგზაურობს და უპირატესობას სასტუმროებში ცხოვრებას ანიჭებს. 46 წლის რიჩარდ ლი ჰონგკონგელია და ის აზიაში ყველაზე მდიდარი ადამიანის შვილია, მისი ქონება კი 1,9 მილიარდს შეადგენს. 41 წლის ტედი საგი ისრაელიდანაა, სადაც მას ყველაზე ძვირადღირებული სახლი აქვს, თუმცა მისთვის დიასახლისი ვერა და ვერ იპოვა. საგის ქონება 1,8 მილიარდი დოლარია. სასურველი სასიძოების რეიტინგში მოხვდა 36 წლის იაპონელი იოშიკაცუ ტანაკა, რომელიც კომპანია Gree-ს დამფუძნებელია და 1,8 მილიარდ დოლარს ფლობს. ათეულს კი გერმანელი ალბერტ ფონ ტაქსი ასრულებს, 1,5-მილარდიანი ქონებით. ის ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მიწათმფლობელია. მარტოხელა გერმანელი თავადი 29 წლისაა და სპორტული ავტომობილებით არის გატაცებული.




## გახდომაში სუნამო დაგეხმარებათ

ფრანგულმა პარფიუმერულმა ფირმამ Robertet მსოფლიოში პირველი სუნამო წარმოადგინა, რომელიც ადამიანს ჭარბი წონის მოცილებაში დაეხმარება. მას Prends-მოი უწოდეს. ახალი პარფიუმის შემქმნელები აცხადებენ, რომ სასიამოვნო სურნელის მქონე არომატი ისეთ ინგრედიენტებს შეიცავს, რომელიც ადამიანის კანში ენდორფინების წარმოქმნას უწყობს ხელს. ამ ჰორმონების მეშვეობით, ტვინს „სიამოვნების მესიჯი“ გადაეცემა, შედეგად, ადამიანი ხალისიან განწყობაზე დგება, მადა კი უქვეითდება. „გასახდომი კომპლექსი კოფეინის, კარნიტონისა და სიპრულინის ნაზავია. ის ორ მთავარ ფერმენტს ააქტიურებს, რომელიც უშუალოდაა ჩართული ლიპოლიზმის (ჭარბი წონის დაქვეითების) პროცესში. ახალი სუნამო ბერგამოტის, მანდარინისა და გრეიპფრუტის არომატების ნაზავია. Prends-მოი უფრო სუსტი სქესის იმ წარმომადგენლებს მოეწონებათ, ვისაც ზაფხულის სურნელი იზიდავს. აღსანიშნავია, რომ ახალი პარფიუმი ჯერჯერობით შეზღუდული რაოდენობით, სულ 6 ათასი ეგზემპლარი გამოვიდა.

## ხმამაღალი სიცილისთვის უჩივლეს



ნიუ-იორკის შტატში, ლონგ-აილენდის მცხოვრებმა ორი უწყება მიიღო სასამართლოდან. რობერტ სკიაველის იქ იმის გამო იბარებდნენ, რომ მეზობელმა ხმამაღალი სიცილისთვის უჩივლა. წესრიგისა და სიმყუდროვის დამრღვევი მამაკაცი კი აცხადებს, რომ სწორედ ეს მეზობელი გამუდმებით დასცინის და შეურაცხმყოფელ სიტყვებს ეძახის. როგორც სკიაველის მეზობელი ამბობს, მისი სიცილი ჯერ კიდევ სახლში შესვლამდე, სადარბაზოში ისმის. რობერტის დედა კი აცხადებს, რომ სიცილით მისი შვილი სწორედ მისი მისამართით ნათქვამ ამ მეზობლის გამუდმებულ, შხამიან კომენტარებს პასუხობს. იგივეს აცხადებს სკიაველის ადვოკატიც, რომელიც მისი კლიენტის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს. აღსანიშნავია, რომ ლონგაილენდელი მამაკაცი პირველი არ არის, ვინც ხმამაღალი სიცილისთვის ზარალდება. 2011 წელს შვედეთის ქალაქ გიოტებოტრგში მცხოვრები მამაკაცი ბინიდან გამოასახლეს. ის ხშირად და ხმამაღლა იცინოდა, რაც მის მეზობლებს არ მოსწონდათ და ამის გამო უჩივლეს.



# საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ესპანეთი 61:18 დაამარცხა

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა ესპანეთი ანგარიშით 61:18 დაამარცხა. ევროპის ერთა თასის გათამაშების მეოთხე ტურის შეხვედრა, რომელიც თბილისის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართა, ქართველი მორაგბეების სრული უპირატესობით წარიმართა. მათ მეტოქეს 8 ლელო დაუდეს, ასევე გაიტანეს 3 საჯარიმო და ზუსტად შეასრულეს 6 გარდასახვა.

ქართველ მორაგბეთაგან ლელოები დადეს მერაბ შარიქაძემ, ლაშა ხმალაძემ, ირაკლი მაჩხანელმა, ვასილ კაკოვინმა, ასევე 2-2 ლელო დადეს დიმიტრი ბასილაიამ და თამაზ მჭედლიძემ. რაც შეეხება ესპანელებს, მათ მეორე ტაიმში მოახერხეს მხოლოდ 2 ლელოს დადება, ერთი გარდასახვა ზუსტად შეასრულეს, მანამდე კი 2 საჯარიმო გაიტანეს.

აღსანიშნავია, რომ ქართველმა მორაგბეებმა შეხვედრაში დადებული ლელოების რაოდენობის გამო, პრემიალური ქულაც მიიღეს და მეოთხე ტურის შემდეგ ევროპის ერთა თასის 2013 წლის გათამაშების სატურნირე ცხრილს ლიდერობენ.

მატჩში გამარჯვება მიეძღვნა საქართველოს ნაკრების ყოფილ კაპიტანს, ბოლო წლების ერთ-ერთ გამორჩეულ მორაგბეს ირაკლი აბუსერიძეს, რომელმაც ნაკრების შემადგენლობაში ბოლო შეხვედრა გამართა. ის სწორედ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გააცილეს ეროვნული ნაკრებიდან.

მომდევნო შეხვედრას საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 16 მარტს, რუმინეთის გუნდის წინააღმდეგ გამართავს.

*„ინტერპრესნიუსი“*


## გთხოვთ დავეხმაროთ!

ნატალია სარდლიშვილს ექიმებმა დაუსვეს სისხლძარღვოვანი კეთილთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი. დაავადება საქართველოში არ იკურნება. სიმსივნე იწვევს ბავშვის ძლიერ დამახინჯებას და ასევე საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს, რადგან სიმსივნე გარდა სახისა განლაგებულია პირის ღრუში, თვალსა და ყურში. ნატალიას ჩაუტარდა მკურნალობის ნაწილი და მას აქვს გასაოცარი შედეგები. სამწუხაროდ, ოჯახს აღარ გააჩნია არავითარი საშუალება, მკურნალობის გასაგრძელებლად, რომელიც უნდა იქნეს ჩატარებული ბერლინში.

საბანკო რეკვიზიტები: GE22BG 0000000 893180100 (საქართველოს ბანკი)

მიმღები: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ჰემანგიომა2009“



დარეკეთ :0 901 700 324

მაგთი Geocell Beeline

577-187704, 577-187705. ტრისტანი


# „სასუფევლისკენ ყველაზე მარტივი გზა სიკეთის კეთებაა“



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სიკეთის კეთების მნიშვნელობაზე იქადაგა. უწმინდესმა საკვირაო ქადაგებისას აღნიშნა, რომ უფალი სახარებაში ბრძანებს – „რაც გაუკეთეთ ადამიანს, ის მე გამიკეთეთ“. პატრიარქმა მრევლს სიკეთის კეთებისა და გაჭირვებული ადამიანების დახმარებისკენ მოუწოდა.

უწმინდესის თქმით, ხორციელ შაბათთან დაკავშირებით ერთ-ერთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში საჭმელი გაგზავნეს. „ფსიქიატრიულის პაციენტებს უთქვამთ, კიდევ კარგი, ვიღაცას მაინც ვახსოვართო. აუცილებელია, გვახსოვდეს ეს საცოდავი ფსიქიკურად დაავადებული ადამიანები. ჩვენ უნდა ვმადლობდეთ უფალს ყოველდღე, რომ საღი გონება მოგვცა“, — ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, სასუფეველში მრავალი გზა მიდის, მათ შორის ლოცვა და სულიერი მოღვაწეობა, თუმცა ყველაზე მარტივი გზა სიკეთის კეთებაა: „როდესაც ჩვენ ვაკეთებთ სიკეთეს გაჭირვებული ადამიანისთვის, ამ მოწყალებას პირდაპირ მიჰყავს ადამიანი სასუფეველში. უნდა ვეცადოთ, არც ერთი დღე არ დაღამდეს ისე, რაღაც სიკეთე არ გავაკეთოთ გაჭირვებული ადამიანისთვის“.

ქადაგების დასასრულს, უწმინდესმა ისტორიული მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის აკადემიკოსები – დავით მუსხელიშვილი და ეთერ ქემერტელიძე საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი, წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დააჯილდოვა.

პატრიარქმა მიტრა გადასცა რამდენიმე დეკანოზსაც საქართველოს ეკლესიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის. ასევე, ტრადიციულად დალოცა რამდენიმე გვარი.

*„ინტერპრესნიუსი“*

# სამებაში ყოველდღე სპეციალური პარაკლისი ჩატარდება



ყოვლადწმინდა სამების ტაძარში 11 მარტიდან ყოველდღე, სპეციალური პარაკლისი ჩატარდება, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

უწმინდესის თქმით, ქართველმა ერმა ლოცვა უნდა გააძლიეროს. სწორედ ამიტომ მიიღო წმინდა სინოდმა აღნიშნული გადაწყვეტილება. ყოველ კვირა დღეს აღევლინება წმინდა სამების პარაკლისი მსოფლიოსთვის და ამ დღეს ქართველი სასულიერო პირები მსოფლიოში მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის ილოცებენ. ყოველ ორშაბათს კი აღევლინება წმინდა სამების პარაკლისი საქართველოს კეთილდღეობისა და გადარჩენისთვის. პატრიარქის თქმით, ეცდება, ამ პარაკლისზე აუცილებლად თავად იყოს ხოლმე.

სამშაბათს აღევლინება წმინდა სამების პარაკლისი ბავშვებისთვის. უწმინდესმა მრევლს მოუწოდა, ამ დღეს ბავშვები ტაძრებში მიიყვანონ და სასულიერო პირებს დაალოცვინონ.

ყოველ ოთხშაბათს კი იქნება ჯვრის პარაკლისი და ამ დღეს სასულიერო პირები ავადმყოფებისთვის ილოცებენ.

ყოველ ხუთშაბათს ჩატარდება ღვთისმშობლის პარაკლისი ეკლესიის კეთილდღეობისა და ერის მშვიდობისთვის, ხოლო ყოველ პარასკევს ყოველთა წმიდათა პარაკლისი ერის, ეკლესიისა და ქვეყნის კეთილდღეობისთვის.

ყოველ შაბათს იქნება დიდი პანაშვიდი მიცვალებულთათვის.

როგორც უწმინდესმა აღნიშნა, ყოველდღიური პარაკლისები საღამოს 19.00 საათზე დაიწყება.

*„ინტერპრესნიუსი“*



# ჩვილთა 26-ე საყოველთაო ნათლობის მეორე ეტაპი გაიმართა

ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში 10 მარტს ჩვილთა 26-ე საყოველთაო ნათლობის მეორე ეტაპი გაიმართა. საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის „ძლევაის“ ცნობით, მეორე ეტაპზე პატრიარქის ნათლული კიდევ 420-მდე ჩვილი გახდა. მონათლულებს საჩუქრად ნათლობის მოწმობა, სახარება, სანთლები და ჯვარი გადაეცათ. ნათლობის დასრულების შემდეგ, ტაძარში პატრიარქი მიბრძანდა და მონათლულები დალოცა.

მოსანათლი ჩვილების სიმრავლის გამო, 26-ე ნათლობა ორ ეტაპად ტარდება. ნათლობისთვის რეგისტრაცია სულ 800-ზე მეტმა პატარამ გაიარა. ნათლობის პირველი ეტაპი 3 მარტს გაიმართა.

ამ დროისთვის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნათლული 14 312 ბავშვია. ისინი ჯვარდაწერილი წყვილების ოჯახში მესამე და შემდეგი შვილი არიან.

ჩვილთა პირველი საყოველთაო ნათლობა ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში 2008 წლის 19 იანვარს შედგა. კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივის მიზანი ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

*„ინტერპრესნიუსი“*


ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.